დავით გონდაური

ჭეშმარიტად სახალხო

„ეროვნული მწერლობა“
თბილისი
2004

უაკ(VDC) 371.1(479.22)(092)
ბ 671

ახალგაზრდა ავტორი მოგვითხრობს თავისი პაპის, ცნობილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სახალხო მასწავლებლის, მათემატიკოს დავით გონდაურის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ.

ავტორს არ აქვს პრეტენზია წარმოდგენილი ბიოგრაფიული ნარკვევის ორიგინალობაზე და გამოხატავს მადლიერების გრძნობას მათ მიმართ, ვინც გამოთქვა საქმიანი შენიშვნები და მხარი დაუჭირა წიგნის შექმნის იდეას.

წიგნი განკუთვნილია საკითხავად საზოგადოების ფართო ფენებისათვის.

რედაქტორი — გელა სულაძე

ISBN 99940 - 0 - 073 - X

რედაქტორისაგან

წინამდებარე წიგნი ეძღვნება ცნობილ ქართველ პედაგოგსა და მათემატიკოსს, სახელოვან აღმზრდელსა და ღირსეულ ადამიანს ბატონ დავით გონდაურს. პიროვნებას, რომელმაც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე რთული შემოქმედებითი და ნაყოფიერი ცხოვრების გზა განვლო და საქართველოს აღუზარდა თაობები, რომლებიც მის ამაგს ეერასდროს გადაეიხდით.

ნიშანდობლივია ის, რომ წარმოდგენილი ნაღვაწის ავტორია თვით ბატონი დავითის უფროსი შვილიშვილი – ახალგაზრდა, ენერგიული, კაი ოჯახიშვილი და ფრიად ერუდირებული დავით („უმცროსი") გონდაური. დავითი, ბოლო წლების მანძილზე, იყო თსუ „ფინანსებისა და კრედიტის" კათედრის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარე, ეკონომიკის ფაკულტეტის, სტუდენტთა და მაგისტრანტთა საქართველოს საპატრიარქოსთან ურთიერთობის განყოფილების გამგე. ის ფონდ „CASE–ტრანს-კავკასიის" მიერ ჩატარებულ სტუდენტთა და ასპირანტთა კონკურსში გამარჯვებულია. საინტერესო ნაშრომისათვის 2002 წლის 27 სექტემბერს გადაეცა „ბალცეროვიჩის პრემია" და დიპლომი.

ბატონ დავით გონდაურის ეს მცირე მოცულობის წიგნი დასაწყისი უნდა იყოს მისი მომავალი, დიდი შემოქმედებითი წარმატებებისა, რითაც ღირსეულად გააგრძელებს სახელოვანი ბაბუის ტრადიციებს.

წარმოდგენილი მოკრძალებული ნაშრომი, ეფიქრობთ, დააინტერესებს საზოგადოების ფართე ფენებს.

გელა სულაძე

სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

* * *

საბედნიეროდ, არსებობენ ადამიანები, რომელთა ძალისხმევა შეუმჩნეველი არ რჩება საზოგადოებას. ასეთ ადამიანთა რიგებს უდავოდ მიეკუთვნება ცნობილი ქართველი პედაგოგი, მათემატიკოსი, ბატონი დავით გონდაური – საქართველოს სახალხო მასწავლებელი, მრავალი თაობის აღმზრდელი და დამკვალიანებელი, რომელიც თავის საყვარელ საქმეს კეთილსინდისიერად ემსახურებოდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

სიცოცხლე გრძელდება, მოდის შესანიშნავი ახალგაზრდა თაობა. სრულიად ბუნებრივია, რომ მათ შორისაა ბატონი დავითის შვილიშვილიც. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ დავით გონდაურმა – „უმცროსმა", ჩვენი უნივერსიტეტის წარჩინებულმა მაგისტრანტმა, თავიდანვე მიიპყრო უნივერსიტეტში როგორც პროფესორ–მასწავლებელთა, ისე სტუდენტი ახალგაზრდობის ყურადღება, არა როგორც მხოლოდ დავით გონდაურის შვილიშვილმა, არამედ როგორც დათო გონდაურმა. დაითოს ორგანიზატორობით, სისტემატურად ტარდებოდა სტუდენტთა და მაგისტრანტთა როგორც სამეცნიერო კონფერენციები, ისე საზოგადოებრივი შეხვედრები სხვადასხვა გამოჩენილ პიროვნებებთან.

შემთხვევითი როდია, რომ დათომ ღირსეული პატივი მიაგო სახელოვანი ბაბუის – დიდი დავით გონდაურის ნათელ ხსოვნას წინამდებარე ნაღვაწით. წარმატება მინდა ეუსურვო დათოს მომავალ საქმიანობაში. იმედია, იგი ღირსეულად გააგრძელებს, განავითარებს სახელოვანი ბაბუის ოჯახისა და მოღვაწეობის ტრადიციებს.

ავთანდილ სილაგაძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

წევრ–კორესპონდენტი, პროფესორი

* * *

ძალ'სედ შთამბეჭდავია ახალგა'ხრდა მეცნიერის, ბატონ დავით გონდაურის ნაღვაწი, რომელიც მიზნად ისახავს თავისი ბაბ'ების, საქართველოს სახალხო მასწავლებლის ბატონ დავით გონდაურის პედაგოგიური საქმიანობის ნაწილობრივ წარმოჩენას.

ყოველ ეპოქაში პედაგოგობას განსაკუთრებული პატივი მიეგებოდა, რადგან პედაგოგის ღვაწლის სრულყოფა, ამ გ'ა'ხე წარმატება უდიდეს ძალისხმევასთან არის დაკავ'შირებული. არ არის შემთხვევითი ის, რომ ცნობილი საეკლესიო მოღვაწე კლიმენტი ალექსანდრიელი, უპირველეს პედაგოგს უწოდებს ჩვენს მაცხოვარს, რომელმაც გამოხსნასთან ერთად კაცობრიობას მაცხოვნებელი მოძღვრება მიჰმადლა და მარადიული ნათლისაკენ უწინამძღვრა.

ამა თუ იმ პიროვნების ნაღვაწი იმის მიხედვით ფასდება, თ'ე რამდენად თანხმობაშია იგი ჭეშმარიტებასთან, რამდენად ემსახურება მარადიულ ფასე'ულობებს თავისი საქმიანობით და ცხოვრების წესით, რამდენად ამკვიდრებს მაღალ ზნეობას, სულიერებას, ღვთისა და სამშობლოსადმი, მოყვასისადმი პასუხისმგებლობას, სიყვარულისა და ერთგულების გრძნობას.

თვალ'შისაცემია ახალგაზრდა ავტორის მოკრძალებულობა, გულისხმიერება, განათლებულობა, როდესაც იგი საქართველოს სახალხო მასწაელებლის, ბატონ დავით გონდაურის საქმიანობას ეხება და ეს არც არის გასაკვირი, რადგან დავით გონდაური – „უმცროსი" ის პიროვნებაა, რომელმაც კარგად იცის რწმენისა და განათლების მნიშვნელობა. მისი ავტორობით გამოს'ული ეს წიგნი, მადლიერების გამომხატველი ერთგვარი შეხმიანებაც იქნება 'უფროსი დავით გონდაურის ღვაწ'ლთან, რომელიც ათწ'ლე'ულების განმავლობა'ში ეწეოდა პედაგოგის მძიმე, მაგრამ საპატიო 'ულელს.

დეკანოზი **ბიორგი ზვიადაძე**

თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის

პროორექტორი

* * *

ნეტარია კაცი, რომელიც არა მხოლოდ შეიძენს ცოდნას, არამედ ამ ცოდნას სიბრძნესთან ერთად, თავის თანამედროვე და მომავალ თაობებს გადასცემს. ამ აზრით, პედაგოგის პროფესია ყველაზე საპატიო და გამორჩეულია ქვეყანაზე არსებულ პროფესიათა შორის. პედაგოგი ხომ ახალგაზრდის სულის მძერწავია, მოძღვარია, რომელიც ადამიანს მთელ ცხოვრებაში სულიერ საზრდოს სთავაზობს.

გამოჩინებულ ადამიანთა შორის დავით გონდაურ – დიდს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მისაბაძი მაგალითია არაერთი თაობისათვის. სახალხო მასწავლებლის წოდება ყველაზე უფრო ნათლად ახასიათებს ამ პიროვნების მიერ განვლილ გზასა და ნამოღვაწარს.

ჩემთვის ფრიად სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ დავით გონდაურმა – პატარამ, ჩვენი ფაკულტეტის ერთ–ერთმა წარჩინებულმა მაგისტრანტმა და მაღალი სულის მქონე ახალგაზრდამ, ღირსეული პატივი მიაგო სახელოვანი პაპის ნათელ ხსოვნას და წრფელი გულით დაწერილი ეს პატარა წიგნი მიუძღვნა.

წარმატება მინდა ვუსურვო დათოს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მის ნაშრომს კი გზა დაეულოცო ქართველი მკითხველის გულისა და გონებისაკენ სავალ გზაზე.

ელგუჯა მეძვაბიშვილი

თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი,
ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი

* * *

გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის დავით გონდაურის ცხოვრება დასაფასებელია მისივე საქმიანობით, იმ კვალით, რომელიც მან დატოვა მომავალი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდისათვის. იგი მაგალითი იყო ყველასათვის და სწორედ ამიტომაც, საქართველოს ისტორიის განვითარების ძნელბედობის წლებშიც, ანარქიის ცივი ზამთრის გრძელ ღამეებში, მას წუთითაც არ გაუგდია კალამი ხელიდან. იგი მუხლჩაუხრელად იდგა იმპერიის მიერ დასეტყვილი ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე. მან უდიდესი სამსახური გაუწია ერსა და სამშობლოს თავისი მოღვაწეობით. წლებისაგან გათეთრებულ მხცოვან მეცნიერს კარგად ესმოდა, რომ ერის ტრაგედია მაშინ იწყება, როდესაც ის კარგავს საზოგადოებრივ იდეალს, როდესაც ხელიდან ეცლება ეროვნული მისწრაფება და მისი ენერგია ექვემდებარება მეშჩანურ ობივატელურ კეთილდღეობის უსრუნველყოფის მიზნებს.

მისი ნათელი ხსოვნისა და გაწეული შრომის დაფასების გამოხატულებას წარმოადგენს შვილიშვილის, ახალგაზრდა მეცნიერის დავით გონდაურის წიგნი, რომელშიც აღწერილია საყოველთაოდ ცნობილი მათემატიკოსის, აწგარდაცვლილი სკოლის მათემატიკური მეცნიერების პატრიარქის, დიდი დავით გონდაურის საზოგადოებრივი და პედაგოგიური საქმიანობის განვლილი გზა. გეჯერა, რომ ამ დიდებული ქართველი მამულიშვილის შვილიშვილი, „ფინანსების და კრედიტის" კათედრის ახალგაზრდა მსარდი მეცნიერი, ჩემი უმცროსი მეგობარი – დათო გონდაური წარმატებით გააგრძელებს სახელოვანი ბაბუის ოჯახის ტრადიციებს.

ბივი გამსახურდია

თსუ „ფინანსების და კრედიტის" კათედრის გამგე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი

* * *

ბედნიერია და გამორჩეული ქვეყანა, რომელსაც ჰყავს ისეთი მასწავლებლები, როგორიც დავით გონდაური იყო. საქართველოში ყოველთვის იყვნენ და იქნებიან სახელოვანი მასწავლებლები, რომელთა დანიშნულება მომავალი თაობის აღზრდაა. მათ შორის ნამდვილად გამორჩეულია ჭეშმარიტად სახალხო მასწავლებელი დავით გონდაური. მათემატიკის დიდი მასწავლებელი, რომელიც ყველასათვის სამაგალითო იყო არა მარტო თავისი საგნის ღრმა ცოდნით და პედაგოგიური ოსტატობით, არამედ თავისი დამოკიდებულებით საყვარელი პროფესიისადმი, თავისი ურთიერთობით მოსწავლეებთან და ახალგაზრდა კოლეგებთან. ბატონი დავითის მოსწავლეებად თავს მრავალი მასწავლებელი და სხვა პროფესიის ადამიანი თვლის და ამით ამაყობს.

მადლობა მინდა ვუთხრა დავით გონდაურ – „უმცროსს", რომელმაც დღევანდელი რთული და დაძაბული ცხოვრების რიტმის მიუხედავად, შესანიშნავი ნაშრომი მიუძღვნა დიდი დავით გონდაურის ცხოვრებას და ამით დაგვანახა, რომ დავით გონდაური ისევ არის და მარადჟამს იქნება.

ავთანდილ გაგნიძე

თსუ „დიფერენციალური და ინტეგრალური
განტოლებების" კათედრის გამგე, ფიზიკა–მათემატიკის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

* * *

ადამიანის ცხოვრება ფასდება მისი საქმიანობით, იმ კვალით, რომელსაც იგი ტოვებს საზოგადოებაში. არ არის აუცილებელი იყო გენიალური მთავარსარდალი, განთქმული მსახიობი, ან გამოჩენილი მეცნიერი, რომ მომდევნო თაობებმა პატივისცემით, სიამაყით და სიყვარულით გაიხსენონ შენი სახელი. მთავარია, იპოვო ცხოვრებაში ადგილი, საყვარელი საქმე და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ემსახურო მას, მიუძღვნა ამ საქმეს უკანასკნელ წვეთამდე ენერგია, ნიჭი და სულიერი ძალები.

ასეთი იყო გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, მათემატიკოსი, დავით გონდაური. დიდი დავითის შვილიშვილი, დათო გონდაური, დიდი სიყვარულით და პატივისცემით იგონებს ბაბუას, გვაცნობს ჩვენ ამ დიდი პიროვნების პედაგოგიურ, საზოგადოებრივ და ოჯახურ ცხოვრებას. ღრმა პატივისცემით და დიდი სიყვარულით დაწერილ ბიოგრაფიიდან, თანამედროვეებისა და მოწაფეების მოგონებებიდან იქმნება დიდი პედაგოგის, მეოჯახის, საზოგადო მოღვაწის, დიდი ქართველის სახე, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება ემსახურებოდა საყვარელ საქმეს.

„თქვენ პედაგოგად ხართ გაჩენილი,
თაობის აღზრდა სიყვარულია," –

მადლიერებით წერენ დიდი დავითის მოწაფეები. დავით გონდაურმა გაზარდა არაერთი თაობა. მის მოწაფეებს შორის ბევრია გამოჩენილი მეცნიერი, ექიმი და საზოგადო მოღვაწე. ყველა თბილად იგონებს თავის დიდ მასწავლებელს, ჰუმანიზმით და კაცმოყვარეობით აღსავსე პიროვნებას, რომელმაც ასწავლა მათ არა მხოლოდ მათემატიკა, არამედ შთააგონა სიყვარული შემეცნებისაკენ, მისცა დაუღალავი შრომის და შემოქმედების ძალა, რომელიც ეყოთ მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

თამარ სანიკიძე
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ავტორისაგან

რატომ ვწერ ამ წიგნს? რის თქმას ვაპირებ?

ნებისმიერი საქმის ისტორია ყოველთვის ადამიანის ისტორიაცაა. ჩვენს ხვედრს ჩვენივე საქმეები იზიარებენ და გამონაკლისი არც ეს წიგნია. მასაც აქვს თავისი ისტორია, რომელშიც ბაბუაჩემის ცხოვრების მოვლენებია ასახული. თავისთავად დავით გონდაურის მოღვაწეობა ფართო ინტერესის საგანი არ იქნებოდა, ის ჩვენი ქვეყნის არსებობის გადამწყვეტ პერიოდთან რომ არ იყოს დაკავშირებული. გულწრფელი არ ვიქნები, თუ მოვყვები იმის მტკიცებას, რომ ბაბუას ცხოვრება ღარიბია მოვლენებით და ერთ წიგნს ვერ გასწვდება. სტრიქონი მაშინ არის დაწერის ღირსი, თუ ის წაკითხვის ღირსიცაა. ამიტომაც ღირდა ამ წიგნის დაწერა.

ჩემი ნაამბობი ზოგს, შეიძლება, მეტისმეტად გავრცობილი მოეჩვენოს. თუკი ასეა, წინასწარ გთხოვთ მიტევებას. თუმცა ვფიქრობ, რომ სხვაგვარად არ ივარგებდა, რადგან ბაბუამ, ისევე როგორც მისი თაობის ყველა ადამიანმა ცხოვრების რთული გზა განვლო. ეს იყო გზა რწმენისა, ცდომილებისა, ჭეშმარიტების წვდომისა...

ბაბუაჩემი ყოველთვის თავს საკუთარი თვალისმომჭრელი კიაფით შემახსენებდა. იგი მეტყოდა: იყავ ფრთხილად, იმოღვაწე ღირსეულად, აკეთე სხვისთვის ის, რასაც შენი თავისათვის მოიმოქმედებდიო. დღემდე ვცდილობ, ამ შეგონების ერთგული დავრჩე.

ყველა საქმეში მთავარია დასაწყისი. ამ დასაწყისით, შეიძლება დიდი რისკი გაწიო. დიახ, მე რისკის გაწევა მომიხდა, მაგრამ ვიცოდი, რისთვისაც მივდიოდი რისკზე,

ეს ის პროცესია, როცა საკუთარი თავის ლაჩრული დანდობით, სასწორზე აგდებ ყველაფერს: ნდობას, პატივისცემას, ადამიანთა მხარდაჭერას...

ჩემი რწმენის და გადაწყვეტილების საფუძველი უნივერსიტეტმა მომცა. ჩემი განზრახვა, უნივერსიტეტში სწავლა, ზეგარდმო მადლით არის შთაგონებული, რისთვისაც მხურვალედ ვსწირავ მადლობას უფალს.

აქვე მინდა ვისარგებლო და უღრმესი პატივი მივაგო **უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქს ილია II,** რომლის ლოცვა–კურთხევითაც დღემდე მოვედი; სულიერად აღმზრდელს, მაღალყოვლადუსამღვდელოეს მთავარეპისკოპოსს ფოთისა და ხობისა, **მეუფე გრიგოლს;** თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის პრორექტორ, დეკანოზ **გიორგი ზვიადაძეს;** არქიდიაკვან **დემეტრე დავითაშვილს;** ჩემს გამზრდელებს და უფროს კოლეგებს: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **როინ მეტრეველს;** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტ **ა.სილაგაძეს;** *პროფესორებს:* **გ.გამსახურდიას, ე.მექვაბიშვილს, შ.ქისტაურს, მ.ტურავას, ე.ხარაიშვილს, რ.ასათიანს, თ.გამსახურდიას, ნ.ჯავახიშვილს, ა.გაგნიძეს;** *დოცენტებს:* **ჰ.ყარაშვილს, ი.გიგოშვილს, ც.სეხნიაშვილს, ნ.ჯიქიას, გ.შიხაშვილს, პ.ბერიშვილს, ნ.კაკაშვილს, რ.მამალაძეს, ნ.ბერძენაძეს, ხ.ბარბაქაძეს** არა მარტო მათი დიდი პროფესიონალიზმისათვის, არამედ ჩემდამი მათი წმიდა ადამიანური თვისებების გამოვლენისათვის. *სწორედ მათი მეცადინეობით შეეძელი ამ წიგნზე მუშაობა, მათ მასწავლეს წერის სტილი და კულტურა.*

გაწეული დახმარებისათვის, მინდა მადლობა მოვახსენო წიგნის რედაქტორს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, პოლკოვნიკს, პუბლიცისტს, დ.გონდაურის ყოფილ მოსწავლეს ბატონ გელა სულაძეს, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სისტემაში მოღვაწეობს. ასევე, მადლიერების გრძნობას გამოვხატავ ყველა იმ პირის მიმართ, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ წიგნის შედგენაში და გამოცემაში.

ამავდროულად მინდა გულწრფელად მოვუბოდიშო მათ, ვისაც სურდა საკუთარი აზრის გამოთქმა დავით გონდაურის მისამართით, თუმცა წიგნის ფორმატმა ამის საშუალება არ მოგვცა. იქნებ ეს სხვა დროისათვის და სხვა ვითარებაში მოხერხდეს!

არ ვიცი, შეასრულებს თუ არა ეს ჩემი მოკრძალებული ნაღვაწი თავის დანიშნულებას. მაგრამ, როგორც არ უნდა შეაფასოს იგი მკითხველმა, როგორი განაჩენიც არ უნდა გამოუტანონ ამ წიგნსა და მის ავტორს დრომ და საზოგადოებამ, ერთი რამ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა: გამიჭირდებოდა ცხოვრება, ყოველივე ეს რომ არ მეთქვა!

წინასიტყვა

წინამდებარე ბიოგრაფიულ ნარკვევში წარმოდგენილია გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის დავით გონდაურის შესახებ ზოგიერთი ისეთი ცნობა, რომელიც მის ცნობილ ბიოგრაფიაში არ არის შესული. გარდა ამისა, ამ ნაშრომს დართული აქვს მოგონებები დავით გონდაურის შესახებ, ასევე დღემდე გამოუქვეყნებელი ფოტოსურათები.

წიგნი დაეხმარება მკითხველს რამდენადმე სრული წარმოდგენა იქონიოს ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილის, საქართველოს სახალხო მასწავლებლის დავით გონდაურის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ადამიანის, რომელმაც უდიდესი სამსახური გაუწია თავის ერსა და სამშობლოს უმწიკვლო ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირადი მაგალითით.

დავით გონდაური ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ისე, როგორც შეჰფეროდა ჭეშმარიტ სახალხო მასწავლებელს. განუწყვეტლივ თავის კეთილშობილურ საქმეზე ზრუნვით იყო მოცული, არ აკმაყოფილებდა მიღწეული, ყოველთვის ახლის ძიებაში იყო.

აღზრდის ახალ–ახალი მეთოდებისა და ხერხების დაუღალავი ძიება, შეუპოვარი ზრუნვა მომავალი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდისათვის, საკუთარ სპეციალობაში – მათემატიკაში ღრმა განსწავლულობა, მაღალპედაგოგიური ოსტატობა და ერუდირება, მკაცრი მომთხოვნელობა საკუთარი თავის, მასწავლებლისა და მოსწავლისადმი... აი, ის მაღალი მოქალაქეობრივი და ადამიანური თვისებები, რომელმაც მოუტანა დავით გონდაურს

მრავალი გამარჯვება თავისი ცხოერების მანძილზე. იგი თავისი პირადი მაგალითით მისაბაძი იყო ყველასათვის.

წარმოდგენილი ნაშრომი შედგენილია დავით გონდაურის შესახებ წლების მანძილზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების, მისი საზოგადოებრივი და პედაგოგიური საქმიანობის ამსახველი მასალებისა და პირადი ჩანაწერების საფუძველზე. ავტორს დიდი დახმარება გაუწიეს ბატონ დავითის ყოფილი კოლეგებისა და მოწაფეების მოგონებებმა და შეფასებებმა.

და მაინც, რით მოიპოვა ასეთი დიდი აღიარება დავით გონდაურმა? რამ გაუთქვა სახელი? რა არის აქ სხვებისათვის მისაბაძი და სამაგალითო?

განცვლილი დიდი გზა

„მას არ უთქვამს, არ გაუკეთებია
და არ განუცდია ისეთი რამ,
ქების ღირსი არ ყოფილიყო".
ჩესტერფილდი

მათემატიკოსი დავით ზაქარიას ძე გონდაური დაიბადა 1921 წლის 23 იანვარს, თბილისის ერთ–ერთ ძველ უბანში–ავლაბარში, მოსამსახურის ოჯახში. მამა – ზაქარია ილიას ძე გონდაური (1875–1940წ. 14/XII). დედა – მარიამ ზაქარიას ასული დუჩიძე– გონდაურისა (1888–1960წ. 1/VIII).

იგი შვიდ დედმამიშვილში რიგით მეექვსე იყო. იმთავითვე ცნობისმოყვარე და ცელქი ბავშვი ყოფილა: „ინტერესით ვუგდებდი ყურს უფროსებს, მათ საუბრებს, მიყვარდა წიგნის კითხვა, ვკითხულობდი, ვკითხულობდი ყველაფერს, ჩემი ერთადერთი საკუთრება განათლება იყო..." იგონებდა შემდეგ მათემატიკოსი. სისხარტით და სისადავით აღსავსე მისი ჭაბუკური ცხოვრება მოკლებული იყო ყოველგვარ ხიფათებსა და ფათერაკებს. წიგნი და კითხვა – აი, რა იყო იმ დროს მისთვის ყველაზე ფასეული.

დავითმა 1937 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის IV სანიმუშო სკოლა, რომელიც მოგვიანებით ჯერ ვაუთა 24-ე, 77-ე და ამჟამად კი V გიმნაზიად გადაკეთდა. ამ დროისათვის წარჩინებულთათვის ოქროს მედლები არ იყო და დავითს საუკეთესო მოსწავლის „ოქროსარში-

ანი" ატესტატი გადაეცა. აქედან გამომდინარე, ის უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა–მატემატიკის ფაკულტეტის პირველ კურსზე. დაიწყო სტუდენტური ცხოვრება. სტუდენტის ჩათვლის წიგნაკში დავით გონდაურს უცვლელად, სესიიდან სესიამდე, მხოლოდ მაღალი ნიშნები ეწერებოდა. ის არა მხოლოდ ასწრებდა სასწავლო პროგრამის ათვისებას, არამედ, როგორც წესი, უსწრებდა მათ, წინასწარ დამოუკიდებლად კითხულობდა ყველა სახელმძღვანელოს და დამხმარე ლიტერატურას.

მამის – ზაქარია გონდაურის გარდაცვალების გამო 1940 წელს, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებამდე, მუშაობა დაიწყო მშობლიურ 77-ე საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად, სადაც უწყვეტად, სიცოცხლის ბოლომდე იმსახურა. უმაღლეს სასწავლებელში თავი აღიდგინა მოგვიანებით, 1953 წელს და დაამთავრა ა.ს. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის ფიზიკა– მათემატიკის ფაკულტეტი. „ასე შეკივსე ხარვეზები თვითგანვითარებაში და უფრო გაბედულად შევუდექი დამოუკიდებელ მათემატიკურ მუშაობას... უნივერსიტეტში მოსმენილმა ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება დატოვა."

დავითი 1946 წელს ოჯახს მოეკიდა. მეუღლე თამარ მელიტონის ასული ძაგანია, 30 წლის მანძილზე იყო განათლების მუშაკთა რესპუბლიკური სახლის დირექტორი. მას მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება". საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის ორდენით" ვაჟიშვილი – გივი ინჟინერი და მათემატიკოსია, ქალიშვილი ეთერი

კი აგრძელებს მამის ტრადიციებს. ის თბილისის V გიმნაზიის ბიოლოგიის მასწავლებელია.

მუშაობის პირველ წლებში დავით გონდაურის მეთოდურად დახელოვნებაში და პედაგოგად ჩამოყალიბებაში დიდი წელილი შეიტანეს საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებელმა გრიგოლ კობახიძემ, ცნობილმა მეთოდისტებმა – ნიკოლაძემ, ძიგავამ, ილია შტეინბერგმა, ვიქტორ კვიმსაძემ, სიმონ შარაშენიძემ და სხვებმა.

ახალგაზრდა მასწავლებელი ხშირად ითვისებდა მეთოდიკას „კობახიძის მიხედვით". სკოლის დირექტორი ბატონი გრიგოლ კობახიძე ახალბედას აძლევდა არამარტო ერთჯერად მითითებებსა და რჩევებს, არა მარტო დაჟინებით მიჰყავდა იგი ეტაპიდან ეტაპამდე კონკრეტული პედაგოგიური ამოცანების ოპტიმალური გადაწყვეტისაკენ, არამედ სულ უფრო ხშირად სთხოვდა პასუხს დამოუკიდებელი ძიებისათვის. და დროთა განმავლობაში მეთოდიკამ „კობახიძის მიხედვით" დაიწყო „გონდაურის მიხედვით" მეთოდიკად ტრანსფორმირება.

„გამზრდელს", ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენებდა დავითი: „ჩვენ აი უკვე 40 წელია ერთად ვართ. თავიდანვე ასეთი იყო გრიგოლი – ენერგიული, საქმეს გადაგებული, ამ საქმემ გააჭაღარავა. მე რომ მახსოვს, ეს სკოლა სკოლას არ ჰგავდა, მისი ნასათუთებია ყველაფერი. ჩვენთვისაც, თანამშრომლებისთვისაც კაცური კაცია. მისი მეცადინეობით მაქვს ეს დამსახურება და ორდენები..."[1]

„წარუმატებლობის ფესვები მოსწავლეებში კი არ არის, არამედ შენშია", გ.კობახიძის ეს ანდერძი გონდაურმა ჯერ

[1]ვილენ მარდალეიშვილი, „ძვირფასი წუთები", გამომცემლობა „ხელოვნება", 1981 წელი, გვ 31.

კიდევ პედაგოგიური კარიერის დასაწყისშივე აითვისა. მაგრამ მოგვიანებით, როცა იგი აღიარებული ოსტატი გახდა, სიცოცხლის ბოლომდე განაგრძობდა მისდამი ერთგულ მსახურებას. სკოლაში მრავალ პედაგოგს, კობახიძის შემდგომ, დ.გონდაურმა მისცა მასწავლებლის ცხოვრების საგზური.

დავითთან ერთად მოღვაწეობდნენ აწ გარდაცვლილი ცნობილი პედაგოგები: ვლადიმერ ბაძაღუა, გოგი ღლონტი, დმესხი ეჩხეიძე, მ.აივაზოვი ს.ქაჯაია, ს.ქავთარია, ტ.ჯავახოვი, ვ.კაკაბაძე, ქ.ვარსიმაშვილი, ნ.მიქაშვილი, ა.ჯობაძე, ე.მოსაშვილი, მ.თანდიაშვილი, თ.დანელია, ც.კოპალიანი, ვ.სანიკიძე. ე.შიუკაშვილი, ნ.გოჩიტაშვილი, ე.ციციშვილი, თ.ლომსაძე,ე.ფერაძე, ლ.ქიტუაშვილი, თ.ლომიძე, გრ.ბახტაძე, პ.ბოკუჩავა, ნ.მატათაშვილი, მ.ჩხარტიშვილი, თ.ყიფიანი, მ.ხუნდაძე და ა.შ. დღესაც ქმედითი პედაგოგები არიან: სკოლის დირექტორი – ალექსანდრე ჯავახიშვილი, ფიზიკოსი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ლავრენტი ჯაშიაშვილი, მათემატიკოსი აკაკი სვანიძე, ზაქრო ედიშერაშვილი, ნ.სიხარულიძე, გ,წულაია, დ.შენგელია, მ.მამუჩიშვილი, ც.ფრანგიშვილი, ვ.ჟორდანია, ქ.ნიქაბაძე, თ.როგავა, გოჩა გლოველი, გოგი გოგორელიანი, მარიკა ილურიძე, ნათელა ნადარეიშვილი, ეთერ გონდაური და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი არიან ისინი?

დავით გონდაური და გრიგოლ კობახიძე – ეს, ასე ვთქვათ, 77-ე სკოლის ძველი გვარდია იყო. ასაკში განსხვავება მათ შორის სულ 10 წელი იყო. სკოლაში მოღვაწეობის პერიოდში არცერთს არ დაუკარგავს შემართება, ორივეს დრომ და სკოლამ შეუვერცხლა თმები. მათ ყოველთვის მუქი, მოხდენილი კოს-

ტუმები ეცვათ, სხვანაირად კლასში შესვლა, მათ სკოლაში არ იყო მიღებული. საქმე გარეგნულ მსგავსებაში არ იყო. ამ ორ ადამიანს უფრო მნიშვნელოვანი რამ აერთიანებდა.

ოსტატი – აღმზრდელი მოწაფისა, მიწაფე, თავად რომ იქცა ოსტატად და ავიდა თავისი დამრიგებლის დონეზე, რათა თავის მხრივ თავის სიმაღლეზე და უფრო მაღლა აეყვანა ახალი მოსწავლეები. ალბათ, ეს არის განუწყვეტელი სასკოლო ესტაფეტის არსი, მძიმე და მშვენიერი მასწავლებლური ცხოვრების აზრი.

თვითონ დ. გონდაური დიდად აფასებდა მისი უფროსი ძმის – ივანე გონდაურის, როგორც მისი პირველი მათემატიკის მასწავლებლის როლს. „ჩემზე უდიდესი გავლენა იქონია ჩემმა უფროსმა ძმამ – ივანე ზაქარიას ძე გონდაურმა, რომელიც თავის დროზე მათემატიკის საუკეთესო მასწავლებლად ითვლებოდა ლაგოდეხის რაიონში და თბილისში. იგი დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა, როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. ალბათ, ჩემი ძმის საიდუმლო ძალა მიმბაძველობისაკენ მიბიძგებდა. აი, ცოცხალი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია კარგ მასწავლებელს პირადი მაგალითით საგანი და თავისი თავი შეაყვაროს მოსწავლეებს.“

საქმემ ახალგაზრდა დავითი პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყებიდანვე მიიზიდა. ბევრს მუშაობდა საკუთარ თავზე. დავალებებს დროულად და მაღალ დონეზე ასრულებდა. მოწაფეობის პერიოდშიევ ჰქონდა თვისება, რომ ყველაზე ადრე და ლამაზად შეესრულებინა მასწავლებლის თითოეული დავალება. ეს თვისება ბოლომდე გაჰყვა პედაგოგიურ ფრონტზე მთელი მუშაობის პერიოდში.

„ვგრძნობდი, რომ სკოლის დირექციას, პედკოლექტივს ჩემი მუშაობა ძალზე მოსწონდათ. მოსწავლეებშიც მოვიპოვე აუტორიტეტი და სიყვარული; მათ ჩემი სჯეროდათ – ეს კი გამარჯვებას უდრიდა. ვგრძნობდი, რომ ზუსტად მოვერგე პროფესიას. ისე მიმიღო სკოლამ, როგორც მე ვნატრობდი და წარმოვიდგენდი.“

ჯერ კიდევ იმ პერიოდში (1960 წლამდე), როდესაც 77–ე სკოლა არ იყო გადასული სწავლების კაბინეტურ სისტემაზე, დ. გონდაური მათემატიკას ასწავლიდა თვალსაჩინოების გამოყენებით და პრაქტიკულ საქმიანობასთან მჭიდრო კავშირში. თვალსაჩინოების და შესაბამისი ხელსაწყოების ბაზა სუსტად უზრუნველყოფდა სკოლებს საჭირო დიდაქტიკური მასალებითა და ხელსაწყო–იარაღებით. რაც კი ბაზაში იშოვებოდა, სრულად გადმოჰქონდათ სკოლაში. აღნიშვნის ღირსია სკოლის დირექტორის, საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებლის გრიგოლ კობახიძის უდიდესი ღვაწლი სკოლის სასწავლო–მატერიალური ბაზის შექმნისა და გამდიდრების საქმეში. „მე ვგრძნობდი, რომ ადრე თუ გვიან სკოლა გადავიდოდა სწავლების კაბინეტურ სისტემაზე და ყველაფერი წესიერად წარიმართებოდა.“ ეს მომენტიც დადგა. 1960 წელს სკოლა გადავიდა სწავლების კაბინეტურ სისტემაზე. შეიქმნა მათემატიკის სამი კაბინეტი. ისინი წლების განმავლობაში დაგროვილი ქარხნული და თვითნაკეთი ხელსაწყო–იარაღებით, ასევე სხვა დიდაქტიკური მასალით აღიჭურვა.

„...ისედაც მდიდარ მათემატიკის კაბინეტს შეემატა ახალი ხელსაწყოები და იარაღები, რომელთა საშუალებით

საკუთარი შესაძლებელი გახდა პროგრამით გათვალისწინებული ყველა პრაქტიკული სამუშაოს შესრულება როგორც ინდივიდუალური, ისე ფრონტალური ლაბორატორიული გზით: კაბინეტის ხელსაწყო—იარაღები რაოდენობის მხრივ მთლიანად უზრუნველყოფდა პრაქტიკუმებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებას. ეს ყველაფერი დიდი დამსახურებაა დავით გონდაურისა, რომელიც განუწყვეტლივ ზრუნავს იმაზე, რომ კაბინეტი შეავსოს როგორც ქარხნული წესით, ისე მოსწავლეთა მიერ დამზადებული თვითნაკეთობებით — მოდელებით, მაკეტებით, ტაბულებით, სქემებით, ნახაზებით." [2]

№1 კაბინეტში დავითის პირადი წიგნის ფონდით შექმნილია მდიდარი მათემატიკური ბიბლიოთეკა, რომელიც საშუალო და უმაღლესი სკოლების სასწავლო სახელმძღვანელოების, მეთოდური, დამხმარე საოლიმპიადო—საკონკურსო, საწრეო, გასართობი ხასიათის, ფაკულტატური კურსის მათემატიკის ისტორიის, საცნობარო, ენციკლოპედიური, საჟურნალო და სხვა სახის ლიტერატურის 2000-ზე მეტ ეგზემპლარს ითვლის. ამ ბიბლიოთეკაში ინახება სხვადასხვა დროის მოსწავლეთა საკონტროლო და საკლასო—საშინაო ცალკეულ ტომებად აკინძული სანიმუშო რვეულები. აქვე ინახება აგრეთვე მოსწავლეთა მიერ მათემატიკის წრეში წაკითხული მოხსენებები, ალბომები, მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებების ასლები, 1950 წლიდან დღემდე მათემატიკის წრის მიერ გამოშვებული კედლის გაზეთის ნომრები, მოსწავლეთა საგაზეთო წერ-

---

[2] გ. ალავერდაშვილი, „პედაგოგიური შრომის ოსტატები," გამომცემლობა „განათლება," თბილისი, 1966 წელი, გვ. 30.

ილები (არქივი), მის მიერ სხვადასხვა წლებში შექმნილი მათემატიკის სავარჯიშოთა კრებულები, რომლებსაც იყენებდა გაკვეთილებზე და კლასგარეშე მუშაობის დროს. მათემატიკის კაბინეტში მისი პირადი მონდომებით და სახელგამის მაღაზიებთან მუდმივი კონტაქტით შექმნილია მდიდარი ფილმოთეკა, რომელიც ითვლის 100-ზე მეტი დასახელების სასწავლო ფილმს, დიაფილმს, დიაპოზიტივს, რომლებიც განკუთვნილია I–X კლასებისათვის.

„...დავით გონდაურს, აბა რა მოასვენებდა, რომ არ ეზრუნა მათემატიკის კაბინეტის მოწყობაზე! იმდენს ეცადა, რომ გრიგოლ კობახიძეს სამი ოთახი დაათმობინა ამ საქმიანობისათვის; ახლა აქ მათემატიკის სამი კაბინეტია აღჭურვილი ყველა ხელსაწყო–იარაღითა და თვალსაჩინოებით, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროგრამების სრულყოფილად გავლას ცალკეული კლასების მიხედვით...”[3]

ამ ბიბლიოთეკითა და ფილმოთეკით ფართოდ სარგებლობდნენ როგორც მოსწავლეები, ასევე თბილისისა და მთლიანად საქართველოს სხვადასხვა სკოლის მასწავლებლები.

მათემატიკის ყოველი გაკვეთილისათვის გონდაური სასწავლო წლის დაწყებამდე ემზადებოდა, რაც, როგორც თვითონ მიანიშნებდა, შემდეგში გამოიხატებოდა: „შვებულების პერიოდში ვადგენ საგნის წლიურ თემატიკურ გეგმებს კლასებისა და საგნების მიხედვით. იგი არ არის ჩვეულებრივი თემატიკური გეგმა, რომელშიაც ჩამოთვლილია მხოლოდ გაკვეთილის თემები, საჭირო საათები

[3] გ. ალავერდაშვილი, „მზრდელი ყრმისა”, თსუ გამომცემლობა, 1974 წელი. გვ. 48.

და ჩატარების თარიღები, არამედ, გარდა ამ საკითხებისა თემატიკურ გეგმებში მითითებულია თითოეული გაკვეთილისათვის რა მეთოდური ლიტერატურის გამოყენებაა საჭირო. ამ გრაფაში ჩამოთვლილია დამხმარე, მეთოდური თუ სხვა სახის სახელმძღვანელები ავტორების დასახელებით, მეთოდური ჟურნალები ან მეთოდური წერილების სხვადასხვა კრებულები და ბროშურები, გამოცემის წლების, ნომრებისა და გვერდების ჩვენებით. გარდა ამისა, ყოველი დასახელებული თემის გასწვრივ, სპეციალურ გრაფაში მითითებულია, თუ რა თვალსაჩინო ხელსაწყო–იარაღის, მოდელის, ნახაზის, ცხრილისა თუ გრაფიკის, ან რა სახის ტექნიკური საშუალების გამოყენებაა საჭირო, რომელი ფილმის, დიაფილმის თუ დიაპოზიტივის ჩვენებაა აუცილებელი გაკვეთილზე. აღნიშნულია გაკვეთილზე წინა წლებიდან გასამეორებელი მასალა. ასევე, თუ რა თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალის შექმნაა საჭირო წინა სასწავლო წლის პრაქტიკით ნაკარნახევი. გამოყოფილია გრაფა საგანთა შორის კავშირისათვის, კორექტივებისათვის და სხვ. ახალი თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალა იქმნება არა ამა თუ იმ გაკვეთილის წინა დღეს, არამედ გაკვეთილის ჩატარებამდე რამდენიმე კვირით ადრე. ასეთნაირად შედგენილი თემატიკური გეგმა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში იძლევა სასწავლო პროცესის სწორად, გეგმაზომიერად და ეფექტურად წარმართვის საიმედო ორიენტაციას."

მოსწავლეთა სწავლა–აღზრდის მაღალ დონეზე დაყენების საქმეს დიდად უწყობს ხელს კლასგარეშე და

სკოლისგარეშე მუშაობა. კლასგარეშე მუშაობის ერთ–ერთი ძირითადი რგოლი წრეობრივი მუშაობაა. მათემატიკის წრეს (VIII–X კლ.) დავითი ყოველწლიურად ხელმძღვანელობდა. წრის მუშაობის წლიურ სამუშაო გეგმას ზაფხულის პერიოდში ადგენდა. სამუშაო გეგმაში, გარდა მოსწავლეთა მოხსენებებისა, გათვალისწინებული იყო ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადაში მონაწილეობა, მოსწავლეთა მუშაობა მათემატიკის კაბინეტში არსებული სასწავლო, თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალის კიდევ უფრო გამდიდრებისა და სრულყოფისათვის, კედლის გაზეთებსა და ალბომებზე მუშაობა, კონკურსებისა და შეჯიბრების მოწყობა და სხვ.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ჩამოვთვალოთ ძირითადი თეორიულ–პრაქტიკული ხასიათის საკითხები, რომლებიც წლების მანძილზე დამუშავებული და წაკითხულ იქნა დ.გონდაურის მიერ მათემატიკის წრეში. აი ისინი: ციფრებისა და რიცხვების ისტორია; რაციონალური რიცხვის ისტორია; ამოცანები აგებაზე, დამტკიცებასა და გამოანგარიშებაზე (პლანიმეტრიიდან, სტერეომეტრიიდან); მათემატიკური სოფიზმები და პარადოქსები; ნული და მისი მნიშვნელობა; ნიუტონის ცხოვრება და მისი შრომები; გენიალური რუსი მათემატიკოსის ნ.ი.ლობაჩევსკის არაევკლიდური გეომეტრია; ლოგარითმების აღმოჩენა და მისი განვითარება; თვლის სხვადასხვა სისტემა; როგორ ჩაისახა და განვითარდა თანამედროვე არითმეტიკა; ქართველი მათემატიკოსების ცხოვრება და მოღვაწეობა; ირაციონალური რიცხვები; წრის კვადრატურა; კუთხის ტრისექცია; ოქროს კვეთა; სამკუთხედი და მისი პრაქტიკული გამოყენება; მათემატიკის მნიშ-

ვნელობა კაცობრიობისათვის; მათემატიკა ტექნიკაში; მათემატიკა ბუნებაში; კომპლექსური რიცხვის ამოფენა; ტრიგონომეტრიულ ფორმაში წარმოდგენილ კომპლექსურ რიცხვებზე მოქმედებანი; რთული პროცენტები; მრავალწევრის გაყოფა მრავალწევრზე (კოეფიციენტთა მიღების ჰორნერის ხერხი); მიახლოებითი გამოთვლები; არითმეტიკული ამოცანები მოსაზრებულობაზე; პითაგორას თეორემის დამტკიცების სხვადასხვა ვარიანტი; გასართობი ამოცანები; სწრაფი, ზეპირი ანგარიშის ხერხები (არითმეტიკაში, ალგებრასა და ტრიგონომეტრიაში); პრაქტიკული სამუშაოები მიწაზე ასტროლაბიას, ეკერის, ეკლიმეტრისა და სხვათა გამოყენებით; რიცხვითი მწკრივები; ამოცანები კვადრატულ განტოლებათა გამოკვლევაზე; ტიპიური არითმეტიკული ამოცანების ამოხსნა; საკონკურსო ამოცანები; უწყვეტი ანუ ჯაჭვწილადები; შემოკლებული გამრავლებისა და გაყოფის ფორმულების გეომეტრიული თვალსაჩინოება; საკვირველი კვადრატი; მეორე და მესამე რიგის დეტერმინანტები და მათი გამოყენება ორ და სამუცნობიან წრფივ განტოლებათა სისტემის ამოსახსნელად; ადგილმდებარეობის აგებგმვა მენზულისა და ასტროლაბიის გამოყენებით; ცხრა შესანიშნავი წერტილი სამკუთხედში; დიდი რუსი მათემატიკოსების ცხოვრება და მოღვაწეობა; რუსული საანგარიშე და მასზე მოქმედებათა შესრულების ხერხები; სხვადასხვა სახის მასშტაბი და მათი პრაქტიკული გამოყენება; პანტოგრაფი, მისი აგების პრინციპი,დამზადების წესი და გამოყენება; კურვიმეტრი, რუკებზე ნამდვილი მანძილის განსაზღვრა კურვიმეტრისა და მასშტაბების საშუალებით; ლოგარითმებ-

ის სხვადასხვა სისტემა; კითხვები, მაგალითები და ამოცანები მოსაზრებულობაზე მათემატიკის სხვადასხვა განყოფილებიდან (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია); ამოცანები ტრიგონომეტრიულ განტოლებათა შედგენასა და ამოხსნაზე; ტიპიური ამოცანები ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადისათვის; π რიცხვი და მისი გამოანგარიშების სხვადასხვა ხერხი; ნორჩ მათემატიკოსთა საქალაქო და რესპუბლიკურ ოლიმპიადების სხვადასხვა ტურებში მიცემულ ამოცანათა ამოხსნა; ზოგიერთი ირაციონალური გარდაქმნებისა და განტოლებების შესახებ; ქარხანა და მათემატიკა; სიმეტრიული (ანუ შექცეული) განტოლებანი; მაგალითებისა და ამოცანების შედგენის ხერხები მათემატიკაში; მათემატიკური საანგარიშო (გამომთვლელი) მანქანა, მისი აგებულებისა და გამოყენების პრინციპი; ფუნქციები და გრაფიკული ხერხები; სწრაფი ზეპირი პროცენტული გამოანგარიშებანი; ჩვენი სახელმძღვანელოების ავტორები; სხვადასხვა მათემატიკური თამაშობანი; ცნობები ჭადრაკის წარმოშობის ისტორიიდან და სხვ.

1962 წელს მათემატიკის წრის წევრთა მიერ ზოგიერთი ლამაზად შესრულებული მოდელი, კედლის გაზეთი და მისი მოხსენება, სკოლის სხვა მასალებთან ერთად გაგზავნილ იქნა სახალხო მეურნეობის მიღწევათა

გამოფენაზე. გამოფენაზე გონდაურის მონაწილეობა აღინიშნა ჯილდოებით და ფასიანი საჩუქრებით. ნახსენები მათემატიკის წრის ნამუშევრები სხვადასხვა წელს გატანილ იქნა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში, მოსწავლე–ახალგაზრდობის სასახლისა და თბილისის სარაიონო და საქალაქო გამოფენებზე. მისი მოსწავლეები ყოველწლიურად მონაწილეობდნენ სასწავლო-შემოქმედებით რესპუბლიკურ კონფერენციებში და იმსახურებდნენ დიპლომებსა და ქების სიგელებს.

„– დღეს მოსკოვიდან ჩვენს სკოლაში სასიხარულო ამბავი მოვიდა, – აცხადებს სკოლის დირექტორი, გრიგოლ კობახიძე, – ბატონო დავით, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექციამ ძვირფასი საჩუქრები მოგიძღვნათ იმ წარდგენილი ექსპონატებისათვის, რომლებიც თქვენ დაამზადეთ. თითოეული ეს ექსპონატი თქვენი მოსწავლეთა გონებრივი და სულიერი განვითარების ნათელი მაჩვენებელია. მათში აშკარად ჩანს ის დიდი შრომა, რასაც თქვენ ეწევით მოსწავლეთა შესაიარაღებლად საფუძვლიანი ცოდნით, მათში პრაქტიკული საქმიანობის უნარ–ჩვევების გამოსამუშავებლად"– აღნიშნავდა გაზეთი „სახალხო განათლება", 1962 წლის 9 მაისის ნომერში.

„პირადად მე, ამ კონფერენციებში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებული ვარ (ყოველწლიურად) დიპლომებით. მაგრამ, უნდა ავღნიშნო, რომ მარტო ასეთი მუშაობა საქმეში წარმატებას არ მომიტანდა, რომ სწავლება მოსწავლეთა აღზრდის საქმისაგან ჩამომეცილები-

ნა. ნემი გაკვეთილები მშრალი მათემატიკური ფორმულებითა და თეორემების დამტკიცებით არ იყო ამოვსებული. გაკვეთილებზე მასალა ისწავლება ცხოვრებასთან, აღზრდასთან მჭიდრო კავშირის ნიშნით, რომელიც დროის შესაბამისი, ცხოვრებისეული შინაარსით არის გაჟღენთილი. გაკვეთილებზე უნდა გადაიცეს მათემატიკის ისტორიული განვითარების მომენტები, ცნობები მსოფლიო სამეცნიერო ცენტრების, მათ შორის ქართული მეცნიერებისა და მათემატიკური სკოლის მოწინავე როლის შესახებ" – აღნიშნავდა დავით გონდაური.

* * *

სწავლების მეთოდი, ეს არის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა ცნობიერებამდე შესასწავლი მასალის შინაარსის დაყვანის გზა და საშუალება. ახალი მასალის ახსნის ბევრი სხვადასხვა მეთოდი არსებობს: საუბრის, ევრისტიკული, ლექციური, ანალიზურ–სინთეზური და სხვ. ერთსა და იმავე მეთოდს სხვადასხვა მასწავლებელი სხვადასხვანაირად იყენებს. ახსნილის ათვისების ხარისხი დამოკიდებულია, პირველ რიგში, მასწავლებლის ცოდნაზე, გაკვეთილის გადაცემის მეთოდის სწორად არჩევაზე. მის სწორ და მწყობრ ლოგიკურ მსჯელობის უნარზე, საუბრის ტემბრზე, ტონზე, სწორ მეტყველებაზე, მის ზომიერ მოძრაობაზე, წერისა და ხაზვის მაღალ კულტურაზე, დაფის რაციონალურად გამოყენების უნარზე, მასწავლებლის გარეგნულ სახეზე, მოსწავლეთა საერთო ცოდნის დონეზე და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო იყო, რომ დავითს თავის თავზე სისტემატიურად და ენერგიულად ემუშავა, ბევრი უნდა ეკითხა თეორიული, პრაქტიკული და მეთოდური ხასიათის დამხმარე ლიტერატურა, შეესწავლა მოწინავეთა გამოცდილება.

დავითის ყველაზე დიდი გამარჯვება იყო ის, რომ მისი გაკვეთილები პირველ რიგში მოსწონდათ მოსწავლეებს, შემდეგ მეთოდისტებს, კოლეგებს, დირექციას, რამაც მათემატიკოსს დიდი სტიმული მისცა მისი შემდგომი მუშაობის წარმატებისათვის. მუშაობის დაწყებიდან სულ მალე დავითი გახდა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებების, განათლების სამინისტროს აქტივის წევრი. სამინისტრო ხშირად მიავლენდა დავით გონდაურს სხვადასხვა სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესასწავლად. ამან დიდი როლი შეასრულა მის, როგორც მეთოდური დახელოვნებისა და მეთოდისტად ჩამოყალიბების საქმეში. დავითმა ნახა როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მასწავლებელი, დაწვრილებით გაეცნო მათ მუშაობას, ჩამორჩენისა და წარმატების მიზეზებს. თვალნათლივ დაინახა, რომ ერთსა და იმავე მეთოდს, სხვადასხვა მასწავლებლის ხელში, სხვადასხვა ძალა და ეფექტი აქვს. ბევრი რამ ისწავლა კარგი მასწავლებლებისაგან და ძალიან ბევრი რამ ასწავლა კოლეგებს. მათემატიკოს გონდაურის მეთოდურად დახელოვნების საქმეში, უდიდესი როლი შეასრულეს მეთოდურმა სახელმძღვანელოებმა, მეთოდურმა და სამეცნიერო პოპულარულმა ჟურნალებმა და გაზეთებმა.

ღღიდან დაარსებისა, დაეით გონდაური ხელმძღვანელობდა ისანი–სამგორის რაიონის სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებას. მეთოდგაერთიანების წევრებს უწევდა ქმედით დახმარებას, თემაზე მუშაობისას აძლევდა რჩევა–დარიგებებს, უტარებდა კონსულტაციებს, ეხმარებოდა ღია გაკვეთილების გეგმა–კონსპექტების შედგენაში, გაკვეთილის მომზადებაში და სხვ. მსგავს სამუშაოებს ახორციელებდა საკუთარი სკოლის მათემატიკის მასწავლებლებთან. დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის გამოყოფილი ჰქონდა კვირაში ერთი დღე მათთვის საინტერესო საკითხებზე კონსულტაციების ჩატარებისთვის.

V გიმნაზია (მაშინდელი 77-ე სკოლა), რესპუბლიკაში ერთ–ერთ მოწინავე სკოლად იყო ცნობილი. მას ჰქონდა და აქვს მდიდარი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და მაღალ დონეზე მოწყობილი კაბინეტ–ლაბორატორიები, ყოველთვის ჰყავდა ძლიერი პედაგოგიური კადრი. სკოლა ყოველწლიურად აღწევდა მაღალ აკადემიურ მაჩვენებლებს. ყოველივე ამის გამო სკოლას სასწავლო წლის მანძილზე ხშირად ჰყავდა სტუმრები, როგორც თბილისის, ისე რესპუბლიკის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებიდან და განათლების ორგანოებიდან. გამოცდილების გასაზიარებლად სტუმრები უცხო ქვეყნებიდანაც ჩამოდიოდნენ. დ.გონდაურის გაკვეთილებზე დასწრებით წლების მანძილზე ექსპერიმენტებს ატარებდნენ, პედაგოგიკის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ–მუშაკები.

სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ სტუმრებზე რომ არაფერი ვთქვათ, შეიძლება თამამად აღინიშნოს, რომ

ძალიან ცოტა იქნება საქართველოში ისეთი სკოლების და განათლების ორგანოების რიცხვი, რომელთა ხელმძღვანელობასა და მასწავლებლებს (და არა მარტო მათემატიკის მასწავლებლებს), დავით გონდაურის გაკვეთილები რომ არ მოესმინათ. ყველა ისინი, მაღალ შეფასებას აძლევდნენ ჩატარებულ გაკვეთილებს და მოსწავლეთა ცოდნას. მათი ეს აზრი გამოხატულია გაკვეთილების გარჩევისა და სკოლის შთაბეჭდილებების წიგნის მათ ჩანაწერებში. სტუმრები ეცნობოდნენ მათემატიკის კაბინეტს, შემდეგ ისმენდნენ გონდაურის ვრცელ საუბარს.

საქართველოს ბევრი მასწავლებელი და სკოლის ხელმძღვანელი, რომლებიც თუნდაც ერთხელ მაინც ჩამოსულან V გიმნაზიაში, არ წყვეტდნენ ურთიერთობას სკოლასთან და თვით დავით გონდაურთან. ისინი შეძლებისდაგვარად ჩამოდიოდნენ დავითთან კონსულტაციებისა და დახმარების მიღებისათვის, დეტალურად ეცნობოდნენ მისი მუშაობის ყველა მხარეს. ზოგიერთ მათგანთან ჰქონდა ხშირი მიწერ–მოწერა და აზრთა გაზიარება. მათ აწვდიდა მეთოდურ მითითებებს, ლიტერატურას,საწრეო მუშაობის მასალებს და სხვ.

* * *

მოსწავლეებში, დიდი ცოდნითა და ზომიერი პედაგოგიური ტაქტით, დ. გონდაური აღწევდა მოსწავლეთა შორის დამსახურებულ ავტორიტეტს, პატივისცემასა და სიყვარულს. მოვიყვანთ ამ სიტყვების დამადასტურებელ რამოდენიმე მაგალითს: „ეს ამ ორიოდე წლის წინათ იყო. მიმდინარეობდა ქართული ენისა და ლიტერატურის

რესპუბლიკური ოლიმპიადის სარაიონო ტური. მოსწავლეებს მიეცათ თავისუფალი თემა: „ვის დავადგამდი დაფნის გვირგვინს?". თბილისის 77-ე საშუალო სკოლის IX კლასის ორმა წარჩინებულმა მოსწავლემ მაია ხოშტარიამ და დათო მამუჩიშვილმა, რომლებიც ოლიმპიადაზე სხვადასხვა აუდიტორიებში მოხვდნენ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად თავიანთი თემის მთავარ გმირად აირჩიეს მათივე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი დავით გონდაური და დაფნის გვირგვინიც მხოლოდ მისთვის გაიმეტეს. ორივე მოსწავლის ნამუშევარი ჟიურიმ „ხუთზე" შეაფასა. რამდენიმე ხნის შემდეგ რუსული ენისა და ლიტერატურის ზეპირი გამოცდა ტარდებოდა 77-ე სკოლის X კლასში. მოსწავლე მაია ნიქაცაძეს შეხვდა ბილეთი, რომლის ერთ–ერთი საკითხი მოითხოვდა: „დაასახელე ადამიანი, რომლისგანაც შენ იღებ მაგალითს. რატომ მოგწონს და გიყვარს იგი ყველაზე მეტად..." და მოსწავლემ დაასახელა თავისი მასწავლებელი დავით გონდაური, თან დამაჯერებლად დაასაბუთა, რატომ მოსწონს და უყვარს იგი ყველაზე მეტად..."[4]

1965 წელს, მუშაობისა და გამოცდილების განზოგადების მიზნით, საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიამ მოისმინა დავით გონდაურის მოხსენება, რის შემდეგადაც, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრება"-ს 1965 წლის VIII ნომერში დაიბეჭდა ცნობილი მეთოდისტის ი.შტეინბერგის წერილი სათაურით – ***„დავით გონდაური"***. 1982 წელს განათლების სამინისტროს კოლეგიამ კვლავ მოისმინა მოხსენება მისი მუშაობისა და გამოცდილების შესახებ. კოლეგიის გადაწყვეტილება და

[4] გაზეთი „კომუნისტი", 1983 წელი, 19 ნოემბერი.

ცნობა გონდაურის მუშაობის შესახებ, დაიბეჭდა განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში (№3 1982 წელი, მარტი).

აღსანიშნავია, რომ გონდაური წლების განმავლობაში ლექციებს კითხულობდა მათემატიკაში და მათემატიკის სწავლების მეთოდიკაში პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკისა და პედაგოგიურ ფაკულტეტებზე, ასევე თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში. 20 წლის მანძილზე, 1970 წლიდან 1990 წლამდე, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით სისტემატურად ატარებდა ტელეგადაცემებს როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებელთათვის.

„ღია გაკვეთილის" მორიგი სატელევიზიო გადაცემის შემდეგ დ.გონდაურმა მიიღო მისთვის უცნობი წერილი ერთ–ერთი სოფლიდან. წერილი დაწერილი იყო გულმოდგინედ გამოყვანილი დიდი ასოებით. აი, რა იყო მასში ნათქვამი: „ღრმად პატივცემულო ამხანაგო მასწავლებელო! მე უკვე რამდენჯერმე ვნახე თქვენი გადაცემები და დამებადა სურვილი გაგეცნოთ. საქმე კიდევ ის არის, რომ ყველა ის ამოცანა, რომელიც ტელევიზორით გადმოეცით, ამოვხსენი. მაგრამ აი, ერთი ამოცანა ვერაფრით ვერ გამომიყვანია. მას ვერ ხსნიან ჩვენი სოფლის სხვა მცოდნე ადამიანებიც. ამიხსენით ტელევიზორით, როგორ ვიპოვო სწორი პასუხი.

და წარწერა – „IV კლასის მოსწავლე რომანი".

ეს ამოცანა მოზრდილი ბავშვებისათვის იყო, – იცინის დავით ზაქარიას ძე, – და რადგან მის ამოხსნას „სოფ-

ლის ყველა მცოდნე" ადამიანი ცდილობდა, მაშასადამე, ისინი მათემატიკით გავიტაცე, მოდი და უარი უთხარი ასეთ აუდიტორიას".[5]

გამოცდილების გაზიარებისა და მისი მუშაობის გაცნობის მიზნით, სხვადასხვა დროს ტელეგაკვეთილებს ესწრებოდა რესპუბლიკის მასწავლებელთა დიდი ნაწილი. დ. გონდაური სისტემატურად კითხულობდა მოხსენებებს „პედაგოგიურ კითხვებსა" და სამეცნიერო– პედაგოგიურ კონფერენციებზე, სემინარებზე, რისთვისაც ყოველთვის ჯილდოვდებოდა დიპლომებით და სიგელებით.

1981 წლის აპრილში, დავითის წინადადებით, განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ სახლთან ჩამოყალიბდა თბილისის და მისი გარეუბნების სკოლების „მათემატიკის დამწყებ მასწავლებელთა სახალხო უნივერსიტეტი", რომელშიაც იმთავითვე გაერთიანდა 100–ზე მეტი მასწავლებელი. უნივერსიტეტში სისტემატურად ეწყობოდა სხვადასხვა სახის გამოფენები. მაგალითად: ჩვეულებრივი და ღია გაკვეთილების გეგმების (სხვადასხვა კლასისა და საგნისათვის), წრისა და მეთოდგაერთიანებათა გეგმების, კედლის გაზეთებისა და ალბომების, საგნის გაფართოებული თემატიკური გეგმების, მოსწავლეთა სანიმუშო საკონტროლო, საკლასო–საშინაო რვეულების და სხვა მასალების ნიმუშები. ასევე ჟურნალების: „მატემატიკა ეშკოლეს", „ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში", „კვანტის" ნომრების, ზოგიერთი მარტივი და აუცილებელი თვითნაკეთი ხელსაწყოს მოდელების გამოფენა დამზადების წესების თანდართვით და სხვ.

[5] ე.ერმოლაევი, „კობახიძის სკოლა", გამომცემლობა „განათლება", თბილისი 1988 წელი, გვ 66.

„სახალხო უნივერსიტეტში" ხუთშაბათობით მეცადინეობების გარდა, რექტორი გონდაური აწარებდა კონსულტაციებს მსმენელთათვის ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის ირგვლივ. მათთვის შემოღებული ჰქონდა საფოსტო ყუთი წარწერით: „შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ". „სახალხო უნივერსიტეტში" დ. გონდაურთან ერთად ლექციებს კითხულობდნენ ცნობილი მეცნიერები, მეთოდისტები და გამოცდილი მასწავლებლები. მათ შორის იყვნენ: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები, პროფესორები: ტ.სარიშვილი, ე.წითლანაძე, პროფესორი ა.ბენდუქიძე და ა.შ. უნივერსიტეტი წარმატებით ფუნქციონირებდა 1985 წლამდე.

1977 წლიდან მოყოლებული მათემატიკოსი გონდაური სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მიწვეული იყო ფიზიკა–მათემატიკის ფაკულტეტებზე, როგორც შემსვლელთა, ისე კურსდამთავრებულთა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის უცვლელ წევრად. საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა თბილისის ბ.ძნელაძის სახელობის მოსწავლე–ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის მათემატიკის კაბინეტთან. მისი მუშაობის ამსახველი მასალები სხვადასხვა პერიოდში დაიბეჭდა როგორც რესპუბლიკურ, ისე ცენტრალურ ჟურნალებში, გაზეთებში, პედაგოგიურ კრებულებსა და წიგნებში.

1982 წლის 15 მაისს გაზეთმა „პრავდამ" დაბეჭდა სკოლების დარგში რედაქტორის მოადგილის ო.მატიატინის ვრცელი ნარკვევი დ. გონდაურის მუშაობის შესახებ სათაურით: „ღია გაკვეთილი" შემდეგ დღეებში ეს ნარკვევი გამოაქვეყნეს რესპუბლიკურმა გაზეთებმა: „კომუნისტი" და „სახალხო განათლება".

1984 წელს საქართველოს ტელევიზიამ გადაიღო და აჩვენა მოკლემეტრაჟიანი ფილმი გონდაურის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ამავე წელს, ჟურნალ „მატემატიკა ვშკოლეს" პირველ ნომერში დაიბეჭდა ზოგიერთი ცნობა მისი მუშაობის შესახებ. 1981 წლიდან დ.გონდაური არჩეული იყო ჟურნალის „ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში" რედკოლეგიის წევრად, 1985 წლიდან კი ამავე ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრად. იყო საქართველოს განათლების სამინისტროს მათემატიკის მეთოდური საბჭოს წევრი. არის ავტორი მრავალი მეთოდური წერილისა და ვრცელი შრომებისა, რომლებიც გამოქვეყნებულია გაზეთებსა და ჟურნალებში. დავითი არჩეული იყო მასწავლებელთა V და VI ყრილობის დელეგატად.

ცნობები პედაგოგიურ ფრონტზე დავით გონდაურის მოღვაწეობის შესახებ 1993 წლის 19 მარტს მოითხოვეს ქართულ ენციკლოპედიის სახალხო განათლების რედაქციიდან. როგორც თავად აღნიშნავს: „დამირეკეს, რომ რედაქციას გათვალისწინებული აქვს ჩემი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები და ფოტოსურათი შეიტანოს ქართული ენციკლოპედიის მომავალ გამოცემაში. მომცეს კითხვარი, რომელზედაც წერილობითი პასუხი ჩავაბარე 22 მარტს".

ცნობები გონდაურის მოღვაწეობის შესახებ ერთდროულად ორ ენციკლოპედიაში შეიტანეს. პირველი, ენციკლოპედია „თბილისი", ერთტომეული (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია), რომელიც გამოიცა 2002 წელს და მეორე, იგივე

რედაქციის მრავალტომეული. ენციკლოპედია „თბილისში" ცნობები დ. გონდაურის შესახებ განთავსებულია 394 გვერდზე. ქართული ენციკლოპედიის მრავალტომეულში კი ცნობები მისი მოღვაწეობის შესახებ მოთავსებულია II ტომში, რომელიც გამოცემის პროცესშია.

1993 წლის 29 აპრილს ღვაწლმოსილი პედაგოგი გამოიძახეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ახალი შექმნილი იყო ლაბორატორია, რომელიც ცნობებს იღებდა და დღესაც იღებს სხვადასხვა დარგის გამოჩენილი ადამიანებისაგან, რათა ეს ცნობები შენახულ იქნას საუკუნეების მანძილზე მომავალი თაობებისათვის. ამ ლაბორატორიის ზუსტი სახელწოებაა – „აუდიო–ვიზუალური ინფორმაციის სამეცნიერო კვლევითი საფონდო ლაბორატორია", ე.წ. „ოქროს ფონდი" ამ ლაბორატორიაში დავითმა ჩააბარა ვრცელი ავტობიოგრაფია და ცალკე მისი შრომების სია. „გადამიღეს სურათი, ჩაიწერეს ჩემი ხმა (1,5 წუთიანი საუბრის). კალიგრაფიის შესანახად დამაწერინეს თაბახის ერთი გვერდი. დავწერე საქართველოში ამჟამინდელ მძიმე სიტუაციაზე და სწავლის ხარისხის დაქვეითებაზე. ეუსურვე მომავალ თაობას სიკეთე და ჯანმრთელობა. გამოვთქვი იმედი მომავლისა".

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დავითს მრავალი წოდება და ჯილდო მიანიჭეს. მათ შორის წოდებები: „საქართველოს სახალხო მასწავლებლის საპატიო წოდება" (1990 წლის 28 თებერვალს), „საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება" (1967 წლის 5 ოქტომბერს),

„თბილისის საპატიო მასწავლებლის წოდება" (1996 წლის 1 ივლისი), „მასწავლებელ–მეთოდისტის საპატიო წოდება" (მიენიჭა სამჯერ: 1977, 1983, 1989 წლებში), „წლის საუკეთესო მასწავლებლის საპატიო წოდება" (მიენიჭა ოთხჯერ: 1981, 1984, 1985, 1986 წლებში, რის გამოც, შემდგომ წლებში ეს წოდება მუდმივად მიენიჭა და მისი გვარი და სახელი შეტანილია საპატიო წიგნში); ასევე ჯილდოები: „ღირსების ორდენი" (1996 წლის 31 აგვისტო), „ლენინის ორდენი" (1978 წლის 27 ივნისი), „შრომის წითელი დროშის ორდენი" (1966 წლის 2 აპრილი) და ბევრი სხვ.

55 წლის მანძილზე დავით გონდაურს ერთ სკოლაში მუშაობის უწყვეტი სტაჟი ჰქონდა. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მეგობრებსა და კოლეგებს შორის დიდი ავტორიტეტით, პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. განსაკუთრებული სიყვარულით იგონებენ მას ყოფილი მოწაფეები, რომელთა შორის მრავალი ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეა.

მზრდელი ყრმისა

„არ არის მკვლარი, ვინც
მოჰკვდეს და ხალხს შესწიროს
დღენია, მკვდარად ის თქმულა,
ვისაც აქ სახელი არ დარჩენია".
ილია ჭავჭავაძე

ძნელია მასწავლებლის პროფესია, ძნელი და ამავე დროს მეტად ფაქიზი. სიმწარეც ბევრი აქვს და სიამეც. ამ დიდ გზაზე ბევრჯერ ყოფილა დავით გონდაური რთულ სიტუაციაში. დაძაბული ნერვები, პედაგოგიური ტაქტი, სიტუაციის სწრაფი ორიენტაცია, პედაგოგიური ალღო, ყველა მოსწავლის სულში, გონებაში და ფიქრებში ჩაღწევა, ყველას ფსიქოლოგიური თავისებურებების შეცნობა: ვინ გაიცხო, ვის მოეფერო, ვისზე დასჯისა და წახალისების როგორი ზომა, ცოდნის შეფასების რა კრიტერიუმები გამოიყენო, როდის გამოიყენო იგი აღზრდის საშუალებად, აი, პედაგოგის მუდმივი ფიქრების კორიანტელი არა მარტო სახლში, არამედ ქუჩაშიც, სახლშიც ყოველ დროს და ყოველ მომენტში, ჩაძინებამდე და ძილშიც.

მიუხედავად ამ სიძნელეებისა, დავითს არასოდეს დაუწყვეტია არჩეული პროფესია. პედაგოგიურ ფრონტზე მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მთელ პერიოდში ერთი წუთითაც არ განელებია სიყვარული მისი პროფესიისადმი, ბავშვებისა და სკოლისადმი. პედაგოგის რთულ პროფესიას თან ახლავს უდიდესი სიამოვნებისა და ბედნიერების განცდის მომენტებიც. კარგი შვილები მშობლების,

ხოლო კარგი მოსწაელლეები სკოლისა და მასწავლებლების სიამაყე და ბედნიერებაა.

„...გაიხმიანებს სკოლის ზარი და მათემატიკის მასწავლებელი დავით გონდაური, ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ ან, უფრო სწორად, მერამდენეათასედ შეაღებს საკლასო ოთახის კარს. მათემატიკა ბევრს მშრალ და მოსაწყენ საგნად მიაჩნია, მაგრამ ვინც გონდაურის გაკვეთილებს დასწრებია, ამ აზრს ვერ გაიზიარებს. ამ ადამიანს ციფრებისა და ფორმულების მწკრივებში, ნახაზებსა და სქემებში ხელეწიფება მოიძიოს და მსმენელსაც დაანახოს და აგრძნობინოს მშვენიერი და განსაცვიფრებელი ჰარმონია, ერცელი და უკიდეგანო თვალსაწიერი ზუსტი მეცნიერებისა. ეს ჯადოქრობა არ გახლავთ. ეს პედაგოგის დიდი ნიჭია, არჩეული საგნის თავდადებული სიყვარულისა და საკუთარი პროფესიის რაინდული ერთგულების ჯილდოდ ნაბოძები. ასე მოძღვრავს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი თავის აღსაზრდელებს...”[6]

ძალიან ხშირად, როდესაც პრესაში თუ საზოგადოებაში შეუქიათ ესა თუ ის პიროვნება, დავითს სიამაყის გრძნობით უთქვამს: „ეს ჩემი მოსწავლე იყო, ჩვენი სკოლის აღზრდილი”. რაოდენ დიდია ბედნიერება, როდესაც შეგხვდება შენი ყოფილი მოსწავლე, რომელიც დიდი მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს იმ დიდ ამაგს, რომელიც მის აღზრდაში ჩააქსოვე. გიამბობს მის მიერ მოპოვებული წარმატებების შესახებ და ყოველივე ამას შენს დამსახ-

[6] გაზეთი „კომუნისტი”, 1981 წელი, 4 ოქტომბერი.

ურებას მიაწერს. რაოდენ დიდია ის სიხარული, როდესაც შენი ყოფილი მოსწავლე სკოლაში დიდი მოწიწებითა და გრძნობათა ღელვით შემოვა და თავისი სადისერტაციო შრომის რეფერატს გულის ამაჩუყებელი წარწერით, მორიდებითა და გაუბედავად გადმოგცემს და დაცვის თარიღს განაცხადებს.

იგი ბევრჯერ დასწრებია მისი აღსრდილების საკანდიდატო, თუ სადოქტორო დისერტაციების დაცვას და უდიდესი სიხარული განუცდია სამეცნიერო საბჭოს მიერ ნაშრომის ერთსულოვანი მოწონების გამო.

მისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე, ვინ მოთვლის, რამდენი მეცნიერი, პედაგოგი, მსახიობი, არქიტექტორი, რეჟისორი, ექიმი, საზოგადოების ღირსეული წევრი გაუზრდია დავით გონდაურს, გაუზრდია ისე, როგორც ჩვენს მამულს, ჩვენი ქვეყნის ხალხის ინტერესებს შეჰფერის და ეკადრება. თითოეულ მათგანს აღმზრდელის გულის სითბო და გონების ნათელი გაჰყოლია ცხოვრების მეგზურად, მისი კაცურკაცობა გაუხდიათ თავიანთი შრომის, მთელი ცხოვრების მაგალითად და იდეალად.

მაინც, რაში მდგომარეობდა ის უმთავრესი „საიდუმლოება" და ძალა, რომლითაც მათემატიკოსი გონდაური ასეთ ძლიერ, შთამბეჭდავ ზეგავლენას ახდენდა ადამიანებზე?

დავითის უპირველესი ადამიანური ძალა მისი კაცთმოყვარული ბუნება იყო. ეს ჰუმანური პრინციპია, ის მტკიცე საფუძველია, რომელსაც ეყრდნობა მათემატიკოსის მთელი პედაგოგიური მოღვაწეობა, საზოგადოებრივი საქმიანობა და პირადი ცხოვრება, ყოველდღიური შრომა.

ამიტომაც იყო, რომ მისი ინიციატივით სკოლიდან არც ერთი მოსწავლე არ გარიცხულა. დირექტორთან და მასწავლებლებთან ერთად, იმდენი უცდია, რომ „არასაიმედო" ყმაწვილები ნორმალურ კალაპოტში ჩაუყენებია, ცხოვრებაში საიმედო ადამიანებად გამოუყვანია. ამ საქმეში დავითი მარტო საყოველთაო სავალდებულო სწავლების ზოგადი კანონმდებლობით კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ, უფრო მეტად ზნეობრივ–მორალური თვალთახედვით, ადამიანის ინტერესებით, საკუთარი სინდისისა და გულის კარნახით მოქმედებდა.

დავით გონდაური სრულებითაც არ განეკუთვნებოდა პედაგოგთა ისეთ კატეგორიას, ლიბერალობით, უპრინციპობით, ნაკლზე თვალის დახუჭვით რომ ცდილობენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა გულის მოგებას, მათი ერთგულების განმტკიცებას, მომთხოვნელობის შესუსტებით რომ ფიქრობენ „მშვიდობიანობის" უზრუნველყოფას პედაგოგიურ კოლექტივში. ასეთი „კეთილი ძიები", პირიქით, არც მასწავლებლებს უყვართ და არც აღსაზრდელებს, რადგან მათში ხედავენ სუსტ, უნიათო, უნებისყოფო და უპრინციპო ადამიანებს, ასეთებს პატივს არავინ სცემს, ასეთებს ზოგჯერ კიდევაც დასცინიან და ზედმეტ სახელებსაც არქმევენ მათ.

რა თქმა უნდა, არც მეორე უკიდურესობაა საქმისთვის სასარგებლო. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ პედაგოგს, რომელიც სულ ერთთავად ამრეზილია, მუდამ კრიჭაში უდგას გარშემომყოფებს, ბუზიდან სპილოს წარმოქმნის, ანგარიშს არაფერს უწევს, არაფერს ითვალისწინებს და ერთ ვაი–უშველებელს შექმნის. ასეთი პიროვნება ცხადია, როგორც მასწავლებელთა, ისე მოსწავლეთა შორის

სიძულვილს ბადებს. მას ყური მოუკრავს ნათქვამისათვის – „შიში შეიქმს სიყვარულსაო" და ეს „დებულება" თავისი მუშაობის სახელმძღვანელო „მეთოდად" გაუხდია.

მათემატიკის მასწავლებელი გონდაური არც „კეთილი ძია" იყო და არც დაწვრილმანებული, ასოკირკიტა პედაგოგი. ის არასოდეს კარგავდა ზომიერების გრძნობას, მიმადლებული ჰქონდა შემწყნარებლობასთან მკაცრი მომთხოვნელობის შესამების საოცარი უნარი, აკკარგიან კაცს რომ იტყვიან, ისეთი იყო, თვითონაც თავაუღებლივ მუშაობდა და სხვასაც ამუშაკებდა, ყველას სწორ, მიზანდასახულ მიმართულებას აძლევდა, სიკეთის გზით მიჰყავდა დიდიცა და პატარაც. სუფთა გულისა და ნათელი გონების ადამიანს ხედავდნენ მასში და სრულ ნდობას უცხადებდნენ.

ცნობილი ამერიკელი მწერალი უ. ფოლკნერი თავის ერთ–ერთ წიგნში ამტკიცებს, რომ თითოეული ადამიანი „წარსულის ჯამს" წარმოადგენს. შეიძლება დაეთანხმო ამას. საკითხი მხოლოდ ის არის, თუ რისგან იქმნება ეს ჯამი, რაზე იხარჯება პიროვნების პოტენციალი ცხოვრების განმაელობაში. საბოლოო ანგარიშით ხომ მნიშვნელოვანია არა ნიჭი და ტალანტი, არამედ მათი მიზნობრივი მიმართულება, განსაკუთრებით ძალ–ღონის გამოყენება ისეთ სფეროში, როგორიც პედაგოგიკაა.

საზოგადოებრივი აღზრდა მხოლოდ მაშინ არის მოლიანად ქმედითი, როდესაც მისი ყველა ძირითადი პრინციპი იქცევა თითოეული აღმზრდელის შინაგან კუთვნილებად, პროფესიულ რწმენად და რაც უფრო ადრე დაემთხვევიან ისინი ერთმანეთს, რაც უფრო ნათლად გამოვლინ-

ლება მასწავლებლის პიროვნება, მისი შემოქმედებითი ნიჭი. დ. გონდაურის ბიოგრაფია ამის ნათელი დადასტურებაა.

დავითის ყველა გაკვეთილი ერთნაირად კარგი და სრულფასოვანი იყო. ვერ წარმოედგინა გაკვეთილზე წუთების დაკარგვა და ოთახში შესვლისთანავე ეძლეოდა საყვარელ საქმეს. დისციპლინის პრობლემა არასოდეს წამოჭრილა გონდაურის წინაშე და, ალბათ, გუნებაში ელიმებოდა, როცა ამ საკითხზე კრებებს მართავდნენ, რადგან ვერც ის წარმოედგინა, თუ როგორ უნდა ჩაატარო უწესრიგო კლასში გაკვეთილი. პედაგოგის უკვდავებისათვის ერთი გამორჩეული ფერიც საკმარისია – ეს კაცი ასეთი ფერების მთელი სპექტრი იყო.

დავითს იშვიათი პედაგოგიური ალღო და მასალის გადაცემის ასეთივე უნარი გააჩნდა. რთულ ალგებრულ თუ ტრიგონომეტრიულ ფორმულებს ისე ახსნიდა, სუსტი მათემატიკური უნარიც რომ ჰქონოდა მოწაფეს, იქვე დაამახსოვრდებოდა. ყოველი გეომეტრიული თეორემის ალერსიანი, მაგრამ მკაფიო დიქციით დამტკიცება პატარა პედაგოგიური შედეევრი იყო. დაფაზე რომ გამოსახულებებს გამოიყვანდა, წრეწირს რომ უფარგლოთ შემოხაზავდა – ნაბეჭდს ჩამოგავდა.

მაღალი მორალური თვისებებით უხვად მომადლებული დ. გონდაური მაღალსავე ზნეობას უქადაგებდა მოწაფეებს. პირადი მაგალითით აკურატულობის, პუნქტუალობის მნერგავი იყო და საკუთარი ნივთების – პორტფელის, ბლოკნოტის, წიგნებისა თუ რვეულების სუფთად, წესიერად მატარებელი – არც ეს გახლავთ უმნიშვნელო დეტალი იმავე მოსარდის თვალში.

აბსოლუტური, ბუნებრივი ობიექტურობა – გორდაურისათვის არ არსებულა შეფასების სხვა კრიტერიუმი, გარდა დაფასთან მდგარი კონკრეტული მოწაფისა და მისი პასუხისა; არ შედრკებოდა, არც შეკრთებოდა ჩინოსანი თუ მაღალთანამდებობიანი მშობლების პირისპირ; დაუთმობელს არ დათმობდა თავისი მეგობარი მშობლების ხათრითაც; ცალკეულ შემთხვევაში მშობლებთანაც მოილხენდა და მოწაფეებთანაც, მაგრამ მეორე დღეს სკოლაში ისევ ის დავითი გახლდათ – მკაცრი და ვაი იმ „მოლხენილის" ბრალი, ვინც გაკვეთილზე მოუმზადებლად მივიდოდა.

მისთვის უცხო იყო მოწაფეთა კარგად ან ავად აჩემება და გორდაურისეული ხუთიანი ისევე სამართლიანად ან ამაყად იჯდა ხოლმე ჟურნალში, როგორც ორიანი; ზედმიწევნით იცნობდა ყმაწვილის ფსიქოლოგიას, საოცარი ტაქტით დაარიგებდა; თუ საჭიროდ ჩათვლიდა, მეგობრად და თანატოლად გამოუჩნდებოდა; არაფერს იმახსოვრებდა ბოროტად, ახლოს არ იკარებდა წვრილმანობასა და ანგარიშსწორებას, თუ ცდებოდა, არ უჭირდა თავმდაბალი ბოდიშის მოხდა კლასის წინაშე.

„...სწავლის უნარი თავისთავად არ ჩნდება, ის მასწავლებელთა და მოსწავლეთა საგანგებო აღზრდას, ყურადღებასა და სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს. დარწმუნებული ვარ, მოსწავლეთა ჩავარდნები მათემატიკის კურსის (და განა მხოლოდ მათემატიკის?) შესწავლისას დაკავშირებულია იმასთან, რომ სკოლაში არ ვასწავლით სწავლის ხელოვნებას" – ხშირად ამბობდა დავითი.

* * *

სკოლის სასწავლო–აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას წარმოადგენს გაკვეთილი, რომელსაც უშუალოდ მასწავლებელი ატარებს.

გაკვეთილების ეფექტურობისათვის ბრძოლა მთელი სასწავლო– აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას ნიშნავს. იმ სკოლაში, სადაც ყველა საგანში მაღალ დონეზე ტარდება გაკვეთილები, მოსწავლეთა აკადემიური წარმატებაც კარგია, ბავშვები მუდამ ხალისით ესწრებიან მეცადინეობას, ბეჯითად სწავლობენ, მონდომებით ასრულებენ საშინაო დავალებებს, პატივს სცემენ პედაგოგებს, უფროსებს.

დავით გონდაურის პედაგოგიური წარმატების უმთავრეს, გადამწყვეტ პირობას გაკვეთილის ხარისხისათვის შეუნელებელი ზრუნვა წარმოადგენდა. იგი სწავლების ახალი, უფრო მიზანშეწონილი გზებისა და ხერხების მუდმივ ძიებაში იყო.

ეს ძვირფასი ტრადიცია,მის ლამაზად დაწერილ ეგრეთ წოდებულ „მასწავლებლის სამახსოვროდანაც" ჩანს, სადაც ვკითხულობთ:

1) დააინტერესე მოსწავლეები შენი საგნით;

2) გაკვეთილების მზადების დროს კარგად მოიფიქრე – უფრო ეფექტურად როგორ ჩაატარო იგი;

3) მოსწავლეებს გააცანი გაკვეთილის მიზანი, დაუსახე კონკრეტული ამოცანა, რომელიც მათ უნდა გადაწყვიტონ;

4) მოემზადე არა მარტო გაკვეთილისათვის, არამედ მთელი თემის გადასაცემად;

5) დამოუკიდებელი მუშაობით გააააქტიურე მოსწავლეები გაკვეთილის მთელ პროცესში;

6) შესაფერისი მეთოდები გამოიყენე გაკვეთილზე; ნუ დაივიწყებ თვალსაჩინოებას;

7) ჩაატარე თემის, განყოფილების შემაჯამებელი მეცადინეობა;

8) გულდასმით გააანალიზე თითოეული მოსწავლის ცოდნა, გაარკვიე – რა არ იცის და რატომ, გამოსასწორებლად მიეცი დრო და საჭირო მითითებანი;

9) მოსწავლეებთან სისტემატურად ჩაატარე ინდივიდუალური მუშაობა;

10) ყოველ გაკვეთილზე გაიმეორე განვლილი მასალა;

11) მუდამ დაიცავი აღმზრდელობითი სწავლების მოთხოვნა;

12) თეორიული მასალა მტკიცედ დაუკავშირე ცხოვრებას, ცოცხალ, პრაქტიკულ საკითხებს;

13) სწავლების პროცესში გაითვალისწინე ბავშვის ასაკობრივი განვითარება, მისი ინდივიდუალური თვისებები, შესაძლებლობანი, დაიცავი მისაწვდომობის პრინციპი;

14) გაკვეთილზე მტკიცედ იხელმძღვანელე სწავლების დიდაქტიკური პრინციპებით; გახსოვდეს, რომ სწავლებაში მთავარია: ა) ცოდნის სისტემატურობა და თანმიმდევრობა; ბ) შეგნებულობა და აქტიურობა; გ) თვალსაჩინოება; დ) მოსწავლეთა მიერ ცოდნა–ჩვევების მტკიცედ შეთვისება.

15) შემოიღე საკუთარი „მეთოდური ყულაბა", შეიტანე მასში, რაც კი უკეთესი და მოწინავეა შენი თუ სხვა

პედაგოგის გამოცდილებიდან, მუდამ იზრუნე პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფისათვის.

ეჭვგარეშეა, რომ ყველა დაეთანხმება მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ე. წითლანაძის აზრს, დ. გონდაურის ე.წ. „მასწავლებლის სამახსოვროზე" „ვფიქრობ, რომ ბატონ დავითს ძირითადად სწორად აქვს ჩამოყალიბებული ის უმთავრესი მოთხოვნები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს მასწავლებელმა გაკვეთილზე, მასში თითქმის ყველაფერია გათვალისწინებული სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის უზრუნველსაყოფად".

აღსანიშნავია, რომ ოსტატ პედაგოგს, მის მეთოდიკაში ბევრი მიმდევარი ჰყავდა. ამასვე მოწმობს, საქართველოს მაშინდელი განათლების მინისტრის თ. ლაშქარაშვილის ბრძანებები, გამოსვლები ტელევიზიით და მრავალი სხვ. მოვიყვანთ ერთ–ერთ მაგალითს:

„საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიამ, 1965 წლის 2 ივლისს მოისმინა, ქ. თბილისის 77-ე სკოლის მათემატიკის მასწავლებელ დავით გონდაურის მუშაობის გამოცდილებათა განზოგადების საკითხი და სათანადო დადგენილება მიიღო. ამის საფუძველზე, 1965 წლის 25 აგვისტოს, განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა ხელი მოაწერა №919 ბრძანებას, სადაც აღნიშნულია, რომ თბილისის 77-ე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი დ. გონდაური საპროგრამო მასალას სისტემატურად თვალსაჩინეობის გამოყენებით გადასცემს, ცდილობს მოსწავლეებში დანერგოს დამოუკიდებელი მუშაობის ჩვეები, გააძლიეროს მათში ამ საგნისადმი ინტერესი და სიყ-

ვარული. მათემატიკის კაბინეტს, დათმობილი აქვს ცალკე ოთახები დიდაქტიკური მასალების მოსათავსებლად და გაკვეთილების ჩასატარებლად. თვალსაჩინო ნაკეთობანი კარადებში წესიერად არის განლაგებული. კაბინეტი იმდენად მდიდარია, რომ ერთდროულად შეიძლება მთელმა კლასმა შეასრულოს ლაბორატორიული სამუშაო...

ეს მასწავლებელი, მათემატიკის კურსის სწავლებას ორგანულად უკავშირებს პრაქტიკულ საქმიანობას, მოსწავლეებს აცნობს ტექნიკის უახლეს მიღწევებში მათემატიკის როლსა და მის გამოყენებას. მისი ძალისხმევით მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადებში და გამარჯვებულნი გამოდიან...

გამომდინარე აქედან,ამხ. თ. ლაშქარაშვილი ავალებს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკათა განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს – გამოავლინონ რაიონში, ქალაქში მოწინავე მასწავლებლები და მათი მუშაობის გამოცდილება, ფართოდ განაზოგადონ მათემატიკოს დ. გონდაურის მრავალწლიანი, ნაყოფიერი პედაგოგიური გამოცდილებით. მინისტრის აზრით, გონდაურის გამოცდილების განზოგადება დიდ სარგებლობას მოუტანს, რესპუბლიკის მათემატიკის მასწავლებლებს". [7]

---

[7] გ. ალავერდაშვილი, „პედაგოგიური შრომის ოსტატები," გამომცემლობა „განათლება," თბილისი, 1966 წელი, გვ 75.

* * *

„სტუმარი ღვთისაა", — უთქვამს ჩვენს ბრძენ წინაპარს და ეს კეთილშობილური შეგონება ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი დღესაც ქართველ კაცს. ასე სწამდა დავით გონდაურსაც და გულუხვი მასპინძლობაც იცოდა. კვირა არ გავიდოდა, კაბინეტის დასათვალიერებლად და გაკვეთილზე დასასწრებად სტუმარი არ მიეღო. მიდიოდნენ თითო—თითოდ და ჯგუფებად.

ახლა ისიც იკითხეთ, ვინ აღარ მისულა დავითთან. სტუმრები იყვნენ თბილისელები, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები, უცხოელები, ტურისტები, სხვადასხვა სპეციალობისა და პროფესიის ადამიანები — მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, მწერლები, პოლიტიკური მოღვაწენი და მასწავლებლები.

ისინი ეზიარებოდნენ მის მდიდარ გამოცდილებას, თავის მხრიდან უტოვებდნენ მასპინძელს სამახსოვროებს — გულწრფელი მადლიერების გამომხატველ სტრიქონებს.

მათ შორის იხილავთ საზღვარგარეთის სამოცამდე ქვეყნის დელეგაციის ჩანაწერებსაც. გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ინგლისის, ესპანეთის, აშშ-ს, ჩეხეთის, ბულგარეთის, მექსიკის, ავსტრალიის, იაპონიის, იუგოსლავიის, კუბის, მაროკოს, სუდანის, ერაყის, შვეციის, ფინეთისა და კიდევ სხვა მრავალი ქვეყნიდან სკოლაში მოსულ სტუმარს გამოუხატავს კმაყოფილება.

ქართველ საზოგადო მოღვაწეთაგან აღსანიშნავია: ე.შევარდნაძის (1979 წელს), კ.გამსახურდიას, ნ.ჟვანიას, ი.ნონეშვილის, ი.აბაშიძის, გ.ლეონიძის, ო.ქინქლაძის, თ.მენთეშაშვილის, დ.ჩხიკვიშვილის, ვ.კუპრაძის, ე.ხარაძის,

თ.ლაშქარაშვილის, გ.გაბუნიას, გ.ძოწენიძის და ბევრ სხვათა ჩანაწერები, რომელთა სრული ჩამოთვლა, რასაკვირველია, შეუძლებელია.

გონდაურის გაკვეთილით აღფრთოვანებულმა იოსებ ნონეშვილმა ასე უპასუხა დავითს წერილობით:

„ბატონო დავით! ჩემო ძვირფასო მეგობარო! მადლობას მოგახსენებ ყველაფრისათვის, ღმერთმა გაგახაროს, როგორც მე გავიხარე დღეს შენი ნიჭიერი ბავშვების მოსმენით!"

მარად შენი იოსებ ნონეშვილი. 1979 წ.

ასეთივე განწყობა დაეუფლათ. უცხოელ საზოგადო მოღვაწეებსაც. ასე მაგალითად: სიდახმედ მახმუდი (სუდანის მასწავლებელთა პროფკავშირის ფედერაციის, საერთაშორისო ურთიერთობის მდივანი 1966 წელი), ბ. მაჯუმჰაი (ინდოეთის მეტალურგიული და მანქანათმშენებელი მრეწველობის, მუშაკთა დელეგაციის ხელმძღვანელი 1966 წელი), ენიდა ნიუტონი (კადმენის პარკი, საშუალო სკოლა, ადელაიდა, სამხრეთ ავსტრალია 1979 წელი), ერ–ბერტი ლარა (კუბელი რევოლუციონერი 1977 წელი), 30 პორტუგალიელი სტუმარი (1977 წელი), ბრაულო ალსონი (საეთაშორისო ურთიერთობის განყოფილების დირექტორი, ვენეტის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1978 წელი), ჯერალდ რიდი (კენტის უნივერსიტეტის დირექტორი, ოჰაიო, 1976 წელი), მირონ დ. პარსონსი (საგაზაფხულო სესიებისა და სპეციალური პროგრამის დირექტორი, ახალი ჯერსის კოლეჯი, ახალი ჯერსის შტატი, მორისის პროსპექტი, 1977 წელი) და ბევრი სხვ.

არ შეიძლება გულგრილად წაიკითხო ენიდა ნიუტონის მიერ დავით გონდაურისადმი მიძღვნილი სტრიქონები:

„მე მინდა გულწრფელი მადლობა მოვახსენო 77-ე სკოლის მასწავლებლებს, იმ მეტად სასიამოვნო და დაუვიწყარი შეხვედრისათვის, რომელიც მე მომიწყეს. დატყვევებული ვარ VIII კლასში პატივცემული მასწავლებლის დავით გონდაურის მიერ გადაცემული მათემატიკის გაკვეთილით. რასაკვირველია, ქართული ენა არ ვიცი, მაგრამ პროფესიით მეც მასწავლებელი ვარ და დ. გონდაურის პედაგოგიური ოსტატობა, მეთოდები, გაკვეთილის ჩინებული ორგანიზაცია საკვლევით გასაგები იყო ჩემთვის. აი, როგორ უნდა სწავლება!!!".

* * *

დიდი სიხარული ეწვია 1990 წლის 28 თებერვალს, თბილისის მაშინდელ 77-ე სკოლას და მის სახელოვან პედაგოგს, დავით ზაქარიას ძე გონდაურს. ამ დღეს ელვის სისწრაფით მოედო ცნობა საქართველოს ყველა კუთხეს ჩვენი სამშობლოს რჩეულთა შორის რჩეული პედაგოგისათვის „საქართველოს სახალხო მასწავლებლის" მაღალი წოდების მინიჭების შესახებ.

როგორც მაშინდელ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაშია ნათქვამი, ეს მაღალი საპატიო წოდება მას მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭა. რარიგ საამაყოა, რომ საქართველოს მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი არმიიდან დავით გონდაური არის პირველი მათემატიკოსი, ვისაც ეს მაღალი წოდება მიანიჭეს.

ჩვენს ქვეყანაში ამაზე მაღალი წოდება არ არსებობს. ეს ნდობა და პატივისცემაა ათასობით ადამიანისა, უმაღლესი შეფასებაა ადამიანის პროფესიული მოღვაწეობისა, მისი მოქალაქეობრივი ღირსებებისა. ეს იმის აღიარებაა, რომ თავდადებული შრომა მასწავლებლისა სახალხოა თავისი დედაარსით.

საქართველოს სახალხო მათემატიკოსი... რა დიდი აღიარებაა, რა დიდი პატივი! და ეს დაფასებაა არა მხოლოდ პირადად გონდაურის, არა მხოლოდ 77-ე სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა, არამედ საქართველოს სკოლების, განათლების სისტემის ყველა მუშაკისაც. აი, რატომ შეხვდა ამ ცნობას ასეთი აღფრთოვანებით თითოეული მათგანი. მილოცვებს არ ჰქონდა დასასრული... მისალოცი დეპეშები აურაცხელი იყო. ისინი გამოგზავნეს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარემ, განათლების მინისტრმა, ღვაწლმოსილმა მეცნიერებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, მეგობრებმა, კოლეგებმა, ნამოწაფრებმა...

„თავისი დიდბუნებოვნებით, უდიდესი პედაგოგიური ნიჭითა და ალღოთი, საქმის მიმართ უდიდესი სიყვარულით, ენთუზიაზმითა და გამომგონებლობის დიდი უნარით, იგი ნამდვილად სახალხო მათემატიკოსია" თქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ***ევგენი ხარაძემ.***

სიხარულის განცდა დავით გონდაურს მაშინაც ჰქონდა, როდესაც იგი ღებულობდა მთავრობის სხვა მაღალ ჯილდოებს. ასევე დიდი ზეიმი იყო სკოლაში, როდესაც მას „საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის" საპატიო წოდება მიენიჭა 1967 წლის 5 ოქტომბერს, როცა იგი „ლენინის ორდენით" დაჯილდოვდა 1978 წლის 27

ივნისს. მისალოცი ბარათები გამოგზავნეს აკადემიკოსმა გ. ძოწენიძემ, ვ. კუპრაძემ; თსუ მაშინდელმა რექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტმა დავით ჩხიკვიშვილმა; სკოლის დირექტორმა, საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებელმა გრიგოლ კობახიძემ, მრავალმა საზოგადო მოღვაწემ...

„პატივცემულო დავით ზაქარიას ძევ! მიიღეთ გულითადი მილოცვა „საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების" მონიჭებასთან დაკავშირებით. გისურვებთ ახალ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ საქმიანობაში".

პატივისცემით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარე, აკადემიკოსი ***გ. ძოწენიძე***

„დიდად პატივცემულო ბატონო დავით! გულითადად მოგესალმებით და მოგილოცავთ „ლენინის ორდენით" დაჯილდოებას. არა მგონია, საბჭოთა პედაგოგისათვის არსებობდეს უფრო სასურველი ჯილდო. შემდგომ წარმატებებს გისურვებთ თქვენს სასახელო საქმიანობაში, ჩვენი ბავშვების ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში".

პატივისცემით, თსუ რექტორი ***დ. ჩხიკვიშვილი***

არ შეიძლება სიტყვა არ ითქვას დ.გონდაურისადმი მიწერილ სამადლობელზე, რომელიც გაზეთ „მშობლიურ კერაში" გამოქვეყნდა 1991 წლის 30 აპრილს, სადაც ვკითხულობთ:

დღეს, როდესაც ეროვნული მოძრაობა ისე მძლავრია, როგორც არასოდეს, ხოლო სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ – ესოდენ ერთსულოვანი, გვახსენდება ოტო ფონ ბისმარკის საჯაროდ თქმული მადლობა მასწავლებლების მიმართ – მათ გამოზარდეს თაობები, რომლებმაც სამშობლოს გაერთიანება ცხადად აქციესო. ასეთ სამადლობელს უეჭველად იმსახურებს არაერ-

თი ქართველი პედაგოგიც, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება ბატონი დავით გონდაური – საქართველოს სახალხო მასწავლებელი, მრავალი თაობის აღმზრდელი და დამკვალიანებელი, რომლის დაბადების 70 წლისთავს აღნიშნავს დღეს მადლიერი საზოგადოება.

თბილისის ერთ–ერთი უსაჩინოესი სკოლის – ამჟამად გ.კობახიძის სახელობის გიმნაზიის კურსდამთავრებულმა, მან მთელი თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა ამ სკოლას დაუკავშირა, მის კედლებში დავაჟკაცდა – ახალბედა მასწავლებელი რესპუბლიკის წამყვან სპეციალისტად იქცა.

გადის წლები და გუშინდელ შეგირდებს დღეს კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გვესახება ბატონი დავითის პიროვნება, რომლის გამორჩეული თვისებებია მაღალი ზნეობა,პრინციპულობა, დიდი ადამიანური სიკეთე და პროფესიონალიზმი. ერთი მხრივ, ბრწყინვალე მათემატიკოსი–პედაგოგი, მოსწავლეების თვალწინ გასაოცარი სიმსუბუქით რომ ხსნის ურთულეს ამოცანებსა და მაგალითებს, თვითონვე ტკბება მათი სილამაზით და შეგირდებსაც აზიარებს ლოგიკური აზროვნების სიმშვენიერეს, ხოლო მეორე მხრივ, შესანიშნავი მეთოდისტი, რომლის მრავალი წლის გამოცდილება, დაფუძნებული დიდ ერუდიციაზე და სათანადო ლიტერატურის ღრმა ანალიტიკურ ცოდნაზე, განზოგადებული და კლასიფიცირებულია რამდენიმე ათეული მეთოდური შრომის სახით.

ერთიც უნდა აღვნიშნოთ, მაშინ, როდესაც სკოლაში გასაშუალოების ტენდენცია მძლავრობდა, იგი დიფერენციალური სწავლების ელემენტების მეშვეობით მიზანდასახულად იბრძოდა ამ დამღუპველი მიმართულების წინააღმდეგ.

ქართული სიტყვის დიდოსტატს უთქვამს: „კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა, შრომაა უდიდესი სიქველე

ამ ქვეყნად და არც არაფერი არ ამშვენებს ისე ეაუკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე". გასაოცრად მიესადაგება ეს სიტყვები ჩვენს საყვარელ იუბილარს.

გილოცავთ, ღრმად პატივცემულო ბატონო დავით. კიდევ მრავალი თაობა აღგეზარდოთ მამულის შემწედ და მსახურად.

თქვენი მოწაფეები

ვლადიმერ ბახუტაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიის წევრ–კორესპონდენტი

ნუგზარ ტატიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი

ყარამან ზაღაშვა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი

ბატონო დავით!

სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის მთავარი საკოორდინაციო საბჭო, თქვენი საყვარელი კოლეგები, გულითა და სულით გილოცავენ იუბილეს, მომავალი თაობის უაღრესად რთულ, მაგრამ მამულიშვილურ საქმეში დათოელილ წლებს.

თქვენს მიერ განელილი გზა, კაცური კაცობის, უმაღლესი ზნეობისა და სისპეტაკის უბადლო ნიმუშია.

ქართველმა ხალხმა, ინტელიგენციამ და პედაგოგიურმა საზოგადოებამ ღირსეულად დააფასა თქვენი ღვაწლი. დაგაჯილდოვათ მრავალი ორდენითა და მედლით, სამკერდე ნიშნით, მოგანიჭათ საქართველოს დამსახურებული

მასწავლებლის, მასწავლებელ–მეთოდისტის, მუდმივად საპატიო წიგნში შეტანით „წლის საუკეთესო მასწავლებლისა" და საქართველოს სახალხო მასწავლებლის საპატიო წოდება. მაგრამ ყველაზე საამაყო და საპატიო ჯილდო, თქვენმა აღზრდილებმა გიბოძეს. მათ უსაზღვრო სიყვარული და დაფნის გვირგვინი დაგადგეს.

კაცობრიობისათვის ყველაზე დიდი სიმდიდრე ცოდნაა. ირწმუნეთ, რომ მარად და ყველგან, ყველაფერში თქვენი მუდმივი თანამგზავრი, რწმენის, ბრძოლისა და მომავლის იმედით ანთებული მილიონობით თვალები იქნება, რადგან თქვენ ამ თვალების ელვარებისა და სიცოცხლის დამკვიდრებისათვის დაიფერფლეთ და ბოლომდე დაიხარჯეთ.

გისურვებთ დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას. დაე, თქვენი და თქვენს მიერ აღზრდილი მომავალი თაობების ბედნიერებისათვის რეკდეს სამრეკლოს ყველა ზარი, თქვენზე ლოცვაში იღვენთებოდეს ტაძარს დანთებული ყველა სანთელი!

უზენაესმა არ მოგიშალოთ სიბნელის კვეთის და სიკეთის თესვის ძალა.

გეხვევით, გკოცნით და გეფერებით.

ჩვენთან ერთად ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი
დაცვის კავშირის მთავარი საკორდინაციო საბჭოს
სახელით, თავჯდომარე **გ.გურგენიძე**

ვუძღვნით ჩვენს საყვარელ დათო მასწავლებელს

იქვენ პედაგოგად ხართ გაჩენილი,
თაობის აღზრდა სიყვარულია,
ძვირფასო დავით მასწავლებელო,
თქვენს კეთილ გულში ცოდნის სულია
თქვენ გვაზიარეთ ცოდნის სინათლეს
და განათლების აანთეთ კვარი,
თქვენ პაწაწინა ნაპერწკალიდან
აბრდღვიალეთ დიდი ხანძარი.
გულით გილოცავთ თქვენს იუბილეს,
სამოცდაათი წლის შესრულებას,
კვლავ აღგეზარდოთ თქვენ თაობები,
აგსრულებოდეთ ნატვრა ყოველი.
თქვენ ბეწვის ხიდზე გამოგვატარეთ,
სინათლესა და სიბნელეს შორის,
მამულისათვის იღწვოდით მუდამ,
ბავშვებისათვის კვლავ გიცემთ გული.
მედგრად მიეყვებით ანთებულ სანთელს,
შრომით და ღვაწლით თქვენ რომ აანთეთ,
ლამაზი ლექსით რომ მოგილოცოთ,
კიდევ მეორე სამოცდაათი!!!

გიმნაზიელთა ყველა თაობა

1996 წლის 1 ივლისს, თბილისის მერიამ დავით გონდაურს მიანიჭა „თბილისის საპატიო მასწავლებლის წოდება". ამავე წლის 31 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ „ღირსების ორდენით" დააჯილდოვა. მილოცვებს არც აქ ჰქონდა დასასრული...

„ბატონო დავით! ნება მომეცით, გულითადად მოგილოცოთ „ლირსების ორდენით" დაჯილდოება, ასევე მსურს მოგილოცოთ დამდეგი შობა–ახალი წლის დღესასწაული. გისურვოთ ჯანმრთელობა და ბედნიერება. შემდგომი წარმატებები მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეში".

ღრმა პატივისცემით, საქართველოს სახელმწიფო
მინისტრი ***ნიკო ლეკიშვილი***
1997 წლის 7 იანვარი

როცა დ. გონდაურს ეკითხებოდნენ როგორ მიაღწია მან ასეთ დიდ აღიარებას, რით დაიწყო და რით გადაჭრა ურთულესი პრობლემები, იგი პასუხობდა – „თავდაუზოგავი შრომით". პასუხი მოკლეა, მაგრამ რამდენი წლის დაძაბული შრომა ჩააქსოვა მან ამ ყველაფერში, ამის განსჯა მკითხველისათვის მიგვინდია.

* * *

დავით გონდაური არ ეკუთვნოდა ადამიანთა ისეთ კატეგორიას, რომელიც ეგულჩვილება შვილებს, შვილიშვილებს მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი ბავშვები არიან. დავითი მათ ელაპარაკებოდა, როგორც ტოლი ტოლს. ხანდახან მკაცრიც იყო, კერპიცა და პირქუშიც. ის ვერ იტანდა თავნებობას. არ ერიდებოდა შენიშვნა მიეცა საკუთარი თუ მეზობლის ყმაწვილისათვის, თუკი მათში რაიმე უწესობას შენიშნავდა. მაგრამ ეს მამობრივი სიმკაცრე და მომთხოვნელობაა, რაშიც ხშირად ბევრად უფრო მეტი ჭეშმარიტი სიყვარული და მზრუნველობა იყო ჩაქსო-

ვილი, ვიდრე ზოგიერთის აშკარად მოშაქრულ დამოკიდებულებაში ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას.

როგორც გარეთ, ასევე ოჯახშიც დავითი შთამაგონებელი იყო თითქმის ყველა მნიშვნელოვანი წამოწყებისა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს სრულებითაც როდი ნიშნავდა იმას, თითქოს ოჯახში იგი ასრულებდა ყველას მოვალეობას, ერეოდა სხვების ფუნქციებში, ყველგან თავის პერსონას უსვამდა ხაზს. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ყოველგვარი ინიციატივა და ენთუზიაზმი ჩაკვდებოდა, სახლში აღარაფერი გაკეთდებოდა, უპასუხისმგებლობა და უწესრიგობა გამეფდებოდა. დავით გონდაურს ჰქონდა იმის საუცხოო უნარი, რომ როგორც თვითონ, ასევე სხვებსაც ემუშავა. დიდსა და პატარას ერთიანად აამოქმედებდა, უსათუოდ შეასრულებინებდა თავიანთ მოვალეობას. გამომდინარე აქედან, ოჯახში მისი მეცადინეობით ყოველთვის სრული მობილიზაცია იყო.

ქალის ღირსების წარმოჩენამ — ღვთისმშობლობამ, ანდა სარწმუნოების ქალის ხელიდან მიღებამ, როგორც ეს საქართველოში მოხდა, დიდად შეუწყო ხელი ქალისადმი მეტი პატივისცემის დამკვიდრებას. ბუნებამ ქალი აამაღლა. ყველა ერთა შორის ქალი ნაკლებად დამონებულია, მეტად პატივცემულია საქართველოში.

ასე სწამდა დავითსაც. იგი ერთ—ერთი იმათგანი იყო, ვისაც შესწევს უნარი დაინახოს ქალის, მეუღლის ღირსება და დააფასოს ის. გამომდინარე აქედან, დავითს შვილები და შვილიშვილები ხშირად ხუმრობით ეუბნებოდნენ: „დათიკო, შენ ამ ქვეყნად მხოლოდ თამარი და მათემატიკა გაინტერესებს" თავისი სიყვარული და პატივისცემა

მეუღლის მიმართ დავითმა სრულად ასახა მის გატაცებებში – ლექსებში. მან მრავალი ლექსი მიუძღვნა თამარს.

არ შეიძლება გულგრილად წაიკითხო თამარისადმი მიძღვნილი ლექსი აკროსტიხი – „ჩემი ღაბუა".

ჩემი ღაბუა

ვუძღვნი ჩემს ძვირფასს!

თვალი შეეასწარ ჩემს ბაღში ლამაზი ჩიტი მოფრინდა,
ახლოს მივედი მე მასთან, გული სიამით გაბრწყინდა,
მითხრა: შორიდან მოვედი, იქ ახლოს ფრენა მომწყინდა,
როგორც მცენარეს მზის სხივი, მეც აქ სილაღე მომინდა.
იფრინე ხშირად ჩემს ბაღში, შენ'ხე კარგს ვიღას მოველი,
კოკორი გარდაიქმნება, ვარდად იქცევა ყოველი,
ოქროს წრე – შარავანდედი, მზესავით მანათობელი,
მაზარად ირგვლივ მოისხი, ყოვლისა შემამკობელი.
ელვარებს შენი თვალები, ვითა ვარსკვლავნი ცაზედა,
ლალისფერ ხავერდოვანო, შენ უკეთესო სხვაზედა
იაგ'უნდი ხარ პატარა, სტვენ იადონის ხმაზედა,
ტიტანი – ვარსკვლავთმორბედი, გემთა შუქურა ზღვაზედა.
ობობას ქსელი გავაბი, მსურდა შემეპყრო ხელითა,
ნადები გულში, მემხილა ამევსო თვალი ცრემლითა,
ისურვა მარტოდ დარჩენა, ჩემგან შორს წასვლა ფრენითა,
სიყვარულს იგი მიმიხვდა, თავჩაღუნული რცხვენითა.
აღელვებული გრძნობებით მის პასუხს ველოდებოდი,
სდუმდა, არაფერს იძახდა, ღაბ'ვას თავსველებოდი,

უმანკოვ, ბროლის თვალები მომაპყარ! ვეხვეწებოდი,
ლაყვარდს „შეხვედრა" უბოძე სიყვარულს ვეფიცებოდი.
ძალა და სიბრძნე შემმატა, როს მამცნო მან სიყვარული,
აღგზნებულ გულში ჩავიკარ, ცხადი შეიქმნა ფარული,
გუგაში ერთურთს ვესახეთ, დრო გექონდა ჩვენ მოპარული,
აამეტყველა მან ბაგე დავსტკბი მისით მოხარული.
ნარნარით ყველა გაფრინდა, შენს მეტი არვინ მიგალობს,
იცოცხლე ჩემო ღაბუა, სიკეთე არ მოგეშალოს
აღსრულდეს, რაც ჩვენ შევფიცეთ, გრძნობა გულს არ წაიშალოს
სადაც სურვილი გაივლო, იქ ვარდი გადაგეშალოს.

ივლისი—აგვისტო, 1944 წელი.
თბილისი

ჩემს თამარს!

აპა, ეს ჩემი სახსოვარია
დღევანდელი დღის აღსანიშნავად!

შენ მეხუთედი, მე მეოთხედი
საუკუნისა გავხდით შვილები,
აპა ეს გული, შენს გულთან ერთად
დაადე სასწორს დანაწყვილები.

შენ 18 წლის, მე 23-ის
ჩვენ ვეთაყვანეთ რუსთველის ნაწერთ,

დღეს ავისრულეთ დანაპირები,
ფიცი აღსრულდა, დღეს ჩვენ ხელს ვაწერთ.

დღეს შენ მოხვედი ჩემს ოჯახში
ჩემთან, ცხოვრების გასაგრძელებლად,
კეთილი იყოს შენი აქ მოსვლა
ჩვენი ოჯახის სადღეგრძელებლად.

დღეს უკვე გავხდით ჩვენ მეუღლენი,
ხვალ მას მხნედ გავწევთ სუფთა გულებით,
ცხოვრებისათვის გავიჭრათ ბრძოლად,
ჩვენ მას სულ მალე დაევუფლებით.

აჰა, მზიანი დღე მშვენიერი,
დღეს 16-ია მარტის, შაბათი.
გუშინ ქარები, დღეს დღე მზიერი,
დაუტკბეთ ერთურთს ვითა შარბათი.

შენი დათო.

ეს ლექსი გიძღვენ ჩემო სიცოცხლევ,
ქორწინების დღეს, 1946 წლის 16 მარტს,
შენს წამოსაყვანად, შენსას მოსვლამდე
ერთი საათით ადრე.

1989 წელს გაზეთში „ნორჩი მათემატიკოსი“ დავით ძეძამიძემ გამოაქვეყნა ამოცანა ლექსად, განტოლების შედგენით. დავით გონდაურმა კი მის ამოხსნას ლექსადვე უპასუხა. აი, ეს ლექსიც:

მეცხვარე ქალაქს წავიდა,
უნდა მაჭიკი ეყიდა,
ხელში კომბალი ეჭირა,
მხარზე ხურჯინი ეკიდა.
გზის მეოთხედი, რომ განვლო
შეჩერდა ერთი წამითა,
მანქანა წამოეწია,
ჩაჯდა და იმით წავიდა.

მანქანა წუთში ხუთასი
მეტრის სიჩქარით გარბოდა,
მწყემსი სამ საათს იგებდა,
თან დასვენებით ხარობდა,
მას, კილომეტრის გავლაზე
თორმეტი წუთი ჰყოფნიდა.
მაშ, ქალაქამდე სოფლიდან
სულ რა მ[redacted]ძილი ყოფილა?

ამოხსნა ლექსად დავით გონდაურისა

თუ ქალაქამდე სოფლიდან
მანძილს ჩვენ X-ით აღვნიშნავთ,
მაშინ საჭირო გახდება
მწყემსის სიჩქარის გაგება.

თუ კილომეტრის გავლაზე
თორმეტი წუთი სჭირდება,
მაშინ საათში მეცხვარეს
ხუთი კილომეტრის გავლა
ქვეითად, არაფრით გაუჭირდება.

თავის ფეხების იმედით
მთელ მანძილს სოფლიდან
იქს მეხუთედში გაიელის.
გზის მეოთხედი რომ განვლო,

მანქანა წამოეწია, რომელიც
საათში 30 კილომეტრს გარბოდა.
მას გასაველელად გავლილზე
სამჯერაც მეტი ელოდა,
რომელსაც მწყემსი $\frac{x}{40}$-ში ასწრებდა.
გზის მეოთხედს, მწყემსის სიჩქარით
$\frac{x}{20}$ ჰყოფნიდა,
სულ კი მანქანის წყალობით
$\frac{x}{8}$ საათში გალია.
სამი საათი რომ მოიგო,
ეს იქს მერვედი სამია.
მაშ ქალაქამდე სოფლიდან
მანძილი რვაჯერ სამია.

საკმაოდ ტკბილი კაცი იყო დავითი. ორი შვილი და ხუთივე შვილიშვილი მისი რჩევა–დარიგებებით აღზარდა. სახლში ხშირად იმეორებდა ხალხურ ანდაზას: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი მერე გამონახე". შემდეგ გაურჩევდა კიდეც შვილიშვილებს ამ ანდაზას: „აზრი ბრძნულია, ღრმა, უტყუარი, მაგრამ მას არავინ არ მისდევს და არ ასრულებს. მართლაც, გაიცანით, შეისწავლეთ დედ–მამა და უტყუარი წარმოდგენა გექნებათ შვილზე, ე.ი. არა მის ნიჭზე და უნიჭობაზე, არა მის ქონებაზე და უქონლობაზე, არამედ მის ბუნებაზე, მის ხასიათზე, მის პირადობაზე, მის ძირითად დამახასიათებელ თვისებებზე, სწორედ წინაპარი განსაზღვრავს ჩამომავლობის ბუნებასა და ადამიანობას".

თამარი ქმრის დიდი პატივისმცემელი იყო. იგი ყველანაირად უწყობდა ხელს მის მეუღლეს, რომ მუშაობისათვის შესაფერისი პირობები ჰქონოდა. იგი გულღიად ხვდებოდა დავითის მეგობრებს, უმასპინძლდებოდა სადილით და, რაც მთავარია, ესმოდა ქმრის პედაგოგიური შემოქმედების დიდი ღირებულება. დავითი ყოველთვის ამჯობინებდა წყნარად, მშვიდად ცხოვრებასა და მუშაობას. თავისუფალ დროს დავითი ყოველთვის კითხულობდა ფილოსოფიურ ლიტერატურას: კანტის „წმინდა გონების კრიტიკას", პლატონის, არისტოტელეს, იუმისა და შოპენჰაუერის თხზულებებს.

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებიდან გონდაურის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა შექსპირის, ჰაინესა და შილერის თხზულებები, ტოლსტოის „ანა კარენინა", დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები", სერვანტესის „დონ–კიხოტი" და სხვ. მათგან დ.გონდაურის მსოფლმხედ-

ველობის განვითარებაზე ყველაზე დიდი გავლენა დოსტოევსკიმ მოახდინა. „დოსტოევსკი მე იმაზე მეტს მაძლევს, ვიდრე სხვა მეცნიერი" – ხშირად ამბობდა იგი.

დავითს ადრეულ პერიოდშივე ჩამოუყალიბდა მუსიკალური ნიჭი. იგი მღეროდა ქართულ–ხალხურ სიმღერებს, მღეროდა ფანდურზე, მღეროდა არიებს ოპერებიდან. სტუდენტობის პერიოდში, თსუ ფიზიკა–მათემატიკის ფაკულტეტზე მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა ქართულ–კახური სიმღერების შემსრულებელ ვაჟთა გუნდი, რომელიც სხვადასხვა ოლიმპიადაზე წარმატებით გამოდიოდა. გამოდიოდნენ რადიოთიც. ამ გუნდში დავითი მღეროდა მეორე ხმას. გუნდში მღეროდნენ ნიკო ჯადუგიშვილი (დიდი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი სერგო ისნელი და სხვები.

„გავიხსენებ ამ გუნდის ისტორიიდან ერთ დეტალს. გაიმართა ბალ–მასკარადი. ჩვენი გუნდის ყველა წევრს ნაციონალური ტანსაცმელი ეცვა (ჩოხა–ახალუხი, ნაბდები, ყაბალახი, უძიროები და სხვა), მხოლოდ მე, ერთს, როგორც ტანით ყველაზე პატარას, ჩამაცვეს გლეხის პატარა ბიჭის ფორმა – ჩაშვებული წითელი ხალათი მცირე თეთრი კოპლებით, გვერდზე შესაკრავი ღილებით, წინდებში ჩატანებული შარვალი და ფეხზე ქალამნები. ხელში ფანდური მეჭირა. ბალ–მასკარადზე ჩვენ გუნდს დიდი წარმატება ხვდა და I პრიზი დაიმსახურა".

დ.გონდაური ხშირად ადარებდა ერთმანეთს მათემატიკასა და მუსიკას: „მათემატიკა ეს არის ტვინის მუსიკა, ხოლო მუსიკა კი სულის მათემატიკა. მუსიკა ეს არის სტიმული ჩემი მძიმე გონებრივი შრომის პროცესში.

მუსიკის ფონზე უკეთესად ვაზროვნებ და ვერ ვგრძნობ დაღლას, მუსიკა შრომას მიადვილებს, ვგრძნობ სულიერ სიმშვიდეს და კეთილ განწყობილებას".

დავითს განსაკუთრებით უყვარდა ჩვენი სასიქადულო კომპოზიტორების – ზაქარია ფალიაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ვიქტორ დოლიძის, ანდრია ბალანჩივაძის, რევაზ ლაღიძის, შოთა მილორავას, გიორგი ცაბაძის, სანდრო მირიანაშვილის და სხვათა ნაწარმოებები. გარდა ქართველი კომპოზიტორებისა, მისი საყვარელი კომპოზიტორები იყვნენ: მოცარტი, ბახი, შტრაუსი, შუბერტი, ბეთჰოვენი, შუმანი, ჰენდელი, ვერდი, ლეონკოვალო, პუჩინი და სხვ. დიდი სიამოვნებით უსმენდა გამოჩენილ მომღერლებს.

* * *

2002 წლის 9 მარტს, 82 წლის ასაკში შეწყდა გამოჩენილი მათემატიკოსის, საზოგადო მოღვაწისა და დიდი მამულიშვილის მაჯისცემა. მადლიერმა ქართველმა ხალხმა ვალმოხდილი პედაგოგი საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის (ამაღლების ეკლესიასთან) მიწას მიაბარა.

ცნობამ ღვაწლმოსილი პედაგოგის გარდაცვალების შესახებ მთელ საქართველოში დიდი მწუხარება გამოიწვია. „ჩაქრა დიდი ლამპარი,გარდაიცვალა ალბათ ყველა დროის უდიდესი პედაგოგი" „იგი დიდი იყო თავისი თავმდაბლობით და თავისი ჰუმანიზმით – ჰუმანიზმით, რომელიც გასაგები და მახლობელია ყოველი ადამიანისათვის. იგი დიდი იყო, როგორც თავისი პატარა საქართველოს პატრიოტი"

„საზოგადო მოღვაწე რომ იყო, ამისთვის არაა საჭირო ცხოვრების სათავეში მოექცე, ასეთი საზოგადო მოღვაწეობა ხშირად მხოლოდ და მხოლოდ მოჩვენებითია. საქმე ისაა, საზოგადო მოღვაწე იყო გულით, სულით, მოწოდებით. საზოგადო მოღვაწე სჯობს იყო პატარა თანამდებობით და აქედან აკეთებდე დიდ საქმეს. დავით გონდაური სწორედ იმ პირთ ეკუთვნოდა, რომელნიც თავისი მოწოდებით იყვნენ საზოგადო მოღვაწენი... დიდია ნიჭი, უდავოდ, უბრალოება დიდი ადამიანებისა!" წერდნენ მისი მეგობრები, კოლეგები და ყოფილი მოწაფეები.

მართალია, გონდაური წინააღმდეგი იყო ყოველგვარი პიროვნების კულტისა, მისი თუნდაც დამსახურებული განდიდებისა, მაგრამ თავისი უმწიკვლო შრომით და მოღვაწეობით, მან უკვდავების მტკიცე და გრანდიოზული ძეგლი დაიდგა, რომლის წინაშეც კულტურული კაცობრიობა ყოველთვის დიდი მოწიწებით მოიყრის მუხლს.

პედაგოგიური კულტურა ყველა მასწავლებლის საკუთრება უნდა გახდეს

საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის,
კულტურის დამსახურებული მუშაკის
გ. ალავერდაშვილის სიტყვა რესპუბლიკის
მასწავლებელთა კონფერენციაზე
1978 წლის 25 აგვისტოს

და აი, ახალი, 1978–1979 სასწავლო წელიც დაიწყო! მანამ ჩვენ პატარა სათქმელს მოგახსენებთ, ნება მიბოძეთ, ჩვენი რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის მუშაკთა სახელით, მხურვალეთ მოგესალმოთ თქვენ, რესპუბლიკის განმანათლებლებო, გისურვოთ ყოველგვარი სიკეთე სკოლაში, ოჯახში, შინ და გარეთ!

საკითხი, რომელზედაც მსურს გესაუბროთ ამჟამად, ერთობ ფართოა და მრავალმხრივი, მაგრამ დაიმედებული იმით, რომ თქვენთვის იგი უცხო არ არის, აგრეთვე რეგლამენტის სიმცირის გამო, შეეცდები მოკლედ შევჩერდე მის მხოლოდ რამდენიმე ძირითად, უმთავრეს ასპექტზე. უფრო შეხსენებისთვის, გამეორებისთვის, რამეთუ არ არის ზედმეტი.

ეს საკითხი გახლავთ მასწავლებლის პედაგოგიური კულტურა. როგორც მოგეხსენებათ, ახლახან დამთავრებულმა მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობამ ჩვენს წინაშე პედაგოგიური შრომის ფართო ჰორიზონტი გადაშალა; ყრილობამ განიხილა მიღწეული წარმატებანი საყოველთაო–სავალდებულო საშუალო გა-

ნათლების გზაზე, დაგვისახა სასწავლო– აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების, ცხოვრებისათვის, შრომისათვის მოზარდი თაობის მომზადების ნათელი პერსპექტივები.

დღევანდელი საზოგადოება ახალ მოთხოვნებს უყენებს მასწავლებლებს, სახალხო განათლების დარგის თითოეულ მუშაკს, მთელ პედაგოგიურ საზოგადოებას. იმისათვის, რომ წარმატებით გადავჭრათ ეს ამოცანები, მრავალ სხვა ღონისძიებასა თუ ფაქტორთან ერთად, აუცილებელია კიდევ უფრო ამაღლდეს ჩვენში მასწავლებლის პედაგოგიური კულტურა. ეს ზოგადად იმას ნიშნავს, რომ დღენიადაგ ავამაღლოთ და სრულყოთ ჩვენი თეორიული, იდეურ პოლიტიკური და პედაგოგიურ–მეთოდური დონე, გავაძლიეროთ მასწავლებლის აქტიური შემოქმედებითი ძალები, მაღალი ეროვნული იდეურობისა და ზნეობის, საქმისადმი ერთგული დამოკიდებულების მაგალითები ვუჩვენოთ მოსწავლეებს, ვიყოთ მართალნი ბავშვებთან, მათ მშობლებთან, საზოგადოებასთან, ჩვენს სინდისთან.

მასწავლებლის პედაგოგიური კულტურა უფრო კონკრეტულად რომ წარმოვიდგინოთ, ჩემი აზრით, საკმარისი იქნება სქემატურად მაინც განვაზოგადოთ 77-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლის, ორი ორდენისა და მრავალი მედლის კავალერის, საქართველოს დამსახურებული პედაგოგის დავით გონდაურის საქმიანობა, რამდენადმე ჩავწვდეთ მის ადამიანურ ბუნებას, თუნდაც მკრთალად მოვხაზოთ დავითის მოქალაქეობრივი სახე.

მე ბედნიერება მქონდა არაერთხელ მეხილა ასეთი სურათი: გაკვეთილზე შედის დავით გონდაური, გარეგნუ-

ლად ერთი კაჟანდარა, „მარადჟამ სუსტი და ფერგალეული" მასწავლებელი. ოქროსფერჩარჩოიანი სათვალიდან სასიამოვნოდ იღვრება ღიმილი. მოსწავლეები სიყვარულით, თავაზიანად უბრუნებენ სალამს პატივცემულ მასწავლებელს. სწრაფად მთავრდება გაკვეთილის საორგანიზაციო საქმიანობა და კლასი ებმება სერიოზულ, დაძაბულ, მაგრამ მიმზიდველ და საინტერესო სასწავლო მუშაობაში. ყველა აქტიურობს, ფიქრობს, აზროვნებს, უსაქმოდ არცერთი ზის, არავინ ამთქნარებს, თითოეულს თავისი თავსატეხი და საფიქრალი აქვს, უსათუოდ უნდა შეასრულოს სამუშაო, რომ არ შერცხვეს პატივცემულ დავით მასწავლებელთან...

მოსწავლეებს ხიბლავს პედაგოგის ნათელი მათემატიკური აზროვნება, ჭეშმარიტი არტისტიზმი, ზომიერი იუმორი, გაკვეთილის მიმართულება, მომთხოვნელობა, პუნქტუალობა, გულწრფელი სიყვარული საგნისადმი, მოსწავლისადმი. მისი აღსაზრდელები კარგად გრძნობენ, თუ როგორ იზრდება მათში ცოდნის მარაგი გაკვეთილიდან გაკვეთილამდე, დღეს რა ახლობელი, გასაგები და იოლი ხდება გუშინ დაუძლეველი ფორმულები და ცნებები... და კიდევ ის არის ფრიად საყურადღებო, რომ პედაგოგი მათემატიკურ მასალას, ფორმულებს, გაანგარიშებებს თითქოს სულს უდგამს, აცოცხლებს, ხელშესახებს ხდის, ორგანულად და ბუნებრივად აკავშირებს ცხოვრებისეულ მოვლენებს მაგალითებთან, არ იფარგლება ცარცითა და დაფით, საკლასო ოთახის კედლებით.

ეს გაკვეთილი! ახლა თვალი გადაავლეთ ბატონ დავითის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებსა და სტატიებს,

სამეცნიერო კონფერენციებსა თუ რესპუბლიკურ თათბირებზე წაკითხულ მოხსენებებს, მოუსმინეთ, როცა იგი საქართველოს ტელევიზიით განაზოგადებს თავის მდიდარ გამოცდილებას, ნახეთ, როგორ ატარებს გონდაური მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანების მეცადინეობას, მისი თავჯდომარეობით ჩატარებულ ადგილკომის სხდომასაც დაესწარით და ნამდვილად გაგაოცებთ ამ ადამიანის ღრმა, საფუძვლიანი მათემატიკური განათლება, დიდი ერუდიცია, ფართო ჰორიზონტი, დაუშრეტელი ენერგია და მრავალმხრივი საზოგადოებრივი ინტერესები.

დიახ, გაგაოცებთ და მოგხიბლავთ დავით გონდაურის პიროვნება! ასეთი ნიშან–თვისებები, ღრმა ცოდნა, გაკვეთილის მაღალ დონეზე ჩატარების უნარი, მრავალმხრივი საზოგადოებრივი საქმიანობა, რასაკვირველია, ბევრ სხვა მასწავლებელსაც ახასიათებს, მაგრამ დავითი მაინც დავითია! მას თავისი საკუთარი სტილი, როგორც იტყვიან, თავისი საკუთარი ხელწერა, განუმეორებელი ნირი და ნიშანი აქვს გაკვეთილზე, მოხსენების წაკითხვის დროს, ტელევიზიით გამოსვლისას და სხვა სიტუაციებში.

ფიზიკურად ამ არც თუ ისე ძლიერ კაცს აქვს რაღაც შინაგანი უხილავი ძალა, რომლითაც სულ ადვილად იმორჩილებს და „ათვინიერებს" თვით ყველაზე უფრო უდისციპლინო,ე.წ. ძნელადაღსაზრდელ მოსწავლესაც კი. ეს ძალა იქნებ იმაშია, რომ გონდაურს საოცრად მარჯვედ შეუძლია შეუხამოს ერთმანეთს მომთხოვნელობაც და დამთმობლობაც, სიმკაცრეცა და შემწყნარებლობაც!? ანდა იგი იქნებ იმით არის ძლიერი, რომ მუდამ იმორ-

ჩილებს ემოციებს, არასოდეს არ უწევს ხმას, წონასწორობას არ კარგავს, ყველა ვითარებაში ინარჩუნებს სიმშვიდესა და სიდარბაისლეს.

დამეთანხმებით, ყველას არ შეუძლია ეს! მართლაც და აბა, სად რომელ სამეცნიერო, პედაგოგიურ თუ ფსიქოლოგიურ წიგნში წავიკითხავთ იმ საზომის თაობაზე, რომლითაც უნდა განსაზღვრო სიმკაცრისა და შემწყნარებლობის ურთიერთშეხამება, ვის შეუძლია გვითხრას დაბეჯითებით, ზუსტად — სად მთავრდება ერთი და სად და როდის იწყება მეორე. ჩემი აზრით, პედაგოგიკის მეცნიერების, აღზრდის თეორიის ერთ—ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა სწორედ ეს გახლავთ და მისი სწორად გადაჭრა, ამ „ზღვარის" პოვნა მხოლოდ და მხოლოდ დავით გონდაურისთანა მასწავლებლებს თუ შეუძლიათ, რომელთაც აქვთ შინაგანად მიმადლებული ეს ინტუიციური უნარი.

ამას კი პედაგოგიური კულტურა ჰქვია. პედაგოგიური კულტურაა, რა თქმა უნდა, მასწავლებლის შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, თითოეული წუთის რაციონალური გამოყენების, სწავლების დიდაქტიკური პრინციპების დაცვის უნარი, იმის ცოდნა და ძალა, რომ მიიზიდო, დააინტერესო მოსწავლეები შენი საგნით, დაიმსახურო მათი ნდობა, გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა.

ეს დიდი ხელოვნებაა, უდიდესი ძალაა, პედაგოგიური კულტურაა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დავითისნაირ რჩეულთ შესწევთ. პედაგოგიურ კულტურად უნდა მივიჩნიოთ, თუ გნებავთ ისიც, როდესაც ბატონი დავითი ჯიბიდან დროდადრო ამოიღებს გაქათქათებულ ცხვირ-

სახოცს და ფაქიზად გაწმენდს სათვალეს, ანდა წიგნს ისეთი მოწიწებით აიღებს ხელში, ისე მოხდენილად დაიჭერს და ფრთხილად გადაშლის ფურცლებს, რომ უნებურად შენც გინერგავს წიგნისადმი პატივისცემას და სათუთ მოპყრობას. ამ მასწავლებლის პედაგოგიური კულტურაა მისი ჩაცმულობაც, მანერები, სხვა ადამიანებთნ — კოლეგებთან, მშობლებთან, ნაცნობებსა და უცნობებთან დამოკიდებულება, დინჯი, ჭკვიანური სიტყვა—პასუხი, დარბაისლური მიხვრა—მოხვრა, გულითადობა, თავმდაბლობა, მოკრძალებულობა, გულისხმიერება, სისპეტაკე და უანგარობა.

და ბოლოს, რაც ყველაზე უფრო მთავარია, მასწავლებლის პედაგოგიურ კულტურას განსაზღვრავს მისი შრომისმოყვარეობა, დაუღალავი, ყოველდღიური მეცადინეობა საკუთარი ჰორიზონტის გასაფართოებლად, ცოდნის დონის ასამაღლებლად, გაკვეთილების მოსამზადებლად, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.

ყოველგვარი ნიჭი და ცოდნა უსარგებლოა, თუ მას შრომა, გარჯა არ აკეთილშობილებს, არ ალამაზებს. ერთ—ერთ ჭკვიან კაცს უბრძანებია: ცოდნა — ეს ოქროა, მაგრამ ცოდნას ლაზათი უნდა ჰქონდეს, მას ბრწყინვა სჭირია, მას წონა უნდა ჰქონდეს, თორემ ოქრო კი არა, ტყვია ეგონება ხალხსაო. დიახაც, ცოდნას გონებრიეი ვარჯიში, მკლავმოუღლელი შრომა ამდიდრებს, ალაზათებს და აბრწყინებს.

დავით გონდაურისთანა მასწავლებლის პედაგოგიური კულტურის ერთ–ერთი მთავარი და აუცილებელი გამოხატულება სწორედ შრომაა.

მასწავლებლის პედაგოგიური კულტურა იმაშიც უნდა მდგომარეობდეს, რომ შეეძლოს სასწავლო მასალის ოსტატურად, გასაგებად, მისაწვდომად გადაცემა, მოსწავლეთა შეიარაღება მყარი ცოდნით. თორემ რა გამოვიდა. მე ვიცნობ ზოგიერთ ქედმაღალ პედანტ მასწავლებელს, რომელიც თავის ცოდნას კი არ გადასცემს მოსწავლეებს, არამედ მხოლოდ ამცნობს, კი არ უზიარებს, არამედ სასჯელივით ადებს ამ თავის ცოდნას და იმდენად თავის ნასწავლობას კი არ უმჟღავნებს კლასს, რამდენადაც საკუთარ უვიცობას აგრძნობინებს მოსწავლეებს.

გასაგებია, რომ ასეთ „განსწავლულ" მასწავლებელს არავითარი პედაგოგიური კულტურა არ გააჩნია და იგი მხოლოდ სიძულვილს, შურისძიებას აღუძრავს მოსწავლეებს, დამცირებისათვის, აბუჩად აგდებისათვის.

დავით გონდაური არასოდეს არ უსვამს ხაზს თავის განსწავლულობას, ცოდნას, გონებრივ და სულიერ სიმდიდრეს, ეს ისედაც ჩანს, თავისთავად, ბუნებრივად და ამიტომაც უყვართ იგი მოსწავლეებს, ამ მოკრძალებულობის, მდიდარი შინაგანი კულტურის გამოც აღმერთებენ მას...

რაბინდრატ თაგორს უთქვამს: ნაბიჯს ნუ შეანელებ და წინ ისე იარე, ყვავილებს ფეხი არ დაადგა, მაშინ შენი ცხოვრების მთელ გზას ყვავილები დაამშვენებენო. ბატონი დავითი უწყინარი ადამიანია, არავის ვნებს, არავის მტრობს, არავის უსაფრდება. იგი თავისი ლამაზი ცხოვრების გზაზე პატიოსნად, პირნათლად მიდის, ნაბიჯს

არ ანელებს, ყვავილებს ფეხს არ ადგამს და ეს ყვავილები მას ფიანდაზად ეფინებიან.

ესეც კულტურაა, მასწავლებლის პედაგოგიური კულტურა! გონდაურის პედაგოგიური მოღვაწეობის გზა გაისად საიუბილეო — 40 წლისა გახდება. ჯერ სადა ხარ? მხოლოდ შუადღის თაკარა მზე დაჰკაშკაშებს ამ მშვენიერ, ჩრდილდაუკრავ გზას. ასე მხნედ, ვაუკაცურად პატიოსნად გაევლოს ამდენივე გზა თავისი ცხოვრებისა ბატონ დაჟითს!

ჩვენს ქვეყანაში ყველაზე უძვირფასესია ადამიანი, ძვირად ფასობს ხალხისათვის, სამშობლოსათვის მის მიერ გაწეული შრომა, სხვებთან ერთად — მასწავლებლის შრომაც. ეს რომ ასეა, ამის ნათელი დადასტურებაა ახლახან მასწავლებელთა დიდი ჯგუფისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება,[8] აგრეთვე ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება. ფრიად სასიხარულო მოვლენაა ჩვენი რაიონის სახალხო განათლების მუშაკთა ცხოვრებაში ის ფაქტი, რომ დაჯილდოებულთა შორის არიან დავით გონდაური და სხვა მასწავლებლები.

ასეთ ჯილდოებს, სახელსა და დიდებას ყველა დაიმსახურებს, ვინც კი ერთგულად, თავდადებით ემსახურება ჩვენი ქვეყნის, საზოგადოების წინსვლისა და განვითარების ინტერესებს, ვინც დაუღალავად იღწვის სკოლის წინაშე დასახული ახალი ამოცანების შესასრულებლად, ვინც დღენიადაგ იმაღლებს თავის პედაგოგიურ კულტურას.

---

[8] სოციალისტური შრომის გმირის წოდების მისანიჭებლად, ცნობები და მიღწევები დავით გონდაურის შესახებ ქ. მოსკოვში წარადგინეს საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა. მაგრამ იქ ახალი მთავრობის მოსვლით, დაიწყო ე.წ. „პერესტროიკა" და სოციალისტური შრომის გმირის წოდება საერთოდ გააუქმეს. „ცოტათი დაეაგვიანეო" — ხშირად იხსენებდა გონდაური ხუმრობით.

მოგონებები
დავით გონდაურზე

* * *

მასწავლებელი რომელიც ყოველთვის გვემახსოვრება

ბატონი დავით გონდაური იყო ბრწყინვალე პიროვნება და უდიდესი მასწავლებელი. ღვთის მიერ მომადლებული ნიჭი მასწავლებლისა მას საშუალებას აძლევდა მოსწავლისათვის აეხსნა და შეეყვარებინა ისეთი რთული მეცნიერება, როგორიც მათემატიკაა. მისი გაკვეთილები იყო არა მარტო ცოდნის შეძენის პროცესი, არამედ დიდი შემოქმედებითი ოსტატობის მაგალითი. გაკვეთილის ახსნის დროს მას მოჰყავდა უამრავი მაგალითი, თუ რა სიკეთე მოაქვს მათემატიკას, რაოდენ საჭირო და აუცილებელია მისი გამოყენება მეცნიერების სხვადასხვა დარგებში. ბატონი დავითი ყოველთვის უდიდესი პასუხისმგებლობით ეპყრობოდა გაკვეთილს, რომლისთვისაც იგი განსაკუთრებით ემზადებოდა. იგი ყოველთვის გრძნობდა თუ ვინ ვერ გაიგო ახსნილი მასალა და თუ გაკვეთილზე ვერ მოასწრებდა, მაშინ გაკვეთილების შემდეგ ან სახლში იბარებდა ასეთ მოსწავლეებს. იყო უანგარო, პატიოსანი და კეთილმოსურნე ადამიანი, რომლის მთავარი მიზანი იყო სამშობლოსათვის აღეზარდა განათლებული და პატიოსანი მოქალაქეები. ბატონ დავითს გვერდს უმშვენებდა უბრწყინვალესი მეუღლე, ქალბატონი თამარი, რომელიც ყოველთვის ხელს უწყობდა ბატონ დავითს თავის საყვარელი საქმის განხორციელებაში.

მე ბევრი რამ ვისწავლე ბატონ დავითისაგან და ხშირად ვიყენებდი ჩემს მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს. უბრალოება, მეგობრული დამოკიდებულება, მოსწავლის დაინტერესება მეცნიერების ახალი პრობლემებით და მასთან ერთად იმ დიდი სიხარულის გაზიარება, რომელიც მოსწავლის წარმატებას ახლავს თან.

ბატონი დავითი ყოველთვის დარჩება ჩემს გულში როგორც შესანიშნავი პედაგოგი, თავისი საქმის უბადლო მცოდნე, სამშობლოზე უსომოდ შეყვარებული ნათელი პიროვნება.

არ შემიძლია არ გავიხსენო სკოლის დირექტორი – ბატონი გრიგოლ კობახიძე. იგი საქართველოში პირველი პედაგოგი იყო, რომელსაც საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებლის საპატიო ტიტული მიენიჭა. ბატონმა გრიგოლმა უმალ შენიშნა ნიჭიერი პედაგოგი, ბატონი დავითი, რომელსაც ყოველმხრივ გვერდში ედგა და ხელს უწყობდა. საქართველოში პირველად, ამ ორი უდიდესი პედაგოგის და ადამიანის მესვეურობით, ჩვენს სკოლაში გაიხსნა მათემატიკის კაბინეტი – მათემატიკური ცოდნის წყარო.

მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მასწავლებლები იყვნენ ეს ბუმბერაზი პედაგოგები, რონმელთაც გზა დამილოცეს ცხოვრებასა და მეცნიერებაში.

ლადო ბახუტაშვილი

სამედიცინო ბიოტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

* * *

ჩემი მასწავლებელი – ბატონი დავით გონდაური

უაღრესად დიდია მასწავლებლის როლი საზოგადოებაში: მომავლის მესაძირკველეა, ახალთაობის ინტელექტუალურ და ზნეობრივ სრულყოფას ემსახურება.

ბედს ვერ დავემდურები, შესანიშნავი პედაგოგები მყავდა, ჯერ საშუალო სკოლაში, დღეს გრიგოლ კობახიძის სახელობის გიმნაზიის სახელს რომ ატარებს, შემდეგ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც ლექციებს მედიცინის კორიფეები გვიკითხავდნენ, და მაინც, ამ თანავარსკვლავედში მათემატიკის მასწავლებელი ბატონი დავით გონდაური გამორჩეული გახლდათ.

საკმაოდ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც გაკვეთილებს გვიტარებდა, ჩემი კლასის დამრიგებელიც იყო 1964-65 წლებში. ცხადია, შემდეგშიც მქონდა ეპიზოდური შეხვედრები, პატივი მერგო მისი მოსწავლეების სახელით მისალმებით გამოვსულიყავი შეხვედრაზე, ღვაწლმოსილ პედაგოგებს რომ გაუმართა მთავრობამ და საზოგადოებამ 1991 წელს.

მოგეხსენებათ, ჭეშმარიტების მიღწევის სხვადასხვა გზა არსებობს, სასკოლო მათემატიკაში ვარიანტების რაოდენობა შედარებით მცირეა, ალბათ, მაგრამ მაინც არის. ბატონი დავითი არათუ არ გვაძალებდა კლასიკური, პრინციპში საუკეთესო ხერხით მივსულიყავით ამონახსნამდე, არამედ, პირიქით, წაგვახალისებდა ხოლმე ჩვენებურად გვემოქმედა, პარალელური გადაწყვეტილებაც წარმოგვედგინა. არ ვიცი, ნებსით გამოსდიოდა თუ უნებლიედ, მა-

გრამ ამით თავისუფალი ასროვნებისა და არჩევანის საწყისებს უნერგავდა ახალგაზრდებს.

არ იყო მსახიობი კაცი, გარეგანი ეფექტების, არტისტიზმის ელემენტების გარეშე იღწვოდა. ძნელი სათქმელია – კარგია ეს თუ არა. ისე კი კარგად მახსოვს, უამრავი სტუმარი ესწრებოდა მის გაკვეთილებს, მაგრამ იგი იგივე სტილში მუშაობდა, როგორც მათ გარეშე. შეიძლება პირიქითაც ვიფიქროთ – არტისტიზმის უმაღლესი გამოვლინებაა – აბსოლუტური უბრალოება, ჩვეულებრივობა. ჩვენც შეგვაჩვია "სცენას", სტუმრები არავითარ გავლენას ახდენდნენ მოწაფეთა აქტივობაზე.

სკოლაში კაბინეტური სისტემა ფუნქციონირებდა. ფაქტობრივად მინიკათედრები იყო. ინსტიტუტში პრინციპული სიახლე არც მიგრძვნია – სკოლაში ექსპერიმენტებსაც ვატარებდით და დისკუსიებსაც ვმართავდით. რა დასამალია, სკოლის დირექტორის, პროფესიით ფიზიკოსის, ბატონ გრიგოლ კობახიძის უპირველესი ზრუნვისა და სიამაყის საგანი ფიზიკის კაბინეტები იყო, მაგრამ მათ არც მათემატიკის კაბინეტი, ბატონი დავითის მიერ შექმნილი, ჩამორჩებოდა. თვალწინ მიდგას უამრავი თვალსაჩინოება, უპირველესად სიერცობრივი წარმოდგენის განვითარებას რომ ემსახურებოდა.

ესთეტი იყო ბატონი დავითი. ეს განსაკუთრებულ ჩაცმულობაში კი არ გამოიხატებოდა, პირიქით, ზედმეტობას არც ამაში იჩენდა. მაგრამ – იგი შემქმნელი იყო ლამაზი გარემოსი თავის გარშემო – ლამაზი ოჯახი, სამეგობრო წრე, ლამაზად მოწყობილი სამუშაო ადგილი, შემკობილი გამოჩენილი მათემატიკოსების პორტრეტებით, მკაფიო

ნახატებითა და ნახაზებით. ლამაზი კალიგრაფიული ხელის პატრონი იყო, ერთ სიამოვნებად ღირდა მისი დაფაზე ჩანაწერებისა თუ კონსპექტებისა და სხვადასხვა ნაშრომის გადახედვა.

არ მახსოვს ბატონი დავითის კონფლიქტი ვინმესთან; კოლეგებთან, უფროსებთან და ოჯახის წევრებთან შეიძლება არც მცოდნოდა, მაგრამ მოწაფეებთან ნამდვილად რომ არ ჰქონდა, თვითონ ვარ ამის მომსწრე. თან რა არის ხაზგასასმელი, არასოდეს არ ულახავდა თავმოყვარეობას ახალგაზრდას, ლიბერალი მასწავლებელი სულაც არ იყო, ობიექტური შემფასებელი, არც უკლებდა და არც უმატებდა ვინმეს ნიშანს, მაგრამ შეურაცყოფა, ემოციური სიტყვიერი ძალადობა მისგან გამორიცხული იყო.

შეუძლებელია და ალბათ საჭიროც არ არის, შეგირდი ყველაფერში დაემსგავსოს გამზრდელს, ჩვენც, მისი მოწაფეები საკმაოდ განსხვავებულნი ვართ, მაგრამ მისი ხატი, ხატი ყოველმხრივ სამაგალითო პიროვნებისა, სამუდამოდაა აღბეჭდილი ჩვენს ცნობიერებაში, და იგი შექურასავით გვინათებს, რათა ცხოვრების ორომტრიალში სწორ გზას არ ავცდეთ.

ღმერთმა უმრავლოს ბატონი დავით გონდაურისნაირი მოძღვარნი ჩვენს ახალგაზრდობას ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ყარამან ფაღავა

თსსუ პედიატრიისა და მოზარდთა მედიცინის კათედრის გამგე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

* * *

დავით გონდაური – პედაგოგიკის დიდი მაესტრო...

მახსენდება ძველი გამონათქვამი – „მამა ის არის, ვინც ზრდის და არა ვინც ქმნისო“. ამ გამონათქვამიდან ბატონი დავითის მიმართ ასეთ პერიფრაზს გავაკეთებდი – „ის კიდევაც ქმნიდა, და კიდევაც ზრდიდა“ და შედეგიც შესანიშნავი მიიღო შვილებისა და შვილიშვილების ღირსეული თაობა დაუტოვა ქართულ საზოგადოებას. მათ არმიის სახით შეუერთდა ბატონი დავითის მოსწავლეები. „უმცროსი“ დავითი გონდაურის წიგნში არაერთ მათგანზე იქნება საუბარი, ზოგიერთი კი ჩემს მსგავსად გაიხსენებს დიდ დავით გონდაურს.

ბატონ დავითთან სამწუხაროდ მოკლე ხნით მქონდა ურთიერთობა მოწაფე-მასწავლებლობის პერიოდს ვგულისხმობ; რეა კლასი რომ დავამთავრე, დედამ მაშინდელი 24-ე სკოლიდან 42-ე სკოლაში გადამიყვანა (მაშინ მამაჩემი პოლიტპატიმარი იყო); თუმცა მეცადინეობა მათემატიკაში ბატონ დავითთან არ შემიწყვეტია, მქონდა მასთან ურთიერთობის გაგრძელების ბედნიერება...

დავითი გახლდათ პროფესიონალი, მართლაც რომ პედაგოგად დაბადებული. მისი გარეგნობა, დიქცია, ჩაცმულობა, ჟესტიკულაცია, ცოდნა, განათლება კლასიკური მასწავლებლის პორტრეტს აყალიბებდა. ვფიქრობ, მას სიცოცხლეშივე უნდა შეეგრძნო დიდი გალაკტიონის სიტყვები - „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“. ბატონი დავითის მთელ ცხოვრებას და მოღვაწეობას მაგალითად მივიჩნევ ნებისმიერ

ადამიანისათვის. მისი ზნეობა ისეთ სიმაღლეებს აღწევდა, რომ კანონსაც უტოლდებოდა და ზოგჯერ ცვლიდა კიდეც მას.

ძალიან მიხარია, რომ ერის ასეთი სასიქადულო ადამიანი დაიბადა და გაიზარდა ჩემ მშობლიურ ავლაბარში; ბატონ დავითს უდიდესი წვლილი მიუძღვის თბილისის ამ უძველეს უბანში აღზრდილი არაერთი ცნობილი ადამიანის ჩამოყალიბებაში.

ვიხსენებ რა ბატონი დავითის პიროვნებას, მივდივარ დასკვნამდე, რომ მის სიდიადეს ქმნიდა პრაქტიკულად უშეცდომო ქცევები, ქართული ადათ-წესების და ტრადიციების ერთგულება, ღრმად დაფიქრების დიდი უნარი და გადმოცემის უბადლო სტილი. ეს ყველაფერი მაღალი ხელოვნების რანგს უტოლდებოდა. ამიტომაც მივიჩნევდი მას ყოველთვის მაესტროდ...

ბელა მუხაშავრია.

რესპუბლიკის პროქტოლოგიის ცენტრის დირექტორი,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

* * *

„გვირგვინოსანი“

საქართველოს სახალხო მასწავლებელი დავით გონდაური მართლაც რომ „გვირგვინოსანი“ გახლდათ. „დაფნის გვირგვინი“ სიმბოლურად მას მისმა მოსწავლეებმა მიაკუთვნეს.

დავით გონდაურის, როგორც შესანიშნავი მასწავლებლისა და პიროვნების წარმოჩენას ხელი შეუწყო მისმა მოღვაწეობამ ისეთ ცნობილ სკოლაში, როგორიც იყო თბილისის 77-ს საშუალო სკოლა. ასევე 77-ე საშუალო სკოლას სახელი გაუთქვეს ისეთმა გამოჩენილმა პედაგოგებმა, როგორიც იყო დავით გონდაური.

დავით გონდაურის ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა წარმოთქმული გაკვეთილზე გამსჭვალული იყო მათემატიკის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით. მას შემუშავებული ჰქონდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხერხები და მეთოდები იმისა, თუ როგორ გაეღვივებინა მოსწავლეებში მათემატიკის სიყვარული, ჩაენერგა რაციონალური და სწრაფი აზროვნების, თანმიმდევრულობის, სიზუსტის, საკუთარი ნიჭიერებისა და მიხვედრილობის გამოვლენის უნარ-ჩვევები. ყოველივე ამას ისე ოსტატურად, მარტივად და საინტერესოდ აკეთებდა, რომ ხშირად, მის საქალაქო თუ რაიონულ ღია გაკვეთილებზე დამსწრე მასწავლებლებსაც კი უნებურად აუწევიათ ხელი საპასუხოდ.

საოცარი რუდუნებით გამოჰყავდა დაფაზე ყოველი მათემატიკური სიმბოლო, ასო და ნახაზი, დაფაზე ერთ კუნჭულსაც კი არ ტოვებდა გამოუყენებლად, ნაწერს

ბაკვეთილის დამთავრებამდე არ წაშლიდა – ძალიან ლამაზი სანახავი იყო. (დაფასთან ჯაგრისი ჰქონდა დამაგრებული, წერას რომ მორჩებოდა, სახელოებს გაიწმენდდა).

სანიმუშოდ იყო მოწყობილი მისი მათემატიკის კაბინეტიც – ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა – ძირითადად მოსწავლეთა მიერ დამზადებულ თვითნაკეთ ხელსაწყო – იარაღებს იყენებდა.

მოსწავლეები მოუთმენლად მოელოდნენ მის გაკვეთილზე შესვლას და არასოდეს არავის აზრადაც არ მოსვლია „შატალოზე“ წასვლა.

დავით გონდაური უაღრესად მოწესრიგებული და ჩამოყალიბებული პიროვნება გახლდათ, ყოველთვის აკურატულად ჩაცმული და სიმპატიური.

არასოდეს უცდია თავის გამოჩენა, ჩუმად და თავდადებით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. მრავალჯერ შესთავაზეს დაწინაურება – სასწავლო ნაწილის გამგის, მეთოდკაბინეტის გამგის, სკოლის დირექტორის, ინსპექტორის თანამდებობი, მაგრამ ამაოდ. მისი მოწოდება მასწავლებლობა იყო და მას ვერ წარმოედგინა საკუთარი თავი მასწავლებლობის გარეშე. ალბათ, შეცდომა იქნებოდა მისი ამ საქმიანობისაგან ჩამოშორება – იგი მასწავლებლად იყო დაბადებული.

სიმონ ხოშტარია

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი

* * *

„მოეკლავ დედას, მოეკლავ მამას, თუ პარტია მეტყვის ამას“ - დაახლოებით ასეთი ფონი იყო მთელს საბჭოეთში. სამაგალითო მოსწავლედ პავლიკ მოროზოვი ითვლებოდა. რომელმაც საკუთარი მამა დაასმინა და დაახვრეტინა.

პავლიკ მოროზოვი №1 პიონერი გახდა. საუკეთესო მაგალითი წინ გვედო. ამ რთულ დროს ჩვენი აღმზრდელები იყვნენ სკოლა და ოჯახი. სკოლაში – სკოლის დირექტორი მკაცრი, მაგრამ დიდი ორგანიზატორი ბატონი გრიგოლ კობახიძე.

ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელმა, დახვეწილმა ინტელიგენტმა, ბატონმა ალექსანდრე ჯობაძემ და დიდმა პროფესიონალმა, რომელიც თავის შექმნილ სამყაროში ცხოვრობდა, უსპეტაკესმა ბატონი დავით გონდაურმა, ისეთი სითბო ჩამიდეს გულში, რომ დღემდე გამოგვყვა ის ნათელი. ზოგმა ვერაფერი ისწავლა მათგან, ზოგმა დროის მიხედვით ითვალთმაქცა და ასე მოვედით დღემდე. სინანულით მაგონდებიან ყოველმხრივ მოწესრიგებული, რაფინირებული, დახვეწილი ინტელიგენტები – ჩვენი აღმზრდელები. მე და ბატონი დავითი, მართალია, სხვადასხვა ქუჩაზე ვცხოვრობდით, მაგრამ ახლოახლო. ამიტომ ყოფით გარემოში ხშირად მიხდებოდა მასთან შეხვედრა. მისი მოწესრიგებული ოჯახი, მეუღლე შესაფერისი ერთი მეორეს ავსებდა, მოკლედ ქუჩაში შესამჩნევი წყვილი იყო.

შვილი – გიევი გონდაური, ტიპიური ქართველი, შუბლგახსნილი, ნათელი სახით, სკოლის ფორმაზე გახამებული წითელი ყელსახვევით დღესაც თვალწინ მიდგას.

ჩემი კარის მეზობლის ზაალ მიქაცაძის ქალიშვილმა მაია მიქაცაძემ თავის საყვარელ პედაგოგს ბატონ დავითს „დიდების გვირგვინი“ არგუნა, ეს უთუოდ გულწრფელი ამოძახილი იყო მადლიერი შეგირდისა.

ბივი გელაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო

აკადემიის პროორექტორი

* * *

ყოველთვის ვამაყობდი და მომავალშიც ვიამაყებ იმით, რომ მე ისეთი ცნობილი პედაგოგების აღზრდილი ვარ, როგორებიც იყვნენ: გრიგოლ კობახიძე, დავით გონდაური და გოგი ღლონტი. მათი გაკვეთილები ხელოვნების დონეზე იყო აყვანილი. როგორ შეიძლება არ გავიხსენო ბატონი დავით გონდაურის მათემატიკის გაკვეთილი. იგი ისეთი დიდი სიყვარულით გვასწავლიდა ამ მეტად რთულ საგანს, ისეთი სითბოთი გამოთქვამდა მათემატიკურ ტერმინოლოგიას, რომ ეს ჩვენზე მომნუსხველად მოქმედებდა. სულგანაბულები ვუსმენდით მის ყოველ სიტყვას. ბატონი დავითის მიერ ერთი ხელისმოსმით შემოხაზული გეომეტრიული ფიგურები თუ გრაფიკები კარგი მხატვარ–გრაფიკოსის მიერ შესრულებულ ნამუშევარს ჰგავდა. ეს დიდ ესთეტიურ სიამოვნებას გვანიჭებდა. მისი უშუალო, მეგობრული დამოკიდებულება ყოველი მოსწავლის მიმართ, კიდევ უფრო აღრმავებდა ჩვენს მისდამი პატივისცემას და სიყვარულს. ახლაც ნათლად მახსოვს,

როგორი სიფრთხილით არჩევდა სხვადასხვა გონებრივი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთათვის შესაფერის ამოცანებს, რათა მის სირთულეს არ შეეშინებინეთ და ინტერესი არ დაგვკარგოდა. შედეგი ის იყო, რომ ყველა კმაყოფილი ვრჩებოდით და უფრო დიდი მონდომებით ვსწავლობდით მის საგანს.

სკოლის დამთავრების შემდეგ მრავალი წელი გავიდა და ერთ მშვენიერ დღეს, კვლავ გადაიკვეთა ჩვენი გზები, მაგრამ ამჯერად მე უკვე ვირსალაძის სახელობის გიმნაზიის ფერწერის განყოფილების თანამშრომელი, მისი პატარა შვილიშვილის, გიორგი გონდაურის ხატვის პედაგოგის როლში აღმოვჩნდი. ამჟამად გიორგი სამხატვრო აკადემიის სტუდენტია. ბატონი დავითი არასდროს აცდენდა უქმად დროს და სანამ გიორგი ხატვას ეუფლებოდა, იგი ჩემთვის განკუთვნილ მაგიდასთან საათობით იჯდა და „მოსაზრებულობაზე მათემატიკურ სავარჯიშოთა კრებულზე" მუშაობდა.

ნამდვილად ღირს გასახსენებლად ჩემს ცხოვრებაში ერთ–ერთი ყველაზე სასიამოვნო დღე, როცა მე და ბატონი დავითი კვლავ შევხვდით ერთმანეთს, დღე, როცა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბატონ დავითს „საქართველოს სახალხო მასწავლებლის" წოდება მიანიჭა, მე კი „ხალხთა მეგობრობის ორდენით" დამაჯილდოვა. ტრიბუნაზე ასულმა ბატონმა დავითმა ასეთი სიტყვები წარმოთქვა: „მე მზად მაქვს წასაკითხად ტექსტი, რომლითაც მადლობა უნდა გადამეხადა ჩემი დაფასებისათვის, მაგრამ აღარ წავიკითხავ და მხოლოდ იმას ავღნიშნავ, რომ დარბაზში იმყოფება ჩემი აღზრდილი,

მხატვარი უშანგი ლონდარიძე და მე ამაყი ვარ იმით, რომ მას „ხალხთა მეგობრობის ორდენით" უნდა გადაეცეს".

კიდევ ბევრი თბილი შეხვედრა მახსოვს დავით გონდაურთან. მაგრამ, განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში ჩვენი ერთ–ერთი ბოლო შეხვედრა, გამოშვების 47-ე წლისთავთან დაკავშირებულ წვეულებაზე, სადაც ბატონი დავითის ღირსეული აღზრდილები შეიკრიბნენ. დავით გონდაურმა ჩვეული სითბოთი და სიყვარულით დაგვლოცა და ლამაზი ცხოვრებისათვის ყველას ხუთიანები დაგვიწერა.

ბატონო დავით! ახლა მე მინდა დავლოცო თქვენი შთამომავლობა. ღმერთი იყოს მფარველი თქვენი შვილებისა და შვილიშვილებისა!

უშანგი ლონდარიძე

გრ. ხანძთელის სახელობის

პირველი ექსპერიმენტული საშუალო

სკოლის სახვითი ხელოვნების პედაგოგი

* * *

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს დავით გონდაური, მისი პროფესია რომც არ სცოდნოდა, გაიფიქრებდა, – აი, ნამდვილი მასწავლებელი.

მის გარეგნობაში, ღიმილში, ქცევაში იყო რაღაც განსაკუთრებული, რაღაც ხაზგასმით მისაბაძი.

ასეთი გარეგნობა მხოლოდ ჭეშმარიტ მოძღვარს, აღმზრდელს შეიძლება ჰქონდეს.

ვაჟა-ფშაველა ბრძანებდა: „ვინც ბალღებს კეთილგონიერად ზრდის, იგია აღმზრდელი და გამაბედნიერებელი ერისა, ვინაიდან სიყრმის დროს დათესილი კეთილი ნერგი დიდობაში უხვად გამოიღებს ნაყოფსო“.

დიახ, დათო მასწავლებელი სწორედ ერის ასეთი გამაბედნიერებელი იყო.

რა მშვენიერი იქნებოდა სამყარო, ბატონი დავითისნაირი აღმზრდელები უხვად რომ ჰყავდეს.

თუმცა, სამწუხაროდ, რაც მისაბაძი და საუკეთესოა, ის იშვიათიცაა.

მე კი, მადლი უფალს, წილად მხვდა პატივი, დავით გონდაურის მოწაფე ვყოფილიყავი.

მაყვალა გონაშვილი

საქართველოს მწერალთა ეროვნული

კავშირის თავმჯდომარე

* * *

დავით გონდაური, ბატონი დავითი, დათო „მასწ“ – ასე ვეძახდით ჩვენს მათემატიკის მასწავლებელს 1967 წლის 10[1] კლასის მოსწავლეები. ეს კოპწია, ყოველთვის თეთრ პერანგსა და ჰალსტუხში გამოწყობილი ადამიანი, რომელიც არა მარტო ურთულეს მათემატიკურ საგნებს გვასწავლიდა,არამედ ანალიზის, ლოგიკური აზროვნების,სწორად მეტყველების უნარსაც გვინერგავდა. მისი აუღელვებელი საუბრის უკან იმალებოდა დიდი ადამიანური სითბო, სისუფთავე და უდიდესი თავდადება თავისი პრო-

ფესიისადმი. არავის სმენია მისი ხმამაღალი საუბარი, ყვირილი, უხეშობა.

ჩვენს სკოლაში, რომელსაც ოფიციალურად თბილისის 77-ე საშუალო სკოლა ერქვა, ხოლო ქალაქში „კობახიძის სკოლის“ (ეს სახელწოდება სკოლის შესანიშნავი დირექტორის ბატონ გრიგოლ კობახიძის სახელს უკავშირდება) სახელით იყო ცნობილი, სწავლობდა სხვადასხვა სოციალური ფენის და ეროვნების ბავშვი, მაგ. ჩემს კლასში იყო 6 ეროვნების მოსწავლე, ზოგის მშობელი ტრამვაის ვატმანი იყო, ზოგის მეხინკლე, ზოგის ექიმი, მათ შორის იყვნენ ავლაბარში ცნობილი „ხულიგნებიც“, მაგრამ ამ ნიშნით მოსწავლეებს არავინ არჩევდა, მთავარი იყო ცოდნა და დისციპლინა. ჩვენი სკოლა წარმოადგენდა პედაგოგიკის ინსტიტუტის ბაზას ფიზიკა-მათემატიკური პროფილით. აქ ტარდებოდა ექსპერიმენტი სწავლებაში უმაღლესი მათემატიკის ელემენტების შეტანით. ეს საკმაოდ რთული დასაძლევი იყო. ბატონი დავითი ისე ხსნიდა ამ ურთულეს საკითხებს, ისე „გვიღეჭავდა“, ისეთი მაგალითები მოჰყავდა, რომელიც გასაგები იყო როგორც ძლიერი, ისე სუსტი მოსწავლისათვის. ჩემს შვილებს უკვირთ, როცა ვუყვები, რომ ურთულესი ამოცანის თუ მაგალითის გამოყვანა ორმაგად მიხაროდა – ერთი მხრივ იმიტომ, რომ ეს მოვახერხე, ხოლო მეორეს მხრივ, რომ დათო მასწავლებლის ქებას ვიმსახურებდი.

მახსენდება, მე-10 კლასში 1 სექტემბერს მათემატიკის გაკვეთილზე ბატონმა დავითმა მოგვმართა კითხვით: აბა, რა გადაწყვიტეთ, სად აპირებთ სწავლის გაგრძელებასო? როცა ჩემი ჯერი დადგა მითხრა – ვიცი, ექიმობას აპირებ,

მაგრამ ფიზიკა-მათემატიკურზე რომ ჩაგებარებინა უფრო გამეხარდებოდა. იგი სიტყვაძუნწი კაცი იყო და ეს სიტყა მივიღე როგორც საჩუქარი.

კიდევ ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო: გამოსაშვები გამოცდა მათემატიკაში. რასაკვირველია, ყველა ღელავს. სკოლის დირექტორი ხსნის საგამოცდო კონვერტს და დათო მასწავლებელს დაფაზე გადააქვს. მასალას გადავავლე თვალი ადვილი მომეჩვენა და 1,5 საათში დავამთავრე წერა. ჩემი, როგორც ოქროს მედლის კანდიდატის ნაშრომი მიდიოდა რაიონში და ქალაქის განათლების განყოფილებაში. ორი დღის შემდეგ სკოლის შესასვლელში მომეგება დათო მასწავლებელი და მახარა, რომ ჩემმა ნაშრომმა არა მარტო უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, არამედ თბილისში ხუთ საუკეთესოთა შორის მოხვდა. მაშინ დავინახე პირველად ბატონი დავითის (სათვალის უკან) თვალებში არა მარტო დიდი სითბო და სიყვარული, არამედ სიამაყე. ეს იყო თავის მასწავლებლის პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებული ვალმოხდილი კაცის სიამაყე. ღმერთმა უმრავლოს ჩემს ქვეყანას ბატონ დავით გონდაურის მსგავსი ერისკაცები, რომლებიც ჩუმად, ზედმეტი ხმაურის გარეშე მაღალი პროფესიონალიზმითა და თავდადებით აკეთებდნენ ისეთ მნიშვნელოვან საქმეს, რასაც მომავალი თაობის აღზრდა ჰქვია.

მარინე კვეზერელი–კოპაძე

ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოცენტი

* * *

პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული ხელოვანი

ქალაქ თბილისის 77-ე სკოლასთან, მის პედაგოგიურ კოლექტივთან და ბატონ დავით გონდაურთან ბევრი რამ მაკავშირებს. ამ სკოლაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწოდა ჩემი ბებია, მარიამ ქადაგიშვილი. აქ ჩემთან ერთად სწავლობდნენ ჩემი ოჯახის წევრები და, რაც მთავარია, ბატონ დავითის კოლეგა გახლდათ მამაჩემი, ელადიმერ (ლადო) ბაძაღუა. ამიტომ გასაგებია სკოლისადმი, მისი ლეგენდარული დირექტორის გრიგოლ კობახიძისადმი და, რასაკვირველია, ბატონ დავითისადმი ჩემი ესოდენ თბილი, განსაკუთრებული დამოკიდებულება.

გასახსენებელი და მოსაგონარი ბევრი მაქვს. მშობლების გარდაცვალების შემდეგ რაც მეტი დრო გადის, მით უფრო მიზიდავს წარსულის ძიება, ხშირად ვავლებ თვალს საოჯახო ბიბლიოთეკას თუ ფოტოალბომს, სადაც ბევრი საინტერესო მასალაა, განსაკუთრებით 77-ე სკოლასთან და პედაგოგიკის საკითხებთან დაკავში-რებული.

სწორედ მათთან ურთიერთობის გავლენამ გარკვეულად განაპირობა უკანასკნელ პერიოდში ჩემი პედაგოგიკის საკითხებით დაინტერესება. შევიტყვე რა, ბატონ დავით გონდაურთან დაკავშირებული კრებულის გამოცემის თაობაზე, ბევრი ვიფიქრე, თუ რა შეიძლებოდა გადამეტანა ნაფიქრალიდან ქაღალდზე. მოსაგონარი ბევრი მაქვს, მახსენდება სკოლამდელი პერიოდი და მამის მეგობარი ბატონი დავითი, შემდეგ შვიდი წლის ყოველდღიური ურთიერთობა მათემატიკის გაძლიერებული პროგრამის

დასაძლევად. ის იყო ბრწყინვალე პიროვნება და ჭეშმარიტი პედაგოგი. როგორც გასული საუკუნის 60-იანი წლების „სახალხო განათლების“ ერთ-ერთი პუბლიკაცია იუწყება: „გაკვეთილზე შედის მასწავლებელი! წარმოვიდგინოთ, მაგალითად, დედაქალაქის 77-ე საშუალო სკოლის პედაგოგი დავით გონდაური, მოსწავლეებს ხიბლავს მისი ნათელი მათემატიკური აზროვნება, ჭეშმარიტი არტისტიზმი, გაკვეთილის მიზნის შესაბამისად აგება, მომთხოვნელობა, პუნქტუალურობა, სიყვარული საგნისადმი, მოსწავლისადმი, მისი მოწაფეები თავიდანვე გრძნობდნენ, თუ როგორ იზრდება მათში ცოდნის მარაგი გაკვეთილიდან-გაკვეთილამდე, თუ დღეს რა ახლობელი, გასაგები და იოლი ხდება გუშინ დაუძლეველი ფორმულები და ცნებები და კიდევ ის არის აღსანიშნავი, რომ პედაგოგი მათემატიკურ მასალას თითქოს ცხოველ სულს უდგამს, ხელშესახებს ხდის, აკავშირებს ცხოვრების ცოცხალ მოვლენებთან, არ იზღუდება ცარცითა და დაფით. . .“

დღეს, სამი ათეული წლის გადასახედიდან, კიდევ უფრო ვრწმუნდები ამ სიტყვების ობიექტურობაში. ჩემი მხრიდან მხოლოდ ერთი შემიძლია დავამატო: დავით გონდაური მისი აღზრდილი თაობების მეხსიერებაში აღბეჭდილია როგორც პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული კეთილშობილი ხელოვანი.

მალხაზ ბაძაღუა

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

* * *

რამდენიმე ათეული წლების გადასახედიდან ძნელია გონებაში ზუსტად აღიდგინო სკოლაში სწავლის პერიოდი, თუმცა ჩემს ცხოვრებაში დღესაც არსებობს რამდენიმე გამორჩეული პიროვნება და ეპიზოდი, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია.

მათემატიკის სწავლა ყოველთვის მიჭირდა... არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ ხშირ შემთხვევაში ჩემთვის უსაყვარლესი მათემატიკის პედაგოგი ვლადიმერ ბაძაღუა „ოთხიანს" მიწერდა მხოლოდ იმიტომ, რომ ეცდილობდი თეორია კარგად მესწავლა და დავალებაც შესაძლებლობის ფარგლებში შემესრულებინა.

მეცხრე კლასიდან პედაგოგი შეიცვალა. პირველ სექტემბერს მოუთმენლად ველოდი... ცოტა ხანში ზარიც დაირეკა და დაიწყო ჩვეული სასწავლო პროცესი. მალე კლასში შემოვიდა საშუალოზე მაღალი, თხელი აღნაგობის სათვალიანი მამაკაცი და გაგვეცნო: „გამარჯობათ ბავშვებო! მე დავით გონდაური ვარ, თქვენი მასწავლებელი ალგებრა–გეომეტრიაში", შემდეგ უსიტყვოდ შეტრიალდა დაფისკენ და დაიწყო გაკვეთილის ახსნა. ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა და შემდგომშიც დიდი სითბოთი ვიხსენებდი ყველაფერს, რაც დავით გონდაურთან იყო დაკავშირებული.

ბატონი დავითი ჭეშმარიტი ინტელიგენტის განსახიერება იყო. გარეგნულად ყოველთვის მოწესრიგებული და გაწონასწორებული, არასოდეს საუბრობდა ხმამაღლა, უყვარდა მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები და მათ მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას

ამჟღავნებდა. „პროფესიონალი" – ეს სიტყვა აბსოლუტურად შეესაბამებოდა დათო მასწავლებლის მოღვაწეობას.

არაერთგზის თაობის აღმზრდელს, სევდიანი ფიქრებით და თვალზე ცრემლით მივაცილებდი იმქვეყნიური სასუფევლის გზაზე და მასთან ერთად ვეთხოვებოდი ჩემი ბავშვობის მოგონებებს.

ციცო სულაძე

ფილოლოგი

* * *

„მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი"

ადამინი ცხოვრების ძირითად ნაწილს სწავლასა და შემეცნებაში ატარებს. ახალგაზრდის ფორმირებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახს, სკოლას და გარემოს. განვითარების ამ გზაზე ბევრ საინტერესო პიროვნებას შეხვდები, ბევრი კარგი პედაგოგის ხელში გამოიეელი და დაფრთიანდები. მაგრამ არსებობენ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი, სწორედ ასეთი იყო შესანიშნავი პიროვნება, მათემატიკოსი, საქართველოს სახალხო მასწავლებელი – დავით გონდაური.

მასწავლებლობა ხელოვნებაა, ერთი გქონდეს ცოდნა და მეორე – ფლობდე მისი გადმოცემის უნარს. მათი შერწყმით და პროფესიის დიდი სიყვარულით იყო გამსჭვალული ბატონი დავითის გაკვეთილები. ახსნის მანერა, დიქცია, დაფაზე ხელის ერთი მოსმით ზუსტად მოხაზული გეომეტრიული ფიგურები, ურთულესი-კვეთები,

ბეჭდური სილამაზით გამორჩეული ასოები და ციფრები – აი, ის, რითაც ატყვევებდა მსმენელს.

ბატონ დავითთან ურთიერთობაში მათემატიკის გარდა ბევრ ადამინურ ღირსებებს სწავლობდი: პატიოსნებას, კაცთმოყვარეობას, პუნქტუალობას, წერის და ხაზვის კულტურას. ალბათ, მისდამი დიდმა სიყვარულმა და მოკრძალებამ გადამაწყვეტინა შევჭიდებოდი ამ ურთულეს მეცნიერებას და ამეთვისებინა ყველა ის თვისება თუ მანერა, რითაც გამორჩეული იყო დათო მასწავლებელი.

ძალიან უხაროდა, რომ ზრდიდა თავისი საქმის გამგრძელებლებს, უყურადღებოდ არ დაუტოვებია ჩვენი ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი. გვასაჩუქრებდა მათემატიკის საუკეთესო წიგნებით და, რა დასანანია, რომ დღეს უკვე ჩვენს გვერდით აღარაა ასეთი გამორჩეული ადამიანი, მაგრამ როგორც დიდმა კონსტანტინემ თქვა:

„ხელოვნებაა თავად უკვდავება, მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი“ – მართლაც ასე.

ბატონმა დავითმა მთელი სიცოცხლე შესწირა იმ საძირკვლის შექმნას, რომელზეც თანდათან ააგო თავისი სვეტიცხოველი, ამ ტაძარში მოგვნათლა მათემატიკაზე შეყვარებული ახალგაზრდები, მომავალი დაგვილოცა და თავის დაწყებული საქმე გადმოგვაბარა.

ყოველთვის გვემახსოვრება ვისი აღზრდილნიც ვართ და არასოდეს ჩავაქრობთ სანთელს დათო მასწავლებლის სადიდებლად.

ხატია ჯაშიაშვილი

მათემატიკოსი

* * *

თავს დღემდე ბედნიერად ვთვლი, რომ მქონდა პირადი ურთიერთობა ისეთ შესანიშნავ მათემატიკოსთან და ბრწყინვალე პედაგოგთან, როგორიც ბატონი დავით გონდაური გახლავთ და დავსწრებულიყავი მის მიერ ჩატარებულ მათემატიკის გაკვეთილებს ჯერ როგორც მათემატიკის მასწავლებელი, ხოლო შემდეგ, წლების მანძილზე – ცაგერის რაიონის ერთ–ერთი საშუალო სკოლის დირექტორი.

განსაკუთრებით მაოცებდა გაკვეთილის მისეული ახსნა და მოსწავლეებისათვის ცოდნის გადაცემის უნარი პრაქტიკული ხერხებისა და თვალსაჩინოების გამოყენებით. მის ამ და სწავლების სხვა მეთოდებს დიდი ენთუზიაზმით აუბეს მხარი საქართველოს ყველა კუთხეში და ისინი ფართოდ იქნენ დანერგილი პრაქტიკაში.

მასალის მაღალპროფესიულად გადმოცემის უნარი, სხარტი და ლაკონური აზროვნება, პრინციპულობა და მომთხოვნელობა, თითოეული მოსწავლის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა, თავისი საქმის დიდი სიყვარული, დაუღალავი შრომა და ენთუზიაზმი. აი, ის არასრული სია ბატონ დავითის თვისებათა ჩამონათვალისა, რამაც მას ქართულ მათემატიკურ და პედაგოგიურ აზროვნებაში ღირსეული მეცნიერისა და შესანიშნავი პედაგოგის ადგილი დაუმკვიდრა. ის, მართლაც, სახალხო მასწავლებელი იყო. სამწუხაროა, რომ თანამედროვე ქართულ სკოლებში ბატონ დავით გონდაურის მსგავსი პედაგოგების დიდი დეფიციტია.

დიდი ვალია ბატონი დავითის სახელის უკვდავება, მათთვის, ვინც დ.გონდაურს ოდნავ მაინც იცნობდა.

შამშე ლარცულიანი

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი,

მათემატიკოსი, ცაგერის რაიონი

* * *

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს...

არიან ადამიანები, რომლებიც თავის საქმიანობას უხმაუროდ, რუდუნებით, ყოველგვარი მოჩვენებითობისა და პომპეზურობის გარეშე წარმართავენ და აღწევენ მთავარს – ხდებიან საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებულნი. ამავე დროს ცნობილია, რომ საზოგადოება დაუმსახურებლად არავის წარმოაჩენს.

ჩვენი მოდგმის ბევრი წინაპარი დაეძებდა საყრდენ წერტილს, რომ უდიდესი ძვრები მოეხდინა, რადგან ყველა დიდსა თუ პატარა საქმეს საყრდენი სჭირდება. პედაგოგის უკეთილშობილესი პროფესია განსაკუთრებული საყრდენია, რომელზეც აგებულია ურთულესი საქმე – სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვა. აქედან გამომდინარე, წარმოჩინდება ე.წ. ელიტარული თუ პრესტიჟული სასწავლებლები.

ქვეყნის ინტელიგენციის გამორჩეულ წარმომადგენელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ბატონი დავით გონდაური, რომელიც თბილისის 77-ე საშუალო სკოლის, ამჟამად გრიგოლ კობახიძის სახელობის V გიმნაზიის საყრდენს წარმოადგენდა, მაგრამ საყრდენიც არის და საყრდენიც. გამორჩეულ სასწავლებელთა რიცხვიც ცოტაა.

ბევრ ჭირ–ვარამს გაუძლო ბატონმა დავითმა, მაგრამ მისი მოღვაწეობა მუდამ პროგრესირებდა, დაუფასდა კიდეც – ყველა შესაძლო ტიტულს ფლობდა. მათ შორის მთავარს – განსაკუთრებულად უყვარდათ და პატივს სცემდნენ, მისი წარმატების იარაღი, როგორც თავად ამბობდა, თავდაუზოგავი შრომა იყო მუდამ. დღეს, როდესაც ქვეყანა დგას ძირეული გარდაქმნების გზაზე, ბატონი დავითის ეს შრომა იქნებოდა მისი ერთადერთი სამსახურის (მას შრომის წიგნაკში მხოლოდ ერთი ჩანაწერი გააჩნდა –

თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი) წინსვლისა და წარმოჩენის საშუალება.

ბატონი მიხეილ ქელიეიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, დავით გონდაური იყო „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს", ქვეყანას, საზოგადოებას, მათემატიკის სამყაროს, გრიგოლ კობახიძის სახელობის V გიმნაზიის პედაგოგებს, თაობებს...

ბატონი დავითი იმ დიდებულ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც უძეგლოდ მიდიან ამ ქვეყნიდან.

სანდრო ჯავახიშვილი
თბილისის გრიგოლ კობახიძის სახელობის
V გიმნაზიის დირექტორი

* * *

შემოკლებითი მოგონებები ბატონ დავით გონდაურზე

1944 წლის 20 აგვისტოს დავიწყე მუშაობა თბილისის 24-ე ვაჟთა საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. ამავდროულად ვსწავლობდი ი.ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ამ ხნის განმავლობაში, ბევრი სახელოვანი პედაგოგი გავიცანი და ბევრი სიკეთე და გამოცდილება მივიღე მათგან. განსაკუთრებულ დახმარებასა და გულისხმიერებას მიწევდა მათემატიკის ახალგაზრდა მასწავლებელი, ბატონი დავით გონდაური. ამ ადამიანის შრომამ და პუნქტუალობამ ძალზე მიმიზიდა და, აქედან გამომდინარე, ყოველთვის მის გვერდში ვიყავი. ისიც არ იშურებდა ენერგიას ჩემს მიმართ.

პირადად ბატონი დავითი მაძლევდა ლიტერატურას – საიდანაც უნდა მომემზადებინა მათემატიკის წრეში დასამუშავებელი მოხსენებები. ხშირად მოდიოდნენ ჩვენს სკოლაში გამოცდილების გაზიარების მიზნით რესპუბლიკის მათემატიკის მასწავლებლები და ყველა მათგანი კმაყოფილი რჩებოდა. დავითი მათ ყოველთვის დიდი ყურადღებით და ცოდნით დატვირთული უშვებდა.

ერთხელ ბატონ დავითთან მოვიდა ერთ-ერთი მისი კოლეგა, რომელსაც თავის სკოლაში ღია გაკვეთილი უნდა ჩაეტარებინა და სთხოვა დახმარება. დავითმა გამოალაგა მისი მდიდარი ბიბლიოთეკიდან უამრავი ლიტერატურა და ფაქტიურად დააწერინა მთელი გაკვეთილის მსვლელობა.

ბატონი დავითი ხშირად მესწრებოდა გაკვეთილებზე. ყველას ძალიან ხიბლავდა მისი მათემატიკური აზროვნება, ჭეშმარიტი არტისტიზმი, მომთხოვნელობა, პუნქტუალობა, სიყვარული საგნისადმი.

მისი მოსწავლეები თავიდანვე გრძნობდნენ, თუ როგორ იზრდებოდა მათში ცოდნის მარაგი გაკვეთილიდან გაკვეთილამდე.

მე და ბატონი დავითის წარსული ცხოვრებიდან ბევრი რამის გახსენება შემიძლია. გვიყვარდა ოჯახური ურთიერთობები, ხშირად ვსტუმრობდით ერთმანეთს, განსაკუთრებით ხშირად ვიყავით ერთად დღესასწაულების დღეებში. გვიყვარდა საახალწლოდ მოზრდილი ღორების ყიდვა და ჩემს პატარა ეზოში დაკვლა. შემდეგ ვილხენდით და ზამთრის მარაგსაც გულმოდგინედ მივუჩინევდით ადგილს.

ამჟამად 60 სასწავლო წელი შემისრულდა, ასაკით კი 82 წლის ვარ და ამით იმის თქმა მინდა, რომ ბატონი დავითის მეგობრობა, ჰუმანურობა, დიდი ადამიანობა მუდამ სახსოვრად დამყვება. უაღრესად ვწუხვართ, რომ ის დღეს ჩვენს რიგებში აღარ არის.

აკაკი სვანიძე

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი,

ლენინის ორდენის კავალერი

* * *

დავით გონდაურის ხსოვნას

დ. გონდაური იყო ჩემი საყვარელი მასწავლებელი და უფროსი მეგობარი. მასწავლიდა მათემატიკას ვაჟთა 24-ე საშუალო სკოლაში. იყო კლასის დამრიგებელი. ბუნებით საოცრად ლამაზი პიროვნება და უმაღლესი დონის პროფესიონალი იყო.

გეომეტრიის გაკვეთილებზე მის მიერ დახაზული ნახაზის წაშლა გვენანებოდა. ისეთი ლამაზი მომრგვალებული ასოებით წერდა, რომ თითქმის ყველა მოსწავლე მას ბაძავდა.

სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს სტერეომეტრიის ამოცანების მოდელების დამზადებას ავალებდა. სკოლაში ეხლაც არის შემორჩენილი ბავშვების მიერ დამზადებული სხვადასხვა ამოცანების მოდელები, რომელსაც გაკვეთილის ახსნისას დღემდე იყენებენ ახალგაზრდა მასწავლებლები.

1959 წელს, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დავბრუნდი ჩემს საყვარელ სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად.

მე და დავითს ერთად გვიხდებოდა მუშაობა რაიონულ და საქალაქო ღონისძიებებში. დავითი ხელმძღვანელობდა რაიონის მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებას, მე – კი ფიზიკის მეთოდგაერთიანებას. ვატარებდით ოლიმპიადებს და ღია გაკვეთილებს რესპუბლიკის მასშტაბით.

ძალიან ბევრს მუშაობდა დამწყებ მასწავლებლებთან, მას ხშირად აკითხავდნენ სხვადასხვა სკოლის პედაგობები.

ერთხელ სტუმრად ვიყავით მიწვეულები ჩვენს მეგობარ მასწავლებელთან. გაკვეთილების შემდეგ გამოვედით სკოლიდან და ის-ის იყო უნდა წავსულიყავით, რომ ამ დროს სკოლასთან დავითს ერთ-ერთი სკოლის მათემატიკის მასწავლებელი შეხვდა, რომელიც მასთან მოდიოდა. დავითმა გვითხრა „თქვენ წადით და მე 15 წუთში შემოგიერთდებით, უსერხულია, იქნებ საიდან ჩამოვიდა, შეიძლება რაიმე აუცილებელი საქმე აქვს". დავითი 15 წუთის მაგივრად 2 საათში მოვიდა და შესაბამისად მწვადებიც აღარ შეხვდა. თუმცა არც ძალიან უნანია. იმ დღეს მთვარი გასაკეთებელი ხომ მაინც გააკეთა. დაუზარელი და უღალატო იყო ბატონი დავითი.

დავითი იყო ჩემი შვილების მასწავლებელიც. ქალიშვილმა ხატია ჯაშიაშვილმა დაამთავრა თსუ მათემატიკის ფაკულტეტი და ასპირანტურა. მუშაობს ახალციხის უნივერსიტეტში. ვაჟიშვილმა დავით ჯაშიაშვილმა დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი და ასპირანტურა. მუშაობს გრ. კობახიძის სახელობის V

გიმნაზიაში ფიზიკის მასწავლებლად. ამავე სკოლაში მუშაობს ჩემი მეუღლეც გენრიეტა (დოდო) შენგელია მათემატიკის მასწავლებლად.

დიდი დავით გონდაურის სახელი მარადჟამს იდიადებს ჩვენს ოჯახში. მადლობა მას ყველაფრისათვის.

ლავრენტი ჯაშიაშვილი

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი,

უმაღლესი კატეგორიის ფიზიკის მასწავლებელი

ილუსტრაციები

დ.გონდაურის მშობლები:
ზაქარია გონდაური და მარიამ დუჩიძე

ქ.თბილისის 24-ე ვაჟთა
გიმნაზიის მოსწავლე
1934 წ.

თსუ ფიზიკა-მათემატიკის
ფაკულტეტის სტუდენტი
1938 წ.

დ.გონდაური მეუღლესთან
თამარ ძაგანიასთან ერთად
1946 წ.



დ.გონდაური და თ.ძაგანია შვილებთან
გივისთან და ეთერისთან ერთად
1953



განუყრელი მეგობრები და კოლეგები დ.გონდაური და გრ.კობახიძე
1987 წ.



დ.გონდაური ემზადება მორიგი გაკვეთილისათვის
1990 წ.



კოლეგები და მეგობრები მორიგი სასკოლო სემინარის
მზადების პერიოდში. მარცხნიდან-მარჯვნივ: დ.გონდაური,
თ.ყიფიანი, გ.ღლონტი, ვლ.ბაძაღუა და ს.აკოფოვი

გამოცდილების გაზიარება
დ.გონდაურს გულდასმით უსმენენ საქართველოს
სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული პედაგოგები

77-ე საშუალო სკოლას ხშირად სტუმრობდნენ სახელოვანი პიროვნებები. დ.გონდაურს და გრ.კობახიძეს ამჟამად სტუმრობს დიდი კონსტანტინე გამსახურდია
1963 წ.



დ.გონდაური და გრ.კობახიძე 77-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ სახელოვან მეცნიერებთან: აკადემიკოს ვლ.ბახუტაშვილთან და პროფესორ ზ.ჭარხალაშვილთან ერთად
1988წ.

77-ე სკოლის მიღწევებს და დ.გონდაურის გამოცდილებას გულდასმით ეცნობიან ამავე სკოლის აღზრდილები: აკადემიკოსი ვლ.ბახუტაშვილი, პროფესორი გ.რამიშვილი და აკადემიკოსი ნ.ტატიშვილი
1976 წ.



ამ დღეს, 1985 წელს დ.გონდაურს მიენიჭა წლის საუკეთესო მასწავლებლის საპატიო წოდება. დავითს ამ დღეს სხვებთან ერთად ულოცავენ გრ.კობახიძე და უ.ლონდარიძე

ქ.თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე ნ.ჟვანია დ.გონდაურს გადასცემს წლის
საუკეთესო მასწავლებლის დამადასტურებელ სიგელს

დ.გონდაური - იუბილარი
საქართველოს პროფსაბჭოს სასახლე
1991 წ.



დ.გონდაური ხშირად სტუმრობდა ლიკანს
1988 წ.

აქაც პირველი იყო
დ. გონდაური მეგობრების წრეში სუფრასთან

დ.გონდაურის შვილიშვილები: (ი.გონდაური, ნ.ხოდელი, დ.გონდაური, თ.ხოდელი) აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის გარემოცვაში.
თბილისი 1991 წ.



დავით გონდაური - დიდი და
დავით გონდაური - პატარა
1985 წ.



სამშობლოს სადარაჯოზე.
დ.გონდაურის შვილიშვილები (ტყუპები),
ირაკლი და გიორგი გონდაურები
სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის დროს.
საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო
2003 წ.



პირველ რიგში, მარცხნიდან-მარჯვნივ: დავით გონდაური („უმცროსი"); თსუ რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი; კათოლიკოს–პატრიარქი ილია II; მაღალყოველადუსამღვდელოესი, მიტროპოლიტი ანანია. მეორე რიგში, მარცხნიდან-მარჯვნივ: დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე . . . პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი; დოცენტი იზოლდა ადეიშვილი; პროფესორი გიორგი ბაბუნაშვილი

თსუ მაღლივი კორპუსი, 2003წ

სწავლული ეკონომისტების შეხვედრა სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II
საქართველოს საპატრიარქოში
2004 წ.

წიგნის ავტორი დავით გონდაური და
რედაქტორი გელა სულაძე
ნოემბერი, 2004 წ.

დ. გონდაურის მეთოდური ხასიათის შრომებისა და სტატიების სია, რომლებიც დაიბეჭდა ჟურნალებსა და გაზეთებში

1) „ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებელთა გამოცდილებიდან", კრებული №3, 1957 წელი. თემა: „როგორ ვმუშაობ საწარმოო ხასიათის ამოცანების შედგენა–ამოხსნაზე"

2) ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება", №3 1964 წელი. თემა: „ჩვენი სკოლის მათემატიკური წრე".

3) „მათემატიკის სწავლების საკითხები სკოლაში" კრებული. 1967 წელი. თემა: „ვექტორები გეომეტრიის სასკოლო კურსში".

4) ჟურნალი „ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში" №1 1970 წელი. თემა: „უტოლობანი IV კლასში"

5) 1978 წელს, როტოპრინტის წესით დაიბეჭდა მისი ვრცელი ანალიზი, ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შესახებ.

6) 1979 წელს დ. გონდაურის წერილი მისი მუშაობის შესახებ დაიბეჭდა მასწავლებელთა საატესტაციო მეთოდკაბინეტის კრებულში. „ატესტაცია წარმატების საწინდარია".

7) ჟურნალი „ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში", №4 1980 წელი. თემა: „ცვლილებანი მათემატიკის პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში".

8) „მათემატიკაში მეთოდური წერილებისა და კლასგარეშე საკითხების ცნობარი", თბილისი, 1984 წელი.

9) ჟურნალი „ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში" №2 1981 წელი. თემა: „სასრიანობა და ხარვეზები მოსწავლეთა პასუხებსა და წერით ნამუშევრებში"

10) ჟურნალი „ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში" №3, 1981 წელი. თემა: „მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ–ჩვევების შეფასების შესახებ"

11) „მასწაელებელთა ატესტაციის მეთოდკაბინეტის" მეორე კრებული, თბილისი, 1984 წელი. თემა: „მასწავლებელთა ატესტაცია და სკოლის ხელმძღვანელობა"

12) გაზეთი „ზარია ვოსტოკა", 1954 წელი 15/I, თემა: „ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში"

13) გაზეთი „სახალხო განათლება", 1954 წელი 8/XII, თემა: „ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში" (ფოტოსურათით).

14) გაზეთი „ვეჩერნი თბილისი", 1968 წელი 10/II. თემა: „ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში"

15) მონოგრაფია „მოსაზრებულობაზე მათემატიკურ საეარჯიშოთა კრებული", რეცენზენტები პროფ. ა.გაგნიძე, პროფ. ს.თოფურია

სამეცნიერო–პედაგოგიურ კონფერენციებზე და სემინარებზე პედაგოგიურ საკითხებზე წაკითხული მოხსენებები

1) VII კონფერენცია – 1951 წელი, მარტი. თემა: „გეოდეზიური სამუშაოები მიწაზე".
2) VIII კონფერენცია – 1953 წელი, მარტი. „როგორ ვმუშაობ მოსწავლეებთან თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებისათვის".
3) IX კონფერენცია – 1956 წელი, მარტი. „როგორ ვმუშაობ საწარმოო ხასიათის ამოცანების შედგენა–ამოხსნაზე". (დაიბეჭდა)
4) XIV კონფერენცია – 1960 წელი, მარტი. „როგორ ვუხელმძღვანელოთ მათემატიკის წრეს". (დაიბეჭდა)
5) XV კონფერენცია – 1962 წელი, მარტი. „ადგილმდებარეობის აგეგმვა".
6) XVI კონფერენცია – 1964 წელი, მარტი. „ვექტორები გეომეტრიის სასკოლო კურსში". (დაიბეჭდა)
7) XVII კონფერენცია – 1966 წელი, მარტი. „მოცულობათა გამოთვლა XI კლასში ახალი პროგრამის მიხედვით" (კავალიერის პრინციპი, სიმპსონის ფორმულა).
8) XIX კონფერენცია – 1968 წელი, მარტი. „ჩვენი სკოლის კაბინეტი"
9) XX კონფერენცია – 1970 წელი, იანვარი (მიძღვნილი ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი), თემა: „უტოლობანი IV კლასში". (დაიბეჭდა)
10) XXII კონფერენცია – 1974 წელი, მარტი. თემა: „ფიგურათა მსგავსება და ჰომოთეტია VII კლასის გეომეტრიის კურსში ახალი პროგრამების მიხედვით".

11) XXIII კონფერენცია – 1976 წელი, მარტი. „მარქსისტულ–ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება მოსწავლეებში მათემატიკის გაკვეთილებზე".
12) XXIV კონფერენცია – 1978 წელი, მარტი. „განმავითარებელი სწავლების მომენტები მათემატიკის გაკვეთილებზე"
13) XXV კონფერენცია – 1980 წელი, მარტი. „მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ–ჩვევების შეფასება მათემატიკაში". (დაიბეჭდა ჟურნალ „ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში" 1981წ. №2 და №3-ში) ორ ნაწილად.
14) 1974წ. 30/XI-ს პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის მეთოდიკის კათედრასთან არსებულ მათემატიკის მასწავლებელთა მუდმივმოქმედ სემინარზე მის მიერ წაკითხულ იქნა მოხსენება თემაზე „VII კლასში ვექტორების სწავლების ზოგიერთი საკითხი". (განცხადება გამოქვეყნებული იყო გაზეთ „სახალხო განათლებაში", 1974წ. 29/XI-ს).
15) იმავე სემინარზე 1974წ. 21/XII-ს წაიკითხა მოხსენება თემაზე – „ვექტორული ალგებრის სწავლებისა და გამოყენების მეთოდიკა VII კლასის გეომეტრიის კურსში". (განცხადება 1974წ. 20/VII-ს). 1975წ. 25/IV-ს ამ სემინარის მუშაობაზე გაზეთ „სახალხო განათლებაში" დაიბეჭდა წერილი სათაურით: „მათემატიკის მასწავლებელთა დასახმარებლად"
16) 1976 წლის 6 იანვარს, საქართველოს განათლების სამინისტროს ტექნიკურ საშუალებათა ცენტრალური მეთოდკაბინეტის დავალებით რესპუბლიკის რაიონებ-

ისა და ქალაქების მათემატიკის მეთოდგაერთიანებათა ხელმძღვანელების სემინარზე წაიკითხა მოხსენება თემაზე – „მათემატიკის სწავლების საკითხები VIII კლასში ახალი პროგრამის მიხედვით".

17) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ მათემატიკის მასწავლებელთა მუდმივმოქმედ სემინარზე 1978 წლის აპრილში წაიკითხა მოხსენება თემაზე – „როგორ ვემზადოთ გამოცდებისათვის X კლასში".

18) 1978 წლის ივნისში პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის პროფესორ–მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე – „პრობლემური სწავლების საკითხები მათემატიკის სასკოლო კურსში".

19) 1979 წლის 22/XII-ს პუშკინის სახ. პედინსტიტუტის სემინარზე წაიკითხა მოხსენება თემაზე – „ვექტორების გამოყენება ამოცანების ამოხსნაში".

20) მოხსენება თემაზე „ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შესახებ", სხვადასხვა პერიოდში წაიკითხა: 1) მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ინსტიტუტის მეცნიერ–თანამშრომლები, უნივერსიტეტისა და პედინსტიტუტის პროფესორ–მასწავლებლები, განათლების სამინისტროს მეთოდცენტრისა და ჟურნალის, „ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში", რედაქციის თანამშრომლები და საშუალო სკოლის პრაქტიკოსი მასწავლებლები. სხდომას თავჯდომარეობდა პროფესორი ბ. ხვედელიძე; 2) პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის მათემატიკის

მასწავლებელთა მუდმივმოქმედ სემინარზე; 3) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემინარზე; 4) მასწავლებელთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტში და რაიონის მეთოდგაერთიანების სხდომებზე.

21) ქალაქის მასშტაბით „პედაგოგიურ კითხვებზე" სისტემატურად კითხულობდა მოხსენებებს.

22) ისანი–სამგორის რაიონის მეთოდგაერთიანებაში ყოველწლიურად წლის განმავლობაში ორ მოხსენებას კითხულობდა. ატარებდა კონსულტაციებს პროგრამულ მასალებსა და სახელმძღვანელოებში დიდაქტიკურ მასალებში ცვლილებების შესახებ.

23) 1981 წლის აგვისტოს თათბირზე (სექციურ მუშაობაზე) წაიკითხა მოხსენება თემაზე: „პოგორელოვის VI–X კლასების გეომეტრიის ექსპერიმენტულ სახელმძღვანელოს განხილვა და მოქმედ სახელმძღვანელოებთან, შედარებითი ანალიზი".

24) იგივე თემაზე 1981 წლის 23/XII წაიკითხა მოხსენება პუშკინის პედინსტიტუტში.

გამოცდილების გაზიარება

1) 1957 წელს პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ ქ. კიევში, დ. გონდაური ქართველ პედაგოგთა ჯგუფთან ერთად წარგზავნილ იყო გამოცდილებათა ურთიერთგაზიარების მიზნით.
2) 1962 წლის 10/VI-ს, განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ქ. ხაშურში ჩაატარა „მასწავლებლის დღე", სადაც ქ. ხაშურისა და ხაშურის რაიონის პედაგოგიური საზოგადოების წინაშე გამოვიდა მოხსენებით, მისი მუშაობის შესახებ (თან ჰქონდა ზოგიერთი დიდაქტიკური მასალა).
3) 1962 წლის 12/VI-ს, განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ სახლში მოეწყო მისი, როგორც სკოლის ადგილკომის თავჯდომარის, გამოცდილების გაზიარების საღამო. ამის შესახებ გაზეთ „სახალხო განათლებაში", დაიბეჭდა წერილი სათაურით: „ადგილკომის თავჯდომარე მოუთხრობს". (დ. გონდაური თავისი მუშაობის სხვადასხვა პერიოდში სამჯერ იყო არჩეული პროფკავშირის ადგილკომის თავჯდომარედ. რამდენიმე წელი იყო სკოლის პედსაბჭოს მდივანი და დოსააფის თავჯდომარე; კარგი მუშაობისათვის სიგელიც მიიღო).
4) 1965 წლის დეკემბერში განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ სახლში მოეწყო პედაგოგიურ ფრონტზე მისი მუშაობის გამოცდილების საღამო.
5) 1966 წლის 8/X-ს, განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ სახლში მოეწყო მისი, როგორც კლასის ხელმძღვანელის, გამოცდილების გაზიარების საღამო. საღამოს ესწრებოდნენ თბილისის სკოლების დირექტორები, დირექტორის მოადგილეები და მასწავლებლები. საღ-

ამოს ხელმძღვანელობდა, თბილისის მაშინდელი პედ-კაბინეტის გამგე ალ. ელიზბარაშვილი.

6) 1968 წლის 5/IV-ს, საქართველოს მასწავლებელთა დახ-ელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (მაშინდელ 77-ე სკოლაში), მოაწყო ე.წ. „ღია კარის დღე". ამ ინ-სტიტუტის მათემატიკის მაშინდელი კაბინეტის გამ-გემ, ცნობილმა მეთოდისტმა ილია შტეინბერგმა, ამ ღონისძიებაზე მოიყვანა კურსების მსმენელთა დიდი ჯგუფი. ამ შეკრებაზე გონდაური ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მისი მუშაობისა და გამოცდილების შესახ-ებ.

7) 1974—79 წლებში ანალოგიური ღონისძიებები მოეწყო. ამჯერად კურსების მსმენელები მოიყვანეს პირველად მეთოდისტმა დოლიძემ და მეორედ ინსტიტუტის მაშ-ინდელი კაბინეტის გამგემ რ. ოვნანიანმა.

8) გაზეთი „სახალხო განათლება" 1973 წლის 14/XI-ის სტატიაში „მეგობრების წრე ფართოვდება", წერდა ქარელის II საშუალო სკოლაში დ. გონდაურის სტუმ-რობის შესახებ, მეგობრული დახმარებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

9) 1974 წელს ამავე მიზნით იყო ნაფარეულის საშუალო სკოლაში.

10) 1975 წელს — გურჯაანის რაიონის მელანიის საშუა-ლო სკოლაში.

11) ყოველწლიურად რესპუბლიკის სკოლების დირექ-ტორებთან და დირექტორის მოადგილეებთან სკოლა-ში სტუმრობის დროს, დ. გონდაური ხშირად ატარებ-და კონსულტაციებს სკოლაში სწავლების კაბინეტური სისტემის ორგანიზაციისა, გაკვეთილების ცხრილის შედგენისა და მისი მეთოდური გამართულობის შესა-ხებ.

ჟურნალებსა და გაზეთებში დაბეჭდილი წერილები, რომლებიც ასახავენ დავით გონდაურის მუშაობის გამოცდილებასა და მიღწეულ წარმატებებს

1) „ფიზიკისადმი მათემატიკის მასწავლებელთა გამოცდილებიდან" (კრებული №3, 1957 წელი) ილ. შტეინბერგის წერილი თემაზე: „თბილისის სკოლების მათემატიკის მასწავლებლებთან მუშაობა თემაზე: საწარმოო ხასიათის ამოცანების შედგენა–ამოხსნის მეთოდიკა".
2) გაზეთი „სახალხო განათლება" 1962 წელი, 20/VI. „ჯილდო ღირსეულთ". აღნიშნული იყო დ. გონდაურის მათემატიკის წრის საუკეთესო მუშაობა და მისი დაჯილდოება მედლითა და ფასიანი საჩუქრებით 1961 წელს, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში აქტიური მონაწილეობისათვის (გამოფენის სახალხო განათლების პავილიონში, კედელზე გაკრული იყო მისი გადიდებული სურათი, გადაღებული სკოლაში გაკვეთილის ჩატარების მომენტში მოსკოველი კორესპონდენტის მიერ).
3) გაზეთი „სახალხო განათლება" 1963 წელი, 11/IX. „გულის სითბო".
4) გაზეთი „სახალხო განათლება" 1963 წელი, 16/X. სტატია „დამსახურებული ჯილდოები" (განათლების მინისტრის, ო. ლაშქარაშვილის სტუმრობა სკოლაში, დაესწრო დ. გონდაურის გაკვეთილს).
5) გაზეთი „სახალხო განათლება" 1965 წელი, 4/VIII. „ერთეულთა მონაპოვარი ყველას კუთვნილებად".

6) გაზეთი „ვეჩერნი ტბილისი" 1965 წელი, 31/VIII. სურათი და წერილი.

7) გაზეთი „ვეჩერნი ტბილისი" 1965 წელი, 2/X. სურათი მოწინავე მასწავლებელთა შორის.

8) გაზეთი „პრავდა" 1965 წელი 3/X. სტატია „ნაროდნი უჩიტელ".

9) ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება" 1965 წელი, №8. ილ. შტეინბერგის სტატია – „დავით გონდაური" (ფოტოსურათი).

10) გაზეთ „სახალხო განათლება" 1966 წ. 2/II-ს სტატიაში „ღირსეულთა გვარები საპატიო წიგნში" და „ვეჩერნი ტბილისი" 1966 წ. 2/I-ის სტატიაში „საპატიო წიგნში საუკეთესო პედაგოგები", ლაპარაკია განათლების მუშაკთა რესპუბლიკური სახლის მიერ დაარსებულ „საპატიო წიგნში" რესპუბლიკის პირველი 11 მოწინავე მასწავლებლის ფოტოსურათისა და დახასიათების შეტანის შესახებ. თერთმეტთა შორის ამ წიგნში შეტანილია დ. გონდაურის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები დახასიათებისა და ფოტოსურათის თანდართვით.

11) „უჩიტელსკაია გაზეტა" 1966 წელი, 5/IV. საქართველოს განათლების მაშინდელი მინისტრის, თ. ლაშქარაშვილის წერილი „პოდზნაკომ დელოვიტოსტი".

12) ცნობილი ჟურნალისტის, კულტურის დამსახურებული მუშაკისა და რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის გ. ალავერდაშვილის წიგნში „პედაგოგიური შრომის ოსტატები" (1966 წელი, გამომცემლობა „გა-

ნათლება") ვრცლად არის მოთხრობილი დაეით გონდაურის შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ.

13) გაზეთი „ლიტერატურული საქართველო" 1967 წელი, 13/I. მწერალ ვანო ურჯუმელაშვილის წერილი „წიგნი პედაგოგთა შრომაზე".

14) გაზეთი „სახალხო განათლება" 1967 წელი, 12/IV. „სახალხო მასწავლებელთა დახელოვნების საქმეში".

15) გაზეთი „ზარია ვოსტოკა" 1967 წელი, 1/X (1 გვერდი). სურათი და წერილი.

16) გაზეთი „სახალხო განათლება" 1967 წელი, 11/X. ფოტოსურათი და ბრძანებულება, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ.

17) ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება" 1967 წელი, №10. ფოტოსურათი და წერილი „რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით".

18) გაზეთი „ვეჩერნი ტბილისი" 1968 წელი, 5/X. სურათი – „მოწინავე მასწავლებელთა ჯგუფი" და სტატია: „ყველაზე კეთილშობილი პროფესიის ადამიანები".

19) გაზეთი „ვეჩერნი ტბილისი" 1968 წელი, 5/X. წერილი და ფოტოსურათი მათემატიკოს დ. გონდაურის შესახებ.

20) გაზეთი „სახალხო განათლება" 1969 წელი, 26/I. სტატია: „ჩვენი გაზეთის ისტორიიდან".

21) გაზეთი „თბილისი" 1970 წელი, 23/V. „პედაგოგიური შრომის ოსტატი".

22) გაზეთი „ზარია ვოსტოკა" 1971 წელი, 27/VIII. ფოტოსურათი მოწინავე მასწავლებელთა ჯგუფთან ერთად.
23) საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებლის, სკოლის დირექტორ გრიგოლ კობახიძის ბროშურაში „შინასასკოლო კონტროლის ზოგიერთი საკითხი" (1975 წელი, თსუ გამომცემლობა) ერცლად არის მოთხრობილი მათემატიკოს გონდაურის შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ.
24) გაზეთი „თბილისი" 1980 წელი, 16/I. „პედაგოგის მაღალი პასუხისმგებლობით"
25) გაზეთი „სახალხო განათლება" 1980 წელი, 30/I. „პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის"
26) გაზეთი „თბილისი" 1980 წელი, 5/III. – გარდამავალი წითელი დროშით სკოლის დაჯილდოებასთან დაკავშირებით.
27) გაზეთი „სახალხო განათლება" 1980 წელი, 12/III. „ჯილდო თაედადებული შრომისათვის".
28) გაზეთი „სახალხო განათლება" 1980 წელი, 9/IV. ლენინის ორდენის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად დაიბეჭდა დ. გონდაურის სურათი – „გაკვეთილზე X კლასში".
29) გაზეთი „სახალხო განათლება" 1980 წელი, 6/VI. „ზეპირი გამოცდა VIII კლასში"
30) გაზეთი „კომუნისტი" 1980 წელი, 16/VIII. მოწინავე – „პედაგოგთა დიდი ბჭობა".
31) გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი" 1980 წელი, 2/X. „გონდაურის საოცარი გაკვეთილები".

32) გაზეთი „სახალხო განათლება" 1980 წელი, 3/X. მოწინავე – „საბჭოთა ხალხის სიამაყე".
33) გაზეთი „თბილისი" 1980, 4/X. III გვერდი. სტატია „ვასწავლოთ სწავლა, შრომა".
34) გაზეთი „კომუნისტი" 1980 წელი, 5/X. გვერდი IV. მოწინავე მასწავლებლების ჯგუფური სურათი.
35) გაზეთი „სახალხო განათლება" 1980 წელი, 12/XI. ვრცელი წერილი დ. გონდაურზე – „ამაგდარი" (ფოტოთი).
36) ჟურნალი „ნაროდნოე ობრაზოვანიე" 1980 წელი, №6. ფოტოსურათით.
37) გაზეთი „სახალხო განათლება" 1981 წელი, 14/I. სტატია – „იანვრის საქალაქო კონფერენციაზე".
38) გაზეთი „სახალხო განათლება" 1981 წელი, 18/II. გარდამავალი წითელი დროშით სკოლის დაჯილდოებასთან დაკავშირებით (მეორედ).
39) გაზეთი „კომუნისტი" 1981 წელი, 14/II.
40) გაზეთი „თბილისი" 1981 წელი, 14/II.
41) გაზეთი „თბილისი" 1981 წელი, 22/IV. „მათემატიკის დამწყებ მასწავლებელთა სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა".
42) გაზეთი „სახალხო განათლება" 1981 წელი, 5/VI. „მათემატიკის დამწყებ მასწავლებელთა სახელმწიფო უნივერსიტეტი", დ. გონდაურის სურათით.
43) გაზეთი „ვეჩერნი თბილისი" 1981 წელი, 31/VII, III გვერდი. ტ. შერვაშიძის წერილი და სურათი დ. გონდაურზე.
44) გაზეთი „სახალხო განათლება" 1981 წელი, 2/X. წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდებასთან დაკავშირებით – „პირველი ლაურეატები".

45) გაზეთი „თბილისი" 1981 წელი, 3/X. გვერდი III. გაზეთი „ხალისით მოდის"
46) გაზეთი „კომუნისტი" 1981 წელი, 4/X. მოწინავე – „მოძღვარი"
47) გაზეთი „სახალხო განათლება" 1981 წელი, 1/I. 1982 წელი. „სოცშეჯიბრში" მესამედ გამარჯვების შესახებ.
48) გაზეთი „კომუნისტი" 1982 წელი, 18/V, III გვერდი. რ. მატიატონის წერილი – „ღია გაკვეთილი".
49) გაზეთი „სახალხო განათლება" 1983 წელი, 25/II.. „წარმატებები ნუ დაგლეოდეთ".
50) გაზეთი „კომუნისტი" 1983 წელი, 19/XI, III გვერდი. გ. ხანდამაშვილის წერილი „ვის დავადგამდი დაფნის გვირგვინს"
51) გაზეთი „თბილისი" 1985 წელი, 5/X. „ოცდახუთი საუკეთესო".
52) გაზეთი „სახალხო განათლება" 1985 წელი, 9/X. „დღე, რომელიც არ ავიწყდებათ".
53) გაზეთი „სახალხო განათლება" 1985 წელი. „წლის საუკეთესო მასწავლებლის საქალაქო კონკურსის შედეგების სესახებ".
54) გაზეთი „კომუნისტი" 1985 წელი, 6/X. წერილი და სურათი.
55) გაზეთი „სახალხო განათლება" 1986 წელი, 3/X. „წლის საუკეთესო მასწავლებლის საქალაქო კონკურსის შედეგების შესახებ".
56) გაზეთი „თბილისი" 1986 წელი, 4/X. „ვის უმღეროდა მაროვე".

57) გაზეთი „სახალხო განათლება" 1986 წელი, 10/X. „წლის საუკეთესონი".
58) გაზეთი „სახალხო განათლება" 1989 წელი, 20/XII. „ვის დავადგამდი გვირგვინს".
59) გაზეთი „კომუნისტი" 1990 წელი, 16/III. „სახალხო მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭება".
60) გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 1996 წელი, 31/VIII. „საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ".
61) გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 1996 წელი, 2/IX. „ღირსეულად დაფასდნენ".

ჯილდოები და საპატიო ფოდებები

ჯილდოები

1) „ღირსების ორდენი", 1996 წლის 31 აგვისტო.
2) „ლენინის ორდენი", 1978 წლის 27 ივნისი.
3) „შრომის წითელი დროშის ორდენი", 1966 წლის 2 აპრილი.
4) „1941–45 წლებში დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის", მედალი. 1946 წელი, 27 ივნისი.
5) „შრომითი წარჩინებისათვის" მედალი. 1951 წლის 27 ნოემბერი.
6) „სახალხო განათლების წარჩინებული" – სამკერდე ნიშანი. 1959 წლის 28 სექტემბერი.
7) „სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში აქტიური მონაწილეობისათვის", მედალი. 1962 წლის 16 აპრილი.
8) „ვ.ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის მედალი", 1970 წლის 1 აპრილი.
9) „სოცშეჯიბრში გამარჯვებისათვის" – სამკერდე ნიშანი. 1973 წლის 24 დეკემბერი.
10) „დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30-ე წლისთავი", მედალი. 1975 წლის 7 მაისი.
11) „შრომის ვეტერანი", მედალი. 1983 წლის 10 აგვისტო.
12) „საბჭოთა კავშირის განათლების ფრიადოსანი", სამკერდე ნიშანი. 1987 წლის, 12 მაისი.
13) „1941–45 წ.წ. დიდ სამამულო ომში გამარჯვების 50-ე წლისთავი", საიუბილეო მედალი. 1995 წლის 23 აპრილი.

14) საქართველოს განათლების სამინისტროს და განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელები და კონფერენციების მრავალი დიპლომი (სულ 40-მდე).

საპატიო წოდებები

1) „საქართველოს სახალხო მასწავლებლის საპატიო წოდება", 1990 წლის 28 თებერვალი.
2) „საქართველოს დამსახურებული მასწაელებლის საპატიო წოდება", 1967 წლის 5 ოქტომბერი.
3) „თბილისის საპატიო მასწავლებლის წოდება", 1996 წლის 1 ივლისი.
4) „მასწავლებელ—მეთოდისტის საპატიო წოდება" მიენიჭა სამჯერ: 1977, 1983, 1989 წლებში.
5) „წლის საუკეთესო მასწავლებლის საპატიო წოდება", მიენიჭა ოთხჯერ: 1981, 1984, 1985, 1986 წლებში. გამომდინარე აქედან შემდგომ წლებში ეს წოდება მუდმივად მიენიჭა და მისი გვარი და სახელი შეტანილია საპატიო წიგნში.

ბოლოთქმა

ყოველივე რაც ზემოთ მოგახსენეთ, თავისთავად არ მოსულა. კარგად ვხედავდი წიგნის წერის მთელ სიმძიმეს, რომელიც აუცილებლად უნდა დამეძლია. ვხედავდი ტვირთს, რომელიც ჩემი სატარებელი იქნებოდა. მაგრამ მე მზად ვიყავი, გამეევლო ეს გზა. თავიდან ეჭვი და ფიქრში გატეხილი ღამეებიც ბევრი მქონდა, მაგრამ ეს არ იყო შიში იმისა – შევძლებ, ან ღირს თუ არა. მაგრამ... მაინც ჯიუტად ვადექი არჩეულ გზას.

რაკიღა ჩემი გულის ნადები გადმოვეცი, რის თაობაზეც ამდენი მიფიქრია, შვება ვიგრძენი (იმიტომ რომ, ცოტა არ იყოს მეძნელა ამა თუ იმ აზრის ჩამოყალიბება), მაგრამ შევფიქრიანდი კიდეც (რამეთუ არ ვიცი, თუ შევძელ გასაგებად გამომეთქვა, რისი თქმაც მსურდა). ვფიქრობ, წიგნი თვითონ იტყვის თავის სათქმელს. დაე, მკითხველმა განსაჯოს, რამდენად შევასრულე ჩემი მისია.

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაგან	3
ავტორისაგან	10
წინასიტყვა	.13
განვლილი დიდი გზა	15
მზრდელი ყრმისა	39
პედაგოგიური კულტურა ყველა მასწავლებლის საკუთრება უნდა გახდეს	69
მოგონებები დავით გონდაურზე	77
ილუსტრაციები	.106
დ. გონდაურის მეთოდური ხასიათის შრომებისა და სტატიების სია, რომლებიც დაიბეჭდა ჟურნალებსა და გაზეთებში	.128
სამეცნიერო–პედაგოგიურ კონფერენციებზე და სემინარებზე პედაგოგიურ საკითხებზე წაკითხული მოხსენებები	130
გამოცდილების გაზიარება	134
ჟურნალებსა და გაზეთებში დაბეჭდილი წერილები, რომლებიც ასახავენ დავით გონდაურის მუშაობის გამოცდილებასა და მიღწეულ წარმატებებს	136
ჯილდოები და საპატიო წოდებები	.143
ბოლოთქმა	145

მხატვარი:	გიორგი გონდაური
კორექტორი:	ბაღათურ არაბული
კომპიუტერული უზრუნველყოფა:	უჩა ლომთათიძე